# დროშა

№ 6 ივნისი 1963 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ამხანაგები ფიდელ კასტრო რუსი და ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი საქართველოში





ფოტო ვ. გინზბურგისა, მ. კვირიკაშვილისა და გ. ვახტანგაძისა.



დროშებზე თბილი სიო გადაჰკრის,–
დრო გადათვალეს ოქროს წამებმა.
და საქართველოს დედაქალაქი
ვარდებით შეხვდა თქვენს მობრძანებას.

სალამი წრფელი!
ლხენა და სითბო,
ვაშა და ტაში,
მხნე და ჩვეული!..
ეს ყვავილების ზეიმიც თითქოს,
ამ შეხვედრისთვის გვაქვს არჩეული....





კოსმონავტი ვ. თ. ბიკოვსკი



კოსმონავტი ვ. ვ. ტერეშკოვა

# კვლავ უსაზღვრო ვარსკვლავეთში

თოთხმეტ ივნისს თვალშეუდგამ ვარსკვლავეთში გაიჭრა ახალი კოსმოსური ხომალდი „ალმოსავლეთი-5“. იმ დღეს კიდევ ერთი სახელი, ვალერი ბიკოვსკის სახელი შეემატა საბჭოთა კოსმონავტების დიდებულ პლეადას.

თექვსმეტ ივნისს, ნაშუადღევს, ისევ გაისმა ეთერში მოსკოვის რადიოს სიგნალები და მთელი პლანეტა გაინაბა რაღაც ახლისა და დიადის მოლოდინში. მთელი ჩვენი უზარმაზარი სამშობლო, მისი ყოველი მოქალაქე მოელოდა, რომ იმ წამს ახალი გმირთაგმირის სახელს გაიგონებდა, და რაოდენ დიდი იყო ჩვენი სიხარული, ჩვენი აღტაცება, როცა მოვისმინეთ, რომ ეს გმირი იყო ქალი, უბრალო რუსი ქალიშვილი ვალენტინა ტერეშკოვა.

ვინც იმ წუთებში რადიომიმღებთან იჯდა, მას შეეძლო მოესმინა როგორ გუგუნებდა მთელ მსოფლიოში, ყველა ტალღაზე, ყველა ხალხის ენაზე ვალენტინა ტერეშკოვას სახელი. მთელი პლანეტის irgvliv ეთერი სავსე იყო ამ სახელით, სავსე იყო განცვიფრებით, სიხარულით, გაოცებითა და აღტაცებით. მსოფლიოს რადიო-სადგურებმა შუა სიტყვაზე შეწყვიტეს თავიანთი გადაცემები, რათა უმაღლესი საბჭოთა ქალიშვილის ლეგენდარულ გაფრენაზე ალაპარაკებულიყვნენ, სტამბებში როტაციონები გააჩერეს, რათა გაზეთებში ახალი გვერდები ჩაემატებინათ... იმ წუთებში წითელ მოედანზე დადგმული იყო მიკროფონი და მთელი მსოფლიო უსმენდა მოსკოვს... ჩვენ არა მარტო ვუსმენდით, არამედ თითქოს ვხედავდით კიდეც როგორ ტალღა-ტალღა მიედინებოდა ხალხი ქუჩებზე, რათა წითელ მოედანზე მოსულიყვნენ და გამოეხატათ თავიანთი აღტაცება. ეს სიხარული მოედო ყველა ქალაქს, ყველა სოფელს... გამოდიოდნენ ადამიანები სახლებიდან გარეთ, ქუჩაში, რათა ხმამაღლა მიელოცათ საბჭოთა სამშობლოსათვის, მთელი კაცობრიობისათვის ეს ახალი გამარჯვება, ეს ახალი, დიდებული დღესასწაული, ეს განსაცვიფრებელი შემართება ადამიანის აზრისა, ადამიანის გენიისა.

და ამ ზეიმის, ამ სიხარულის ყიჟინაში ყველამ გაიგონა ხმა ვალენტინა ტერეშკოვასი, წამოსული უძირო შორეთიდან. სამშობლოს სახელოვანი ქალიშვილი კოსმოსიდან მიესალმებოდა საყვარელ საბჭოთა მიწას, ჩვენს ხალხს და უპატაკებდა კრემლს: „მოვახსენებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, ძვირფას ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს: ფრენა წარმატებით მიმდინარეობს, ხომალდის სისტემები ჩინებულად მუშაობენ, თავს კარგად ვგრძნობ. გულითად მადლობას ვუძღვნი კომუნისტურ პარტიას, მთავრობას და მთელ საბჭოთა ხალხს ნდობისათვის“.

ლენინის პარტიამ შეასხა ფრთა ადამიანის ოცნებას, მისცა ძალა ადამიანს შეჭრილიყო კოსმოსში მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ, ჩვენი აწმყოსა და მომავლის საკეთილდღეოდ.

ჩვენი სამშობლოს ისტორია სავსეა გმირ ქალთა სახელებით და ბუნებრივია, რომ ეს გმირი ქალიშვილი ჩვენს მიწაზე დაიბადა და აღიზარდა; ოცდაექვსი წლის იაროსლაველმა ფეიქარმა საქვეყნოდ ასახელა სამშობლო და ახლა მის სახელს უღრმესი სიყვარულით წარმოთქვამს ყველა კეთილშობილი ადამიანი ჩვენს უზარმაზარ პლანეტაზე.

ვალერი ბიკოვსკიმ და ვალენტინა ტერეშკოვამ თავიანთი გაფრენებით განუზომლად წასწიეს წინ კოსმოსის დაპყრობისა და მისი მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების საქმე.

ჩვენ სასწაულების ეპოქაში ვცხოვრობთ. და ეს სასწაულები ყოველდღიურად აახლოებენ კაცობრიობისათვის სანატრელ მომავალს — კომუნიზმს!

დიდება სახელოვან ლენინურ პარტიას, რომელიც ზრდის ასეთ საამაყო შვილებს!

დიდება ჩვენს მამაც და გაბედულ კოსმონავტებს, რომლებიც ჰკაფავენ გზას სამყაროს ახალ-ახალ საიდუმლოებათა შეცნობისაკენ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 6 (143) ივნისი, 1963 წ.

გამოცემის XIII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# ყოველდღე — ასი ათასი ქაბა

„— თქვენი კომბინატის გაცნობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა... ვაშა და ვაშა სახელოვან ქართველ ფეიქრებს!"

ეს სიტყვები ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ დოლორეს იბარურმა წარმოთქვა.

სახელოვანი რევოლუციონერი ერთადერთი სტუმარი როდი იყო, რომელმაც ასეთი გულწრფელი სიტყვებით გამოხატა თავისი აღტაცება. გორის ბამბეული ქსოვილების კომბინატის დათვალიერებამ გაოცა კუბიდან და ვიეტნამიდან, უნგრეთიდან და პოლონეთიდან ჩამოსული სტუმრებიც.

ჩეხოსლოვაკელი მეგობრები ერთხმად აღიარებენ, რომ გორში დამზადებული ქსოვილები მეტად ლამაზი და საუკეთესო ხარისხისაა, გერმანელი ფეიქრები კომბინატის მიღწევებს „ზღაპრულ ნახტომს" უწოდებენ.

გორის კომბინატს თავისი სიდიდითა და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობით საბჭოთა კავშირის საფეიქრო საწარმოთა შორის ამჟამად ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ კომბინატის გიგანტურ სიმძლავრეზე, ინტერესმოკლებული არ იქნება რამდენიმე ციფრი მოვიყვანოთ.

კომბინატის უზარმაზარ საამქროებში ერთდროულად ორას ათი ათასი თითისტარი ტრიალებს. ამ თითისტარებზე წუთში ორ მილიონ მეტრზე მეტი ნართი ეხვევა. სართავი, საგრეხი და საქსოვი დაზგების რაოდენობა რამდენიმე ათას ცალს აღწევს. ეს დაზგები რომ ერთმანეთის მიყოლებით ჩავამწკრივოთ, შვიდი კილომეტრის სიგრძეზე გაიჭიმება.

გორის ბამბეული ქსოვილების კომბინატში ამჟამად ოცდაექვსი ეროვნების ხუთი ათასზე მეტი ადამიანი მუშაობს. ეს უდიდესი საწარმო, რომელიც წელიწადში ხუთი ათას ტონა ბამბის ნედლეულს ამუშავებს, ყოველდღიურად ორასი ათასი მანეთის პროდუქციას უშვებს.

გორის კომბინატის პროდუქცია საბჭოთა კავშირის სამას ქალაქში იგზავნება. ამ პროდუქციაზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა საზღვარგარეთ. საკმარისია ითქვას, რომ გორელმა ფეიქრებმა წელს სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებში რამდენიმე ათასი მანეთის პიკე და სხვა მაღალხარისხოვანი ქსოვილები უნდა გაგზავნონ.

კომბინატის კოლექტივის დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ხამი ქსოვილების მოსაჩითი უნიკალური ლერძების შექმნა და წარმოებაში დანერგვა. 1955 წლამდე გორში დამზადებული ქსოვილები მთლიანად შუა აზიის რესპუბლიკებში იგზავნებოდა მოსაჩითად. ახლა კი, ადგილობრივ მხატვარ-მოდელისტთა და ფეიქარ-გრავიორთა ერთობლივი შემოქმედებითი შრომის შედეგად, კომბინატში წარმატებით აითვისეს ქსოვილების გამოყვანის რთული ტექნოლოგიური პროცესები. ქართველი ფეიქრები ისე ოსტატურად დაეუფლნენ ამ საქმეს, რომ ჩვენი ქვეყნის სხვა საფეიქრო საწარმოებსაც უწევენ დახმარებას.

გორის კომბინატში უკანასკნელ ხანებში მრავალი სახის ახალი, მეტად ლამაზი, იაფი და პრაქტიკულად კარგად მოსახმარებელი ქსოვილის ნიმუში შექმნეს. ამ ქსოვილებმა ისეთი დიდი მოწონება დაიმსახურა მომხმარებელთა შორის, რომ საბჭოთა კავშირის ზოგიერთ საფეიქრო კომბინატს წინადადება მიეცა, ფართოდ დაიწყოს ქართველ ფეიქართა მიერ შექმნილი ქსოვილების გამოშვება.

გორის ბამბეული ქსოვილების კომბინატის გიგანტურ კორპუსებში დღეში ას ოცდარვა ათასი მეტრი ხამი და ას სამოცდაათი ათასი მეტრი მოჩითული ქსოვილები მზადდება.

სამას ათას მეტრამდე სხვადასხვა სახის ქსოვილი! — აი ის მაღალხარისხოვანი პროდუქცია, რომელსაც გორელი ფეიქრები ყოველდღიურად აძლევენ სამშობლოს.

კომბინატის მიერ ერთ დღეში გამოშვებული ქსოვილებით ასი ათასამდე ქალის კაბა შეიძლება შეიკეროს, ათი დღის პროდუქცია ერთ მილიონამდე ადამიანს შემოსავს, ყოველ ხუთ თვეში კი კომბინატი იმდენ ქსოვილს უშვებს, რომ იგი თავისუფლად შემოეხვევა ეკვატორს.

მომავალ წელს გორში მწყობრში ჩადგება მეორე რიგის სართავ-საქსოვი კორპუსი. ამ მძლავრი საწარმოს ამუშავება გორელ ფეიქრებს საშუალებას მისცემს მოძმე რესპუბლიკებიდან შეწყვიტონ ხამი ქსოვილების ნაწილობრივი შემოტანა. საქართველოში ბამბეული ქსოვილების წარმოების პიონერი — გორის კომბინატი მალე მთლიანად თვითონ დაამზადებს ათეულ მილიონობით მეტრ გამოსაყვან ქსოვილებს.

მცირე დროის მანძილზე კომბინატში ჭეშმარიტად სასახელო წარმატებები იქნა მოპოვებული, მაგრამ ეს გამარჯვებები გულს როდი უმშვიდებს შრომისმოყვარე გორელ ფეიქრებს. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, რომ უახლოეს ხანში კიდევ უფრო მეტი მაღალხარისხოვანი, იაფი და ლამაზი ქსოვილები მიაწოდონ მომხმარებლებს.

ამიტომაც არის, რომ შრომითი პროცესების უკეთ წარმართვისათვის ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ კომბინატის დირექტორი ვახტანგ სორდია, მთავარი ინჟინერი ზაქარია ონიაშვილი და პარტორგანიზაციის მდივანი ელგუჯა ბუთხუზი.

მთელი კომბინატის მრავალათასიანი კოლექტივი ჩვეული გატაცებითა და შეუპოვრობით იბრძვის დასახული მიზნის წარმატებით განხორციელებისათვის.

ეს შეუპოვრობა და თავდადებული შრომა კი იმისი მტკიცე საწინდარია, რომ გორელი ფეიქრები არც ახლა შეირცხვენენ თავს და ახალ-ახალი მიღწევებით კვლავ ასახელებენ ჩვენს რესპუბლიკას.

ჭ. ისაკაძე,
ო. დემეტრაშვილი.



## „საქართველოს საკურორტო სიმდიდრენი"

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" რუსულ ენაზე გამოსცა პროფ. მიხეილ ნოდიას წიგნი „საქართველოს საკურორტო სიმდიდრენი". ავტორი დიდი ხანია მუშაობს საქართველოს კურორტების სამკურნალო თვისებების შესწავლაზე, ამ საკითხს მან მიუძღვნა 90-მდე ექსპერიმენტული და კლინიკური ხასიათის შრომა. ახალ ნაშრომში დეტალურად განხილული და შესწავლილია როგორც საკავშირო, ისე ადგილობრივ მნიშვნელობის კურორტები: ბორჯომი, წყალტუბო, ცემი, ახალდაბა, ლიბანი, კოჯორი, მანგლისი, აბასთუმანი, ახტალა, საირმე, ნაბეღლავი, ზეკარი, შოვი, გაგრა, [illegible] და სხვები. წიგნში განხილულია თვითეული კურორტის სამკურნალო თავისებურებანი და კლიმატური პირობები, გაშუქებულია კურორტების თანამედროვე მდგომარეობა, საკურორტო სიმდიდრეთა ზოგადი დახასიათება (ფიზიკურ-გეოგრაფიული, კლიმატური, ჰიდროგეოლოგიური დახასიათება). შრომაში მოცემულია მოკლე ისტორიული ცნობები ცალკეულ კურორტებზე, საქართველოს კურორტების სამკურნალო ადგილებისა და გეოგრაფიული პუნქტების მოკლე დახასიათება. ავტორს არ გამორჩენია მხედველობიდან საქართველოს კურორტებთან დაკავშირებული ისტორიული ძეგლებიც.

წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს საკურორტო საქმის მუშაკებს, სპეციალისტებს, ექიმებს, განსაკუთრებით კი მოსახლეობის ფართო მასებს.

ნაშრომი უხვადაა დასურათებული ჩვენი კურორტების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებების ფოტოსურათებით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წიგნის ტირაჟი — 2.000 ცალი არაა საკმარისი, რადგანაც წიგნი რუსულ ენაზეა გამოცემული და მას მკითხველი ეყოლება არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

# რუსთავის



რუსთავი — ქართული ფოლადის აკვანი — სულ მალე ქართული კაპროლაქტამის სამშობლოს სახელსაც დაიმკვიდრებს. წელს მწყობრში ჩადგება საქართველოს ქიმიური მრეწველობის გიგანტი — რუსთავის კაპროლაქტამის საწარმო. ეს იქნება ამიერკავკასიაში პირველი და საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უდიდესი საწარმო, რომელიც მიაწვდის ძვირფას ნედლეულს ჩვენი სახალხო მეურნეობის მძიმე და მსუბუქ მრეწველობას.

ამჟამად რუსთავის „დიდი ქიმიის" ხარაჩოებზე გაცხოველებული მუშაობა





ფოტო ო. თურქიასი

მიმდინარეობს. „დიდი ქიმია" — ეს ხომ კაპრონია, რომელიც ლითონს ცვლის მანქანებსა და ჩარხებში, ეს არის პლასტმასა, რომლისგანაც ამზადებენ ხომალდებსა და ავტომანქანებს, ეს არის სინთეზური ბოჭკო, რომლისგანაც ქმნიან საუცხოო ქსოვილებს, ეს არის ახალი ნივთიერებანი, რომლებიც დიდ დახმარებას გაუწევენ ადამიანებს მეცნიერების მრავალ დარგში, ყოველდღიურ ცხოვრებაში.

საქართველოში, სადაც არცთუ ისე დიდი ხნის წინ მხოლოდ ერთი ქიმიური საწარმო იყო, უკანასკნელ წლებში აიგო რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა. დიდი მომავლის მქონეა ეს ქარხანა. უკვე ათვისებულ მინერალურ სასუქებთან ერთად აქ იწარმოებს წყალბადციანმჟავა — მეტად საჭირო საშუა-

ლება სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასაცავად. რუსთაველი ქიმიკოსები წლიდან წლამდე კიდევ უფრო მეტ მიწის „საკვებს“ მისცემენ სამშობლოს. ამას თხოულობს ცხოვრება, ეს მიზნად აქვს დასახული საწარმოს კოლექტივსაც, რომელიც თავდადებით იღვწის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ახლა რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა ფართოვდება, მხრებში იშლება. საღამოობით ნათურებით გაბრწყინებული, იგი შორეული ნაოსნობისათვის გამზადებულ დიდ საოკეანო ხომალდს წააგავს. მის ვეება სხეულზე ხან აქ, ხან იქ თვალისმომჭრელად ელავს ელექტროშედუღების ნაპერწკლები. მიჰყევით მათ შუქს და თქვენ უსათუოდ მიადგებით კაპროლაქტამის წარმოების ერთ-ერთ კორპუსს. დიახ, სწორედ აზოტოვანი სასუქების ქარხნის ბაზაზე იქმნება ქართული კაპროლაქტამის წარმოება. ის კორპუსი კი, რომელმაც თქვენ მიგიზიდათ, ანონის კორპუსია. იგი მზადაა გასაშვებად. ეს ვეებერთელა შენობა დაქსელილია ათასობით ელექტრომავთულით, ერთმანეთში უცნაურად გადახლართული ლითონის უამრავი აჟურული მილებით. შესცქერით მათ და გაოცებთ ადამიანის აზრისა და გონების გამბედაობა, მისი გაქანება!

ანონის მიღების მთელი პროცესი ღია ცის ქვეშ იწარმოებს. ეს აუცილებელია, რადგან წყალბადთან ხუმრობა არ შეიძლება. ამიტომ მოსამსახურე პერსონალის უსაფრთხოების მიზნით აპარატები, ტურბოსადენები და სხვა ტექნიკური მოწყობილობანი მონტირებულია კორპუსის წინ რკინა-ბეტონის მძლავრ საყრდენებზე.

ანონის კორპუსის გვერდით ამართულია საწარმოს სხვა გიგანტური კორპუსები: ციკლოგექსანონის, ციკლოგექსანოლის, კაპროლაქტამის, ამონიუმის ბისულფიტის, ამონიუმის სულფატის და აგრეთვე სამაცივრო განყოფილება.

აქ მიღებული ნედლი კაპროლაქტამი გადაიგზავნება მეზობელ სინთეზური ბოჭკოს ქარხანაში კაპრონის ძაფების დასამზადებლად, ხოლო კრისტალური კაპროლაქტამი — საბჭოთა კავშირის მრავალ საწარმოში. კაპროლაქტამისაგან მიღებულ სინთეზური ბოჭკოებისაგან დამზადდება უმტკიცესი საკორდო ქსოვილი ავტოსაბურავებისათვის, სათევზაო ბადეები, ელასტიკური ქსოვილები და ათობით სხვადასხვა ნაკეთობა.

დღითიდღე ძლიერდება კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობის ტემპი. მის ხარაჩოებზე მხარდამხარ შრომობენ ქართველები, რუსები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები და ვინ მოსთვლის რამდენი სხვა ეროვნების წარმომადგენელი. ხალხთა მეგობრობის სიმბოლოდ აგებული ქართული კაპროლაქტამის გიგანტური საწარმო სულ მალე საპატიო ადგილს დაიჭერს ჩვენი ქვეყნის „დიდი ქიმიის“ საგანძურში.

გ. ქავთარაძე

**რევაზ ასაევი**

### ჩემი ვარსკვლავი

ღამეა თბილი, ცა არი წმინდა,
ბუნების სუნთქვა მიაგავს შიშინს,
და ვარსკვლავები ცვივიან ციდან,
როგორც წინწკლები ოქროსფერ ქვიშის...

ვარსკვლავნო, ასე რად სდუმხართ ყველა,
ჩამომხედეთ და მითხარით რამე.
ჩემს გულშიც ტრფობის ვარსკვლავი ელავს,
თქვენსავით სათნო და მოკამკამე.

ბევრნი ხართ, მაგრამ მწვდებით და მათბობთ,
გიცანით, ვიგრძენ თქვენი გზა შორი;
ისე, ვით ჩემი მე ვიცან სატრფო,
ლალ და მშვენიერ გოგონებს შორის.

დანათის უცვლელ სინათლის ზოლი,
ვხედავ და ტრფობის ალი მახურებს.
როგორც მან შრომით, ისე მე ბრძოლით,
ერთი ვარსკვლავი დავიმსახურე...

ღამეა თბილი, ზეცაა წმინდა,
ვისმენ უამრავ სხივების შიშინს,
და ვარსკვლავები ცვივიან ციდან,
როგორც წინწკლები ოქროსფერ ქვიშის.

თარგმანი ოსურიდან.



# სიკვდილის წინ დაწერილი ლექსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვასილ გვეტაძე**

მაღალ-მაღალი, შავქოჩორა ახალგაზრდა ეს-ესაა საკნიდან ამოიყვანეს. სვასტიკებით მკლავმოხატული ესესელები ჩაციებით მიშტერებიან პატიმარს.

პატიმარმა იცის, რომ დახვრეტა მოელის, რომ მისი ცხოვრების გზა ამ დილეგში წყდება. იგი ერთხანს დუმს. მერე წინ წამოიწევა და ხმამაღლა შესძახებს:

— ამაზე მეტ სიტყვას ვერ დამაცდენინებთ. მე მომკლავთ? ჩემს ხალხს ვერ მოკლავთ!.. თავისუფლებას ვერ მოკლავთ!.. ქვეყნის ჩარხს უკუღმა ვერ მოატრიალებთ!..

მას მიუსაჯეს დახვრეტა. განაჩენი იმავე დღეს მოიყვანეს სისრულეში. თოფმომღერილ ფაშისტ ჯალათების წინ, ხალათშემოფლეთილი, ნაცემი და ნაწამები, ის იდგა და მღეროდა ხრისტო ბოტევის სტრიქონებს:

ვინც მკაცრ ბრძოლაში დაეცა, იგი
არ კვდება, ცოცხლობს, ხსოვნაში ელავს,
და ლოცავს მიწა... დიდების გვირგვინს
თავს ადგამს ხალხი და უმღერს ყველა.

დახვრეტის დღეს კი, სიკვდილმისჯილთა საკანში მარტოდმარტო გამომწყვდეულს, განაჩენის სისრულეში მოყვანამდე სულ რაღაც ორი-სამი საათით ადრე, დაუწერია ლექსი. კითხულობ ამ ნაწარმოებს და გაოცებული რჩები. სამშობლოსადმი, ხალხისადმი, ადამიანებისადმი როგორი სიყვარული და რწმენა უნდა ჰქონოდა კაცს, რომელსაც საცაა დასახვრეტად გაიყვანდნენ, ასეთი მღელვარე სტრიქონები დაეტოვებინა შთამომავლობისათვის!

ეს მოხდა ათას ცხრაას ორმოცდაორი წლის ოცდასამ ივლისს. ის კაცი იყო ბულგარელი პოეტი ნიკოლა ვაპცაროვი, რომელსაც სიკვდილის წინა დღეებში ოცდაცამეტი წელი შეუსრულდა.

მეომარსა და პოეტს სჯეროდა, რომ ბულგარელი ხალხი მხრებიდან გადაიგდებდა ფაშისტური მონობის უღელს; სწამდა, სულ მალე დადგებოდა გამარჯვების ნანატრი დღე და სამშობლო იზეიმებდა ხელმეორე დაბადებას.

დღეს მსოფლიოს რომელ კუთხეში არ იმეორებენ ნიკოლა ვაპცაროვის იმედიანსა და მომწოდებელ სტრიქონებს სამშობლოს სიყვარულზე, თავისუფლებაზე, მომავალზე. განსაკუთრებით სათუთად ინახავს ხალხი დახვრეტის დღეს დაწერილ მის ლექსს. „გამოსათხოვარიც“ უკანასკნელი გასაუბრებაა ცოლთან.

ჩემს მიერ თარგმნილი ნიკოლა ვაპცაროვის ეს ორივე ლექსი იბეჭდება ქვემოთ.

* * *

ბრძოლაა მკაცრი,
დაუნდობიც,
ბოლოსდაბოლოს,
მრისხანე ბრძოლა...
მომავალში
მხრეში გავშლით ლაღად...
დღეს მე დავეცი...
მე სხვა შემცვლის
და გაქრა მხოლოდ
სიცოცხლე ერთი,
პირადული ცხოვრება რაღაც.

გასროლა...
კვამლი შავ ქოჩორთან
და კეფის ახლო...
ეს ყველაფერი
უბრალოა და წაიშლება...
მაგრამ იცოდე,
შენს რიგებში
და შენთან, ხალხო,
ჩვენ წავალთ ქარში,
სულ წინ წავალთ,
მძლე ქარიშხლებად.

**14 საათი. 23. VII. 1942 წელი.**
**(დახვრეტის დღე)**

### გამოსათხოვარი

**ჩემს ცოლს**

სიზმრებში გხედავ და, ვცოცხლობ ასე...
შენც, ალბათ, ძილში შეგაკანკალებს...
ნუ მიმატოვებ მე კენტად გზაზე,
ნუ ჩამიკეტავ ოთახის კარებს.
შემოვალ, მშვიდად დაგიწყებ ლოდინს...
გეამბორები და წავალ უკან...
ო, შეგვეძლება, ნეტავი, როდის,
რომ ძველებურად გავიყოთ ლუკმა!

**(საპატიმრო. 1942 წელი).**

# სასწაულის ძიება

## ნამდვილი ამბავი

ბორის რაევსკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს უცნაური ამბავი ერთმა ამხანაგმა, ექიმმა-ონკოლოგმა მიამბო. შევეცდები ისევე უბრალოდ მოგიყვეთ, როგორც თვითონ გადმომცა...

— ვიცნობდი ერთ ქალს, ირინას ეძახოდნენ სახელად. მაღალი იყო, ხმელ-ხმელი... უკვე ოცდათვრამეტი წლისა იყო, მაგრამ მაინც ეშხიანი. საერთოდ კი, ჩვეულებრივი სახის ქალი იყო... ოდნავ მოკუშული ტუჩები, მოკლე ვაჟური თმავარცხნილობა —არავითარი სხვა „განსაკუთრებული ნიშანი". თუმცა არა, ერთი ნიშანი მაინც ჰქონდა — სხვადასხვაფერის თვალები. ერთი—ოდნავ მოყვითალო, მეორე—ოდნავ მომწვანო. საოცარია, მაგრამ ეს უხდებოდა კიდეც. ჩვენი ერთი ავადმყოფი, შოფერი ხუმრობით ამბობდა: ეგ მედიცინის დაი კი არა, მოსიარულე შუქფარია, ყვითელი და მწვანე ნიშნით — „გაუხვიეთ მარცხნივ". და მართლაც, ამ ჯიქურად მიძალებულ შოფერს ირინამ სწრაფად მიუთითა — „გაუხვიეთ მარცხნივ". საერთოდ, ზედმეტად „აქტიურ" ავადმყოფებს ირინა სწრაფად გადაუკეტავდა ხოლმე გზას და ეტყოდა— „გაუხვიეთ მარცხნივ". ავადმყოფებს, რომლებიც გამოკეთების გზას დაადგებოდნენ, ერთი აკვიატებული ჩვევა ჰქონდათ — მედიცინის დებს ადევნებოდნენ. მაგრამ ირინა თავის ჭროლა თვალებს როგორც კი გადაუბრიალებდა — ყველაფერი გათავებული იყო.

ჩვენს საავადმყოფოში ის მრავალი წელი მუშაობდა. საქმეს კარგად უძღვებოდა და საზრიანი ქალიც იყო. ექიმები ძალიან ვაფასებდით. თუმცა ამას თქვენ ვერ გაიგებთ. მხოლოდ მედიცინის მუშაკს შეუძლია შეაფასოს რამდენად ძვირფასი განძია ჭეშმარიტად კარგი საოპერაციო და.

მძიმედ მოეწყო ირინას ცხოვრება. ომში სრულიად ახალგაზრდა წავიდა სანიტრად. ორი წელი ფრონტზე გაატარა. მეტად გაბედული იყო. ისეთი ჯოჯოხეთური ქარცეცხლიდან გამოჰყავდა დაჭრილები, კაცი არ დაიჯერებდა, თუ იქ შეღწევა შეიძლებოდა. თვითონ კი თითიც არ გაჰკაწვრია! სასწაულია, მაშ რა არის!

ფრონტზე ერთი მაიორი შეჰყვარებოდა. ჩვენთან, საავადმყოფოში იმ მაიორის გვარი არავინ იცოდა. ირინა ისედაც გულჩათხრობილი ქალი იყო, მით უმეტეს, იმ მაიორზე ვის დაუწყებდა ლაპარაკს; მგონი ყველაზე მახლობელ მეგობარს, ლაბორანტ კატიასაც კი არაფერი გაანდო.

ირინას გოგო გაუჩნდა. ამის გაგონებაზე ვინმემ იქნებ წარბიც შეიჭმუხნოს, მაგრამ ჭკვიანი, ავ-კარგის მნახველი და გამგები კაცი საქმეს ჩასწვდება და ირინას არ გაჰკიცხავს.

ირინა, ამის შემდეგ, რასაკვირველია, ფრონტიდან ზურგის ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

არა, მაიორზე სულაც არ ბრაზობდა. მაიორი ცოლიანი იყო, სამი შვილის მამა. ირინამ ეს თავიდანვე იცოდა და, როდესაც ბავშვი შეეძინა, მაშინვე გაწყვიტა მასთან ყოველგვარი ურთიერთობა. სამუდამოდ.

ჩვენთან, საავადმყოფოში მაიორზე ათას რამეს ამბობდნენ. ერთნი ლანძღავდნენ — არამზადაა, შვილი არ ახსოვსო. ხოლო ლაბორანტი კატია საიდუმლოდ ეჩურჩულებოდა ყველას, თვითონ ირინაა დამნაშავე, ძალიან ამაყია: მაიორმა გოგონას ფულიც გამოუგზავნა რამდენჯერმე, მაგრამ ირინამ უკან დაუბრუნა. —შენს დაუხმარებლად გავზრდიო...

კატიამ ერთხელ ფიცისქვეშ მეც კი გამანდო: ირინამ ნატაშას პატარაობიდანვე შთაუნერგა — მამაშენი ფრონტზე მოჰკლეს, მფრინავი იყო და გმირულად დაიღუპაო. მოიგონა კატიამ ეს, თუ ნამდვილად ასე იყო — არავინ იცის.

ირინა თავის გოგონასთან ერთად ცხოვრობდა. ასე იცხოვრეს თოთხმეტი წელი. ხომ გასაგებია ადვილი იქნებოდა თუ არა ეს მარტოხელა ქალისათვის! თოთხმეტი წელი, უქმროდ. ალბათ ისიც მოგეხსენებათ როგორია მედიცინის დის შემოსავალი.

ირინამ თავისი სიცოცხლე მთლიანად შვილს შესწირა. მისი საფიქრელი და საზრუნავი მხოლოდ გოგონა იყო. მარტო მისთვისღა ცოცხლობდა.

ერთხელ ოპერაციის დროს შევამჩნიე: ირინას უცებ ფერი დაეკარგა.

— ცუდად ხართ? ახლავე შეგცვლით.

— არა, გავუძლებ...

ოპერაცია დამთავრდა. მორიგის ოთახში შევიარე. ვხედავ ირინა ტახტზე წევს.

— აი, — მეუბნება დამნაშავესავით, — თავბრუ დამეხვა რაღაცნაირად. მუცლის არეში... ტკივილები მაქვს...

დაკვირვებით დავაცქერდი: ჩამომჭკნარი და ნაცრისფერი მომეჩვენა.

— ტკივილები დიდი ხანია გაქვთ? — შევეკითხე.

— ასე, ნახევარი წელი იქნება...

წამოიწია, წამოდგომა უნდოდა. ნება არ მივეცი. გასინჯვა დავუწყე და უცებ... გულისკოვზქვეშა არეში თითებში მკვრივი ხორხლებიანი სიმსივნე მომხვდა... დიდი სიმსივნე...

შევკრთი, მაგრამ როგორც ასეთ შემთხვევაში ყოველთვის, შევეცადე სახეზე უზრუნველი გამომეტყველება შემენარჩუნებინა, ვითომ აქ არაფერია-მეთქი.

— გამორკვევა მაინც საჭიროა, — ვეუბნები.

მაგრამ ირინა ხომ თვითონაც მედიცინის და არის, თხუთმეტი წლის ნამსახურევი. რას მოატყუებ!

თვალებში შემომაჩერდა, სახე შეიბრუნა და მწარედ, მწარედ ატირდა.

ამის შემდეგ მალე გავუკეთე ოპერაცია.

კუჭი ამოვაჭერი. ცხიმოვანი ჯირკვალიც მოვაცილე: მთლიანად მეტასტაზებით იყო სავსე. მაგრამ რად გინდა — ვხედავ ყველაფერი ამაოა, დაგვიანებული... სამწუხაროდ, მეტად დაგვიანებული... ნახევარ წელიწადს თუ იცოცხლებდა, თუნდაც ცოტა მეტს,—რვა თვეს, მეტს ვერა...

ოპერაციის შემდეგ უკეთ გახდა. ეს ავადმყოფებს მოატყუებს და ნუგეშს მისცემს ხოლმე, მაგრამ ირინამ ყველაფერი იცოდა, მას ყველაფერი ესმოდა.

ერთხელ, ავადმყოფების შემოვლის დროს მის საწოლთან შევჩერდი. უცებ ჩუმად დაიწყო ლაპარაკი, ჩურჩულით, ჩაფიქრებულმა. რაღაც ვედრებასავით ისმოდა მისი ხმა.

— ნეტავ სამი წელი მაცოცხლა! მარტო სამი წელი...

გავჩუმდი, მხოლოდ თავი გადავაქნიე, ვითომც დავტუქსე — რატომ სამი და არა სამოცდასამი-მეთქი.

ისევ წამოიწყო:

— შეეცადეთ. მხოლოდ სამი წელი!..

სახე შევიბრუნე, ქაღალდებში დავიწყე ქექვა, ვითომც რაიმეს ვეძებდი, ისე კი ვფიქრობდი: „მაინც საოცარია... რატომ სამი? და არა ორი, ოთხი. რატომ მაინცდამაინც სამი".

მალე გავწერეთ კიდეც. როგორც ინვალიდს, პენსიაზე გადასვლა არ უნდოდა, ხოლო საოპერაციოში მუშაობა აღარ შეეძლო: რამდენიმე საათი მაგიდასთან ველარ იდგებოდა.

საპროცედუროში გადავიდა. მუშაობდა. მაგრამ ერთხელ კიბეზე ცუდად გახდა და გრძნობა დაკარგა. თანდათან დნებოდა...

რამდენიმე თვის შემდეგ რენტგენის კაბინეტში გავსინჯეთ. არასასურველი სურათი აღმოჩნდა. მეტასტაზი უკვე ფილტვში გადასულიყო.

აი იმ სიბნელეში ჩამწვდა უცებ ისევ ჩუმი, მუდარით აღსავსე ხმა:

— ოღონდ სამი წელი! მხოლოდ სამი!

გავიგე.

— ნატაშა... სამი წლის შემდეგ... ინსტიტუტში...— დაიჩურჩულა ირინამ, — ნეტავ მოხვდებოდეს მაინც... გზაზე... გზაზე დავაყენო... მაშინ კი...

გესმით? ირინას გოგონა ჯერ მერვე კლასში იყო. და დედას მაშინ მხოლოდ ერთი სურვილი აწუხებდა, უზარმაზარი, ყველაფერს რომ ჰფარავდა, ისეთი სურვილი: ნატაშა გზაზე დაეყენებინა. ქალიშვილის ინსტიტუტში შესვლა მის სიცოცხლეშივე უნდა მომხდარიყო. ოღონდ შევიდეს. მაშინ სწორ გზაზე იდგება, მაშინ აღარაფერი გაუჭირდება.

დედას ეგონა: უფრო ადრე რომ მოვკვდე, გამოუცდელ გოგონას, ვინ იცის, საით უბიძგებს ბედიო?!

იტყვიან, ექიმებს გული ვერაფრით აუჩუყებთ, ყველაფერს არიან შეჩვეულნიო... არ ვიცი... ამას კი ველარ გავუძელ და, გულში თითქოს ყველაფერი გადამიტრიალდა...

მართლა, დამავიწყდა მეთქვა, რომ ირინა თავისი ქალიშვილით იქვე, საავადმყოფოს ეზოში ცხოვრობდა. ჩვენი ძველი, დიდი ბაღის მიყრუებულ კუთხეში კედლებგაცრეცილი, დიდი ხნის აშენებული ფლიგელი იდგა. ეს სამედიცინო დების საერთო საცხოვრებელი გახლდათ. ირინას, თავის გოგონასთან ერთად, იქ ცალკე ოთახი ჰქონდა.

ნატაშა უცნაური გოგო იყო. ხან მთელი დღე კისკისებდა, ხან კი ისე ცხვირჩამოშვებული დადიოდა, რომ ერთ სიტყვასაც ვერ ათქმევინებდი. ჩვენ, ექიმები, ნატაშას კარგად ვიცნობდით. ყველას გვიყვარდა — პატარაობიდანვე ხომ ჩვენს ხელში იზრდებოდა. ეგეც არ იყოს, სამედიცინო საქმეებში ცხვირის ჩაყოფა ძალიან უყვარდა. საავადმყოფოში იზრდებოდა და, მოგეხსენებათ, იქ მარტო კორპუსებში და საერთო საცხოვრებელში კი არა, ჰაერშიც წამლის სუნი ტრიალებს.

იქნებ დედაც ახდენდა გავლენას? ერთი სიტყვით, ნატაშამ სამკურნალო საქმე პატარაობიდანვე შეიყვარა. საავადმყოფოში რომ მოვიდოდა, კითხვას კითხვაზე დაგვაყრიდა: „ეს რატომ არის ასე?", „ეს რატომაა ისე?" ერთხელ მისი თხოვნით გაბეზრებულებმა საოპერაციოშიც კი შევუშვით.

ირინას დიდი ხანია გადაეწყვიტა: ჩემი ქალიშვილი უთუოდ ექიმი უნდა გამოვიდესო. დღედაღამ ამაზე ოცნებობდა.

...ამ სამი წლის მანძილზე როგორ ებრძოდა თავის სენს ირინა, როგორ!

ასეთ ავადმყოფებს ჭამის მადა სრულიად წართმეული აქვთ. მაგრამ ირინა თავს ძალას ატანდა და პალატაში რაც კი მოჰქონდათ, ყველაფერს სჭამდა. მიტანით კი ჩვენ სამედიცინო დებს ბევრი მიჰქონდათ: კარაქიც, ხილიც, ათასნაირი წვენიც. მთელი დღე ცოტ-ცოტას, ნაძალადევად, მაგრამ მაინც სჭამდა.

სრული თანმიმდევრობით, ყოველი წვრილმანის გათვალისწინებით ასრულებდა ექიმის ნაკარნახევს. და თანაც მოითხოვდა — კიდევ! ახლა ინექციები, წამლები!

საოცარი რამ ხდებოდა: ცალკეული წამლები, უახლესი პრეპარატები, რომლებიც მის პალატის მეზობლებს თითქმის არ შველოდნენ, მასზე სასიკეთოდ მოქმედებდნენ. დაუცხრომელი სურვილით უნდოდა, რომ ამ პრეპარატებს ეშველათ მისთვის და მართლაც შველოდნენ! რა იყო ეს? თვითშთაგონება? თუ ორგანიზმის განსაკუთრებული განწყობა?

ყოველგვარი პროცედურის მისაღებად სიამოვნებით მიდიოდა. ყველაზე მძიმეზეც კი... როდესაც ძვალშიგნითა სისხლის გადასხმა დავუნიშნე (ცუდი ვენები ჰქონდა), ასე მითხრა: „გმადლობთ!" ხომ იცოდა, შესანიშნავად იცოდა, რომ ეს მეტად მტკივნეული რამ იყო...

ირინა ხომ ძალიან გამოცდილ სამედიცინო დად ითვლებოდა, ახლა კი მედიცინის თითქოს აღარაფერი ესმოდა. დაივიწყა, რომ კიბოთი იყო დაავადებული. მეოთხე სტადიით. თითქოს სჯერა, რომ სასწაული მოხდებაო. იბრძოდა ყოველ დღეს, ყოველ საათს.

ნატაშა კი, სამწუხაროდ, სკოლაში მაინცდამაინც ბრწყინვალედ არ სწავლობდა. ისე, ოთხებზე... ხანდახან სამიანებიც გამოერეოდა. წინათ ირინას ეს არ აწუხებდა. მაგრამ ახლა მიხვდა, რომ ასეთი ნიშნები ინსტიტუტში შესვლისას ხელს შეუშლიდა. და მეტი ყურადღება მიაქცია ნატაშას. დაუწესა უმკაცრესი რეჟიმი. ყოველდღე, როგორც კი ისადილებდა, ნატაშა სამეცადინოდ უნდა ჩამჯდარიყო. იქამდე არ ადგებოდა, სანამ გაკვეთილებს არ მოამზადებდა.

როდესაც დედა შინ იყო, ნატაშას ჩაცივებით თვითონ მეთვალყურეობდა: ყველაფერი ჰქონდა გაკეთებული თუ არა. ხოლო როდესაც დედა პალატაში იწვა, ნატაშა საავადმყოფოში მოვიდოდა და რვეულებს რომელიმე ჩვენგანი გადაუთვალიერებდა.

გაზაფხული იდგა თუ შემოდგომა, ნატაშა თავისი წიგნებით ხშირად იჯდა საავადმყოფოს ბაღში, დედის ფანჯარასთან. მისი პალატა პირველ სართულზე იყო მოთავსებული. ირინას ფანჯარასთან სავარძლით მიაჩოჩებდნენ ხოლმე და შვილს დიდხანს დასცქეროდა.

ნატაშა უკვე პატარა აღარ იყო. და როდესაც დედის ასეთ გაშმაგებულ სურვილს ხედავდა, ისიც ცდილობდა. თავისთვის კი არა, დედისთვის. იცოდა, რომ ყოველი ხუთიანი დედისათვის მალამო იყო.

ისე კი მტკიცე ხასიათის გოგო იყო ნატაშა. დღისით — ვითომ არაფერიო, ერთ ცრემლსაც არ ჩამოაგდებდა. კითხულობდა, ლაპარაკობდა, ხანდახან იღიმებოდა კიდეც. ღამე კი, — გვიამბობდა კატია, — ისე გულამოსკვნილი ტირის, რომ ხმა კედელში ატანსო. ერთხელ კატიამ მიურახუნა თურმე კიდეც: „ხომ არაფერი გიჭირსო?"



# ღვაწლმოსილი მეცნიერი

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე გზირიშვილი ოცდათხუთმეტი წელია, რაც ერთგულად ემსახურება მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული ა. გზირიშვილი, სახელოვანი მეცნიერის, აკადემიკოს გ. მუხაძის ხელმძღვანელობით ეუფლება ქირურგიულ დაავადებათა კლინიკასა და ოპერაციულ ტექნიკას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ა. გზირიშვილი განსაკუთრებით ინტერესდება უროგენიტალურ დაავადებათა სფეროთი, რაც მომავალში მისი მოღვაწეობის ძირითადი სარბიელი ხდება.

1937 წელს ა. გზირიშვილმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, შვიდი წლის შემდეგ კი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მოიპოვა. მისმა სადისერტაციო შრომამ „მასალები ელექტრონეფროგრამის კლინიკური გამოყენებისათვის", რომელიც ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომისა და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების ნაყოფი იყო, სპეციალისტთა საერთო აღიარება დაიმსახურა. მომდევნო წლებში ა. გზირიშვილმა აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი მრავალი საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა. ამ შრომებმა მას საპატიო ადგილი დაუმკვიდრა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერთა შორის.

დიდი სამამულო ომის წლებში ა. გზირიშვილი საბჭოთა არმიის ერთ-ერთი შენაერთის მთავარი ქირურგი-უროლოგია. გამოცდილი დასტაქარის ოსტატობამ, ღრმა ცოდნამ და უნარმა, ფრონტის პირობებში, მრავალ საბჭოთა მებრძოლს შეუნარჩუნა სიცოცხლე.

პროფესორი ა. გზირიშვილი წლების მანძილზე ნაყოფიერ შრომას ეწევა საშარდე გზების კენჭოვანი დაავადების მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხების წარმატებით გადასაჭრელად. იგი სამოცამდე თვალსაჩინო სამეცნიერო ნაშრომისა და რამდენიმე მონოგრაფიის ავტორია. ა. გზირიშვილის შრომები ძირითადად შეეხება შარდ-სასქესო ორგანოების სიმსივნურ დაავადებებს, თირკმლის ბიოელექტროდენებს, ნიშანდებული ატომების ფართოდ გამოყენებას, ორგანოთა გადანერგვასა და სხვა პრობლემატურ საკითხებს.

ფასდაუდებელია ის დიდი ღვაწლი, რაც პროფესორ ა. გზირიშვილს საქართველოში უროლოგთა კადრების მომზადების საქმეში მიუძღვის. ღვაწლმოსილმა მეცნიერმა და პედაგოგმა წლების მანძილზე მრავალი სპეციალისტი გამოზარდა, რომლებიც ამჟამად წარმატებით მუშაობენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში.

1948 წელს ა. გზირიშვილი თბილისის მთავარ ქირურგ-უროლოგად დანიშნეს, 1951 წლიდან დღემდე კი რესპუბლიკის მთავარი უროლოგია. საკავშირო უროლოგიური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი ა. გზირიშვილი დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის უროლოგიური განყოფილების ერთ-ერთი თანაავტორი და საკავშირო ჟურნალის „უროლოგის" სარედაქციო საბჭოს წევრია.

მუდამ გულისხმიერი, თავმდაბალი, მზრუნველი და ხალხის ჯანმრთელობისათვის დაუღალავად მებრძოლი — ასეთია ღვაწლმოსილი მეცნიერი ა. გზირიშვილი, რომელიც შემოქმედებითი ენერგიით სავსე იგებება დაბადებიდან სამოცი წლისთავს. მისი ღრმა ცოდნა და უნარი კიდევ ბევრ უანგარო სამსახურს გაუწევს საბჭოთა მედიცინას, კიდევ დიდხანს საიმედოდ იდგება მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე.

დიმიტრი ნანობაშვილი

---

— არა, — უპასუხა ნატაშამ. — დაიძინეთ, მე არაფერი მიშავს.

თითქოს ბრაზობდა კიდეც.

დიახ, ფიცხი იყო... დედასავით...

ირინას ძალიან სასიამოვნო ხასიათი არ ჰქონდა. ასეთ ადამიანს იოლად ვერ დაუმეგობრდები. ქალებს უყვართ ერთმანეთს გულს რომ გადაუშლიან, ჯავრს ამოიღებენ, ის კი მეტად სიტყვაძვირი გახლდათ. ჩვენ გვეგონა, კატიას მეტი მეგობარი არცა ჰყავდა მაგრამ თურმე ასე როდი ყოფილა საქმე! როგორც კი ირინა საავადმყოფოში დაწვა, მთელი საერთო საცხოვრებელი ფეხზე დადგა. სამედიცინო დები დედასაც და შვილსაც პატრონობდნენ, კატიაზე ხომ ნუღარას იტყვით, პირდაპირ მეორე დედად ექცა ნატაშას.

ასე მიდიოდა თვეები. გავიდა ნახევარი, ერთი წელი, წელიწადნახევარი... ეს ამბავი ნამდვილ სასწაულს ჰგავდა. ირინა სხვა ონკოლოგებსაც ვუჩვენე. ყველა მხრებს იჩეჩავდა. უკვირდათ — როგორღა სძლებს აქამდე ასეთი მეტასტაზებითო... ამის შემდეგ კიდევ გავიდა ერთი თვე, მეორე, მესამე... ჩვენი პროგნოზების მიუხედავად, ირინა მაინც ცოცხლობდა.

— აი, ამას ჰქვია სასიცოცხლო ნებისყოფა, —თქვა ერთმა ჩემმა კოლეგამ.

— არა, იცი ამას რა ჰქვია? ადამიანს მიზანი აქვს! — დაბეჯითებით თქვა მეორემ.

დრო კი გარბოდა. ასე გავიდა ორი წელი. კატია დავარიგე, ურჩიე ირინას მაიორს წერილი გაუგზავნოს-მეთქი. ბოლოს და ბოლოს ფულით მაინც დაეხმარებოდა.

— არა, — მტკიცედ უპასუხა ირინამ — ჯერ ადრეა. მივწერ... მაგრამ უფრო მოგვიანებით... ნახევარი წლის შემდეგ.

და რაოდენი რწმენა იყო ამ სიტყვებში... მე, ექიმმა — ონკოლოგმა ხომ შესანიშნავად ვიცოდი, რომ ცოტაღა უნდა ეცოცხლა. ისღა დამრჩენოდა მხრები ამეჩეჩა.

ისევ მისდევდა თვე თვეს.

მთელი პალატა დაძაბული უთვალთვალებდა ამ გასაოცარ და საშინელ ორთაბრძოლას ადამიანსა და სიკვდილს შორის. ირინა ჩვენთან, განყოფილებაში უკვე ხუთჯერ იწვა და მის შესახებ ყველა ავადმყოფმა ყველაფერი დაწვრილებით იცოდა. ეს ქალი ჩვენთვის პირდაპირ ლეგენდად იქცა. დაე, თუგინდ მალაღფარდოვნადაც ჟღერდეს ჩემი ნათქვამი, მაინც უშიშრად ვამბობ, რომ ირინამ თავისი სიმტკიცით შთააგონა ყველა. დიახ, შთააგონა! არ დავნებდები სიკვდილს, თავს არ მოვუხრიო!

და აი ნატაშამ სკოლა დაამთავრა და საბუთები სამედიცინოზე შეიტანა. ახლა ის წიგნებით და რვეულებით დილიდან საღამომდე ჩვენი საავადმყოფოს ბაღში იჯდა. ასე სურდა დედას.

ირინას მდგომარეობა კი დღითიდღე უარესდებოდა. ერთხელ შორეულმა ნათესავმა ინახულა და მის გაწამებულ სახეს რომ შეხედა, აქვითინდა.

— არა, ნუ ტირი, — დაღლილი ხმით უთხრა ირინამ, — ნუ სწუხარ, არ მოვკვდები. ჯერ არ შეიძლება ჩემი სიკვდილი...

დაიწყო ინსტიტუტში მისაღები გამოცდები. ყოველი გამოცდის თაობაზე ნატაშას ანგარიში დაწვრილებით და ზუსტად უნდა ჩაებარებინა დედისთვის. ნატაშა გამოცდებს წარმატებით აბარებდა. აი, უკანასკნელი საგანიც ჩააბარა.

დედა სულ აფორიაქებულ და ნერვულ მდგომარეობაში იყო.

— ახლა კი შეგიძლიათ დაწყნარდეთ, —ვუთხარი მე, — ნატაშა უკვე სტუდენტად შეგიძლიათ ჩათვალოთ...

— ჯერ არა, — გააქნია თავი ირინამ — განა ცოტა რამ ხდება?! აი, როდესაც სიაში მოხვდება...

ის დღე, ოცდაერთი აგვისტო გუშინდელი დღესავით მახსოვს. ირინამ წინასწარ იცოდა: ოცდაერთში ჩარიცხულთა სიები უნდა გამოეკრათ ინსტიტუტში.

დილიდანვე მოუსვენრად ელოდებოდა ნატაშას. მარტო ის კი არა, მთელი პალატა, მთელი საავადმყოფო. და აი ფანჯრის ძირში გოგონაც გამოჩნდა.

— დედიკო, მიმიღეს! —ხმამაღლა შესძახა გოგონამ.

დედამ გაიღიმა. არა, კი არ გაიღიმა, ტუჩები როგორღაც ოდნავ განზე გასწია, რომ ნატაშასათვის თავისი სიხარული ეჩვენებინა. ისე უღონოდ იყო, მეტი არაფერი შეეძლო. მთელი პალატა ხარობდა მასთან ერთად.

— მოდი აქ, — ხმადაბლა დაუძახა დედამ, —ახლო მოდი!

გოგონა ფანჯარას ზედ მოადგა. დაბალი, სუსტი ხმით, თანაც თითქოს სულმოუთქმელად და აუღელვებლად, იმდენად დინჯად, რომ ნატაშას გაგონილი არ გაჰკვირვებოდა, დედამ შეატყობინა, —შინ, ჭურჭლის კარადის მარცხენა უჯრაში, კონვერტში ბარათი დევს, სადაც მამის სახელი და მისამართი სწერია. ის არ დაღუპულა, ცოცხალიაო. ისიც უთხრა, რომ სვერდლოვსკში მამასთან წასასვლელად კატიას მისთვის ბილეთი უკვე ნაყიდი აქვს. „ნატაშა, შვილო, ოთხი დღის შემდეგ გაემგზავრებით; დიდი ხნით არა, მამას ინახულებ და დაბრუნდებით. მამა გიცდის. უკვე მივწერე და შევუთანხმდი კიდეც.

— აი... ყველაფერი, — დაუმატა ირინამ —ახლა კი მშვიდობით. წადი.

შვილი წავიდა.

ირინა იმავე ღამეს გარდაიცვალა.

და ჩვენ, კიდევ ერთხელ, ჩვენი თვალით დავინახეთ სიყვარული სიკვდილზე ძლიერი რომ ყოფილა!

თარგმანი თამარ ღვინიაშვილისა





ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲣᲚᲜᲐᲠᲐ ᲑᲐᲮᲑᲐᲫᲔ

მოთხრობა

მხატვარი

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲐᲫᲔ

# სოვინო

## ᲗᲔᲤᲘᲚᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ

ღარჩა ამ დალოცვილ ღმერთს კალთაში წყლის ნატამალი? ცა ჩამოიქცა. ალიონზე, როცა გამოიდარა, დამბალმა მიწამ სლიპ გულზე სოფელი ვერ დაიჭირა, მოცურდა სახლი, მიწის შებარბაცება იგრძნო ცხოველმა, დაფრთხა ფრინველი, ჭერზე დაკიდებული ლამპა იქით გაიქცა, მერე აქეთ, კედელს მიენარცხა და გასკდა.

— მშვიდობით ჩემო ჭერო, ჩემო ფუძევ! — თეფილამ წვიმით გაბანილ ვაზის ფოთოლს აკოცა და გამოეთხოვა.

რუხოს ამის დანახვაზე საფეთქლები დაებერა. იგრძნო, სისხლი რომ მოაწვა ტვინს, თვალებს და ბოლმა მიებჯინა ყელს.

— თეფილა, დაიცა შე კაცო, გადაგეხვიო ძმაო, — უნდა გასძახოს გზაზე დამდგარ თეფილას რუხომ და ენა ებმება.

თეფილა ძუნძულით დაეშვა თავდაღმართში და ბილიკს დაჰყვა.

— შენ უკან არ გაიარე, შევიდეთ პალატში — უთხრა ქმარს ტასომ.

რუხო დუმდა. არ ესმოდა ცოლის მუდარა, ვერ ხედავდა როგორ უთრთოდა მას ბებერი ძვლები. მიდიოდა კარის მეზობელი და ამ კაცს თან მიჰქონდა მისი გული, მისი გონება. ერთი საშოდან არ შობილან ეს ორი კაცი, თორემ სხვაფრივ ძმა იყო თეფილა რუხოსი — ჭირის გამყოფი, ლხინის მოზიარე. ახლა ეყრებოდა ეს ძმა, მიდიოდა მისგან, მიდიოდა სოფლიდან, მიდიოდა და თითქოს მიჰქონდა თავისი წილი სითბო. სოფელში სიცივე მატულობდა. ქარი პერანგს უფრიალებდა რუხოს. ძვალ-რბილში უძვრებოდა, თმასა და წვერს უწეწავდა.

— შე კაცო, გევითოშე, წავიდა ის კაცი, აღარ მოჩანს, იმ გზაზე სხვა რა დაგრჩენია? — ტასო რუხოს შინისაკენ ეწეოდა.

რუხო თითქოს გაქვავებულიყო, იდგა, გასცქეროდა ბილიკს. რამდენი უვლია ამ ბილიკზე თეფილას. სად არ ყოფილა და სოფელში მაინც მობრუნებულა...

თეფილა თვალს მიეფარა. რუხო მაინც გასცქეროდა ბილიკს და ფიქრობდა ამ მიწაზე. ჯერ იყო და გულზე ბალახსაც არ იკარებდა. გარეთ მოწეულ პურს და ლობიოს ჭამდა რაჭველი კაცი. დიდხანს იყო მოუსავალი ეს მიწა. ადამიანი ეპიდავა, არ მოასვენა, ვიდრე მისი გულიდან ხავსი არ ამოქაჩა. მიწამ ჯეჯილი დაიყარა გულზე და გაიხარა მაშინ ადამიანმა. როგორც იქნა, თავი ანება გარე-გარე ლუკმისთვის წანწალს, რომ ისევ უღალატა მიწამ — ახლა წყალი ჩაუდგა გვერდებში და მეწყერად მოაწვა სოფელს. ღმერთი იყო თუ რაღაც განგება, არ ხუმრობდა. უსულო ერთის დაკვრით ალგავა დედამიწიდან, სულიერს კი ანიშნა — წადით, ვიდრე ცოცხალი ხარ. ხევში ეგდო დამხრჩვალი ვაზი, ვეება ხეები, ვაშლით და მსხლით დახუნძლული, ყველაფერი ხევში ეყარა, თითქოს ეწადა მიწას ადამიანის ხელით მოტაცებული დოვლათის დაბრუნება.

წავიდა თეფილა... რუხოს ყურში ისევ ესმოდა ამ კაცის ფიცი: გინდ გასკდეს მიწა და ჩემი მონაგარი შიგ ჩაიტანოს, აქედან ფეხს ვერ მომაცვლევინებთო.

თეფილას ერთხმად აუბა მხარი სოფელმა, იხვეწებოდა თავმჯდომარე:

— წყალში ხომ არ ვდგავართ, თქვე დალოცვილებო, მთავრობამ ხელი გაგვიმართა, იზრუნა ჩვენზე, ახლა იქ, სადაც მიხვალთ, მიწაც დაგიხვდებათ და სახლებიც მზამზარეული.

— ჩემი შებოლილი პალატი სხვაგან სამოთხეს მირჩევნია — ჯიუტობდა თეფილა.

ამ სიტყვას ადგნენ დანარჩენებიც.

მიწა გარინდული უსმენდა სოფელს. ერთხანს თითქოს შეუშვა ხელი, თითქოს უცდიდა როდის მოიკრეფდა ადამიანი გონებას და, როცა ეს სიკეთე ვერ დაუნახეს, გაჯავრებულმა ისევ იცვალა გვერდი.

დაფრთხა ფრინველი, ლამპა კედელს მიასკდა, თავბრუ დაესხა ადამიანს, დაბარბაცდა და დაჯდა მიწაზე.

თეფილამ ნაღრძობი თეძო მიწიდან ძლივს აათრია. რუხოს შეხედა. რუხო მიუხვდა ბებერს სათქმელს და შეუყვირა: მე რას მიყურებ? ჩემი აყოლა ვის რად არგია? გინდ დღეს მოვმკვდარვარ, გინდ ხვალ...

რუხოს საყოყმანო არაფერი აქვს, მაგრამ თეფილამ რა ჰქნას? „მივატოვო, ბიჭო, აქაურობა?" — თეფილას ხმა აუთრთოლდა.

— თავი გაბია და თვითონ გადაწყვიტე, — გაჯავრდა რუხო. ურჩიოს რამე? ამაოა. მიწის მეორედ შებარბაცებამ ყველა დააფრთხო. სული ტკბილია. გატეხა სიტყვა ხალხმა და დაიძრა თავის გადასარჩენად. ორ დღეღამეში ერთი კაცივით გაიკრიფა მთელი სოფელი. თეფილაც იმათ გაჰყვა.

— კაცუნა, შევიდეთ სახლში, — ტასომ ისევ შეავლო ხელი რუხოს. რუხო ფიქრიდან გამოერკვა, ზანტად შემობრუნდა და ტასოს გაჰყვა.

ბებრები მდუმარედ აუყვნენ აღმართს. უხმოდ შევიდნენ პალატში. რუხო კარადასთან შეჩერდა. ბოთლი მონახა, მოიყუდა, მერე ზოზინით მივიდა ტახტთან. ფეხსაცმელი გაიხადა, ბლუზა აიძრო ტანიდან და შეიკურთხა.

— ჰა? — გაეპასუხა ტასო.

რუხომ ბალიშში ჩარგო თავი და ნაცემივით მიეგდო ტახტზე. ბუხარს მიაშტერდა —ბუხარში მუგუზალი ღვიოდა, ენთო პატარა ცეცხლი. ის ცეცხლი ათბობდა რუხოს გულს, ათბობდა მის კერას, მის ბებერ ძვლებს. გარეთ კი ციოდა, ძალიან ციოდა. სითბო როგორ იქნებოდა, როცა სოფელში ორი ადამიანიღა სუნთქავდა, ვიღას რათ უნდოდა ეს დამეწყრილი სოფელი... იდაყვს დაეყრდნო, რაფაზე აფარებული ფარდა გადახსნა. გარეთ ბნელოდა. ღამე შავი იყო, როგორც არასოდეს. ერთი ლამპის შუქსაც ვერ ხედავდა რუხო, მეზობლის სუნთქვა არ ესმოდა და სული ეხუთებოდა.

— დადე თაუკა ბალიშზე, ასე რამ წაგახდინა — უწყრებოდა ტასო.

— ღმერთმანი, არ მეგონა თეფილა თუ შეელეოდა აქაურობას — ძლივს ამოღერღა რუხომ.

— იქნება გგონია შენ სხვაბრე მოიქცეოდი? თავი მაშინ არ გიღირს არაფრად, როცა საზრუნავი არავისზე გაქვს. იმას კი კუდუნები ჰყავს.

— გაეშვა ბიჭუნები, თვითონ დარჩენილიყო, გინდ მეწყერს მოუკლავს ბერიკაცი, გინდა დარდს თავის სოფელზე.

ტასომ სკამი მიაჩოჩა ტახტთან. სკამზე თეფში ლობიო და ნატეხი მჭადი ეწყო.

— შეჭამე რამე.

რუხო ჭერს უყურებდა. ჭერი ნაჭერ-ნაჭერ მჭვარტლს შეეჭამა. ერთგან ღრუბელი ისახებოდა, თითქოს კაცის სახესაც ხედავდა რუხო, აქეთ კუთხეში ძაღლის თავიც ეჩვენებოდა.

— ტასო, გძინავს?

— ცხენი ხომ არ ვარ შე კაცო... ზეზეულად რა დამაძინებს?

— ჯოლბორდი მაინც სად გაქრა, ქალუკა?

— ძაღლი მადარდე ახლა!

— დასწყევლოს ჩემმა გამჩენმა. პირველმა იმან შეიცხადა, ისე ყმუოდა, გეგონებოდა მკვდარი უდევსო წინ. მერე წასულებს გაჰყვა თან.

— მობრუნდება, თუ არა და წაიღოს შენი ჭირის — თქვა ტასომ.

რუხო გაყუჩდა, ისევ ჭერს შეჰხედა, იქ ძაღლიც დადის, ყვინჩილა მამალიც და ვიღაც კაციც. რუხო აკვირდება ჭერს, — ნეტავ ვინ არის ის კაცი?

— ტასო, ბოცო სადღა გაქრა? იმას მაინც რა ებადა, გახრეკილი თავის გარდა!

— რა ვიცი, ჭი...

— ტასო, წერილას ვინ მოგვიტანს?

— ქვე ფეხები რისთვის გინდა, ჭი?

— მე მეუბნები?

— აბა ვის ვუთხრა? კუტი ხომ არა ხარ? ჩახვალ და ამოიტან.

— რატომ ვარ კუტი? ჩავალ, ქვე რავა არ ჩავალ? ნელ-ნელა დავყვები ბილიკს. და... მერე ნელ-ნელა ამოვყვები ისევლე, აბა, არ ჩავალ? — რუხომ თავი ბალიშზე დააგდო.

ქარმა კედელს მოახეთქა თუნუქის ყუთი, მერე მძლავრად მოაწყდა კარებს და ყუთი ძირს დააგორა.

— ტასო გძინავს? — შეეკითხა რუხო, — არ გეშინია?

— რისი, შე კაცო? ქარი რომ წუის?

— მარტონი ვართ.

— მარტონი არ ვართ ჩვენი ღლე და წუთისოფელი?

— სოფელში ჩვენს გარდა აღარავინ არის. მეწყერის შიშით იქნება სახლიკაციც არ მოგვეკარის.

— ქვე რავა ქალუკასავით ამოგიჯდა გული, შე კაცო! დაიძინე. ხეჭეჭურა უნდა დავკრიფოთ ალიონზე.

— მსხალი?



— ჰო, მხხალი. მხხალიც და კომშიც...
— არაფს გამოეხდით?
— რად გიკვირს, შე კაცო? აბა გულხელი დავიკრიფოთ?
— მაგას ვინ გეუბნება, შე ქალო? ადრე გამომაღვიძე — რეხო ტახტზე წამოჯდა.
— სად მიხვალ ნეტავი?
— არსად, — რეხოს სხეული უთრთოდა, სციოდა საბანი დაუცურდა და ხელით ამოსწია. — ტასო, ადრე გამაღვიძე....
— ქადაგად დაეცი? ყრუ ვარ თუ ჩერჩეტი? გამოშუშდი, იქნება შეგაციევა?
ტასო ჩაწვა ლოგინში, სუნთქვა არ ისმოდა მისი, მაგრამ არ ეძინა. რეხოს თვალსაც არ ეკარებოდა რული, ისევ ბუხარს გასცქეროდა. ვეებერთელა ჯირკიდან დარჩა ლალის პატარა თვალი. აჰა, გაქრა ისიც და გაშავდა ოთახი. რეხოს ჩურჩული მოესმა. თითქო კარებს უკან ამომალულა ვილაც და ტირის. ასო-ასო ჩაესმოდა ყურში ქვითინი. რეხოს წამით ძილი მოერია და უცბად ისევ გაიღვიძა, თვალები გაახილა. თავზე ედგა თეთრი ლანდი. მოდიოდა პერანგისამარა, ფეხშიშველა ტასო.
— გძინავს რეხოუკა? — გაიწი კედლისაკენ, — ამბობდა იგი.—გაიწი ცოტათი, — ტასომ მის ფეხთით ბალიში დააგდო.
რეხო უკან იწევდა. უკვირდა: რა ხანია ცოლი მის ფეხთით არ დაწოლილა. რეხო ცოლის გამხდარ ფეხებს საბანში ფუთნიდა და ტასოს ესმოდა მისი გულისცემა. გული ყრუდ სცემდა. სადღაც შორს, ძლივს გასაგონად, თითქო ნაბიჯები ამთავრებდნენ გზას.
— ქვე რა დაგაძინებს, ფეხი გაგყინვია, — ამბობდა ტასო და ხელით ათბობდა ქმრის გაძვალტყავებულ ძარღვიან ფეხებს.

• • •

გარეთ ისევ ქინქლავდა. ფოთლებზე წვიმა ხმაურობდა და ეს იყო ახლა მიტოვებული სოფლის მაჯისცემა.
— ქვე რავა ჩამოგტირის ცხვირპირი? ამ მიწის ბედი ხომ არ გატირებს? — თქვა ტასომ და ცას შეხედა. წინ გუბე ვერ დაინახა და შიგ ჩაბოტა, კოჭებამდე ტალახში ჩაეფლო.
— ფუი, ამისათვის გელრიჯე ღმერთო? შენდობა არა გაქვს? მძიმე ვარ? ეს დალოცვილი მიწა მეც ველარ მზიდავს? ვაი მის პატრონს. მარტო ყოფნა არჩია, იქნება უნდა, რომ მოსპოს ამ სოფელში ადამიანის სახსენებელი. ჩიტს და კალიას მაინც ვერ დაუშლის მის მკერდზე ნავარდს. ჩაყლაპავაც რომ მოუნდომოს, ისინი ჰაერში გაჩერდებიან. ტასომ ღმერთს მომგონი შეაგინა, გასწორდა წელში, და ტალახში ჩაფლული ფეხი ამოიტანა.
— ვაი, შენ ჩემო თავო, ეს ხომ აყალოა, რამ შეგაშინა? — ტასომ მიწაზე ლონივრად დაადგა ფეხი, — რას მემუქრები? შენ არ მომიკვდე, ვერ მომერევი, ვერა, იმიტომ, რომ სული მიდგას პირში. სანამ ცოცხალი ვარ, არ მეშინია შენი. მე ვარ შენი ბატონ-პატრონი — მინდა ვხნავ, მინდა ვთესავ, გჯიჯგნი, გაწვალებ. შენ კი მაინც მახარებ, პურს მაჭმევ, ღვინოს მასმევ. ოღონდაც გულხელი თუ დავიკრიფე, მაშინ კი ვიცი, მომდგები, ულმობლად მომდგები, ყველაფერს მაზღვევინებ, რაც თვითონ ფერი და ხორცი შემასხი, თვითონ შემიჭამ. ახლა კი ვერ მომერევი, — ტასომ შეწებებული ფეხი მიწაა ლონივრად ამოგლიჯა და გავიდა წინ.
მიდის ტასო, ატალახებული მიწა ფლოსტებს ეზილება. ფეხი უსხლტება, მაინც მიდის და ამხნევებს თავს.
აყალოა, წყალში აზელილი მიწაა, ნუ გეშინია ტასო. აი, თეფილას პალატს მიუახლოვდა. პალატის კარის წინ ფიჩხი ყრია. ამისათვის გამოვიდა გარეთ. ტასომ მკლავზე შეიწყო ფიჩხი, წელში გაიმართა და უცებ გაყუჩდა: თეფილას სახლიდან ხმაური ესმის, თითქო იქ ვილაც დადის. ვინ უნდა იყოს? ძაღლი თუა, ჯოლბორდი, ჯოლბორდი!
ტასომ ზღურბლთან დაყარა ფიჩხი, ტალახიანი ფეხები ზედ გადაალაჯა და მოღიავებულ პალატში შევიდა.
— ჰეი, ვინა ხარ მანდ?
პალატი ცარიელია, ცივი. წინათ კი აქ მუდამ ენთო ცეცხლი... ხმაური ისევ გამეორდა, გატკაცუნდა რალაცა და ქალი შეკრთა. კოჭთან აეწვა, ზედ ხელი იტაცა. ტკაცუნი ისევ და ისევ გამეორდა, გაოცებული ტასო ბუხრის გულს დააკვირდა. იქ მუცელგაფატრული წაბლი ეყარა.
— წაბლი? — აღმოხდა ტასოს. ბუხრის წინ დაიჩოქა და ნაცარი გადაქექა. წაბლი ნაცრიდან ამოკრიფა, ხელისგულზე დაიყარა. თითები დაეწვა.
— წაბლი, წაბლი! — იმეორებდა ტასო და თავისი კაბის კალთას დასცქეროდა. შემწვარი ნაყოფი თავისით იკრიფებოდა.

## სიზმარი

რეხო ტახტზე გამოტილა. თვალები დახუჭული აქვს, მაგრამ ხედავს, რომ ძიწა იწვის, ცეცხლი ეკიდება ხეს, წყალს, ქვას. ცეცხლი გრგვინავს, ტრიალებს, — უფ! — იხრავს რეხო; კიდევ კარგი, რომ ხალხი გასულია სამშვიდობოს. მერე უეცრად ქრება ცეცხლი. ხაცარტუტად ქცეულა სოფელი. ბოლი იფანტება, რეხო თვალებს ისრესს და წინ ადამიანი წარმოუდგება, ხელით ანიშნებს — მომყევიო. რეხო ძისდევს და, უეცრად ეს კაცი თვალიდან ეკარგება. რეხო ეძებს იმას და ახლა თავისი კარების ზღურბლთან სხვებსა ხედავს, დგანან ერთი დიდი და ერთი პატარა კაცი. ჭრელჭრულები აცვიათ ორთავეს. ხელთ ძახვილი ჩეძოდნები უპყრიათ.
— მამაჩემო!—იყვირა უფროსმა და რეხოს შეეგება.
რეხო გაქვავდა. შეაკრთო ამ სიტყვამ, უკან დაიწია.
— მამაჩემო! — იმეორებს ის კაცი და რეხოსაკენ მოდის. რეხო ხეს ეხეთქება ზურგით და ფხიზლდება.
— ვინა ხარ?
-- მამაჩემო, ვერ იცანი შენი ბასილა?
რეხოს თავბრუ ეხვევა. ყურს უგდებს ამ კაცს, თვალით კი ყმაწვილს აკვირდება. იცინის ყმაწვილი და აჩენს დაბრეხილ კბილებს, რეხოს თავი წისქვილის ქვასავით დატრიალდა. გარშემო ბრუნავს ყველაფერი, ყირაზე დგებიან ხეები, სახლები და ეს ორი ადამიანი. რეხო იხრავს.
— ბასილა, ბასილუკა არა ხარ შენ? — რეხო უფროსის ხელებს მხრებიდან იშორებს და მკერდში იკრავს შავგვრემანა ბიჭს.
— ბებერო, ვერ მიცანი? ეს ჩემი შვილია, შე კაცო. ამდენი ხახია არ გინახივარ, მაინც ყმაწვილი გეგულებოდი? ხანი მომეცა, დღე მომემატა, თმა გამითეთრდა. ეს პატარა რეხოა, მამი, შენი სახელი დავუძახე...
— შვილო, შვილო, — ყვირის, ღრიალებს მოხუცი და გულში იხუტებს კრეჭია ბიჭის თავს.
უფროსი იცინის: შევიდეთ სახლში, დედუა მომენატრა, ცივა, ცეცხლი დავანთოთ. ბნელა, სოფელში ხალხი რატომ არ ჩანს მამაჩემო, დედუა სად არის?
რეხო ისევ ყმაწვილს შესცქერის. ასე მოჩიტული გაჰყვა ბასილა მამას საშოვარზე შორეთში. ბევრი იარეს მამა-შვილმა და უცხო ცის ქვეშ ვინმე ნოსიტონს შეეკედლნენ. ლუკმის ფული იშოვა რეხომ. კუჭი დააცხრო, მაგრამ გულმა დაუწყო ტეხა. იმას სწყუროდა რალაც, შიოდა, ითხოვდა შველას. არა, მეტის მოთმენა აღარ იქნებოდა, — კაკლის ჩრდილს დახატრულმა თავის ქვეყანას მიაშურა. შინ პირშერცხვენილი გამოეცხადა ცოლს, ფული არ გვეყო. ერთად წამოსვლა კი უფულოდ არ იქნებოდა, მოვკვდი უშენოდ. ის ბიჭუნაა, უფრო გაუძლებს. ფულს იშოვის და მალე ჩამოვაო.
ტასოს მაშინ არაფერი უთქვამს. არც მერე ესაყვედურებია ქმრისათვის. ახლაც სდუმს, არაფერს ამბობს, არც კი ახსენებს შვილს, ბერიკაცს სატკივარი რად უნდა აუშალოს? კაცი ისედაც დალია დარდმა. რეხო კაცია და ვერ იტირებს. სამაგიეროდ არაყს სვამს და გულს ითუთქავს. ტასო კი ჩუმად არის, სამოცი წელია ჩუმად არის. მალავს ცრემლიან თვალებს. ღამით კი საბანქვეშ ქვითინებს. რეხოს ესმის ცოლის ვედრება: ღმერთს ეხვეწება ტასო: — სიმწარეს ნუ ჩაატან რეხოს საფლავში, ისე არ მოჰკლა, შვილი რომ არ ანახოო.
— ტასო, აგერ ბასილა ჩამოსულა, ქალო, ბასილა, სადა ხარ ქალუკა? ახლა ველარაფერი მოგვერევა. შავი ჭირი მეტკაცს თუნდაც. მოდი, მეწყერო, ჩამოიქეცი ცაო. ესეც შენ მიწავ, მოგერია თუ არა ადამიანი? შენი გულიდან მდინარეები გადმოჩქეფენ, შენ ერგებები იმათ და ისინი მიდიან შორს, ძალიან შორს, მიდიან და იკარგებიან. სათავეს ვერასოდეს დაუბრუნდებიან. ადამიანი კი მდინარეზე უფრო ძლიერია, დროზე უფრო ძლიერია. ცოცხალი კაცი წავა შენგან და სადაც არ უნდა წავიდეს, თუ მოინდომა, ისევ მოვა, კერას მაინც დაუბრუნდება. ქალო, სადა ხარ, შე დღეუბედურო? დაბრუნდა, შენი ბასილუკა. სტუმარი მოიყოლა. სცივა ბერიკაცს, შეშა შეუკეთე ბუხარს, ტასო! — ყვირის რეხო. ყელს რალაც ეჭყინება, გული თითქოს ამოდის ზევით და ახრჩობს. რეხო თვალებს ახილებს — სიზმარი იყო თუ ცხადი?
ოთახში არავინ არის.
რეხო წევს. ოფლში გაზუზული თავი მძიმეა, ტყვიასავით მძიმე.

## სიყვარული

სამშვიდობოზე გასული ხალხი ჯერჯერობით ისევ სოფლის ახლოს წრიალებდა. ბოცო კანტორის წინ დაგდებულ სალებავმიმხმარ კასრზე ჩამომჯდარიყო და აფორიაქებულ ხალხს უთვალთვალებდა, ველარ სცნობდა დინჯსა და მშვიდ მეზობლებს. მირბი-მორბოდნენ დაბნეულები, ნერვიულობდნენ, საზრდოს იმარაგებდნენ, თითქო აქვე, თავის მიწაზე კი არა, მოუსავლეთში მიდიანო.
— ჭამე! — შიომ ჭადის ნატეხი მიაწოდა ბოცოს.
ბოცომ შეხედა და უარის ნიშნად თავი გადაიქნია.
— დალიე ბოცო, შეგახურებს!
თეფილამ არყის ბოთლზე უჩვენა: ბოცომ ტუჩთან თითები მიიტანა.
— თუთუნი უნდა, — თქვა შიომ და შარვლის ჯიბიდან ქისა ამოიღო, ქისიდან — დაკეპილი ფოთოლი და ხელისგული აუვსო ბოცოს.
— პური ჭამე, პური — ანიშნა ლასიკომ.
ბოცომ ჯიბიდან გაზეთის ქაღალდი ამოაძრო, ზედ წეკო დაყარა, დაგრიხა ქაღალდი, გაახვია და ენა აუსვა. ლასიკომ ანთებული ასანთი ბოცოს ტუჩებთან მიუტანა. ბოცო ქაჩავს კვამლს. ღმერთი გიშველის შიო, ამბობს გულში ბოცო. თუთუნი წამალია ახლა ბოცოსათვის. უმძიმს, უჭირს ამ ხალხთან განშორება. გული ეთუთქება, ტირილი უნდა, მაგრამ ვინ დაუჯერებს? მუნჯია ბოცო, განგებამ ენა წაართვა და რახან ენა არა აქვს, ამ ხალხს ჰგონია ტვინიც არ აქვსო.
ბოცოს გული ემდუღრება: მიდიან მეზობლები. ვინ იცის ნახავს კიდევ ამათ? მას კეთილი გული აქვს, სიყვარული შეუძლია. ბოცოს ხომ ყრმობიდან დააქვს გულით ერთი ქალის სახელი.
— ტასო გახსოვს? — თითქოს ვილაც ჩასძახის ფიქრში.
— ჩუ, შე ტვინგაწყალებულო, რა დროის მაგის გახსენებაა?
ბოცოს თავის სიცოცხლეში სხვა ქალი არ ჰყვარე-



ბია, ტასო რამ უნდა დაავიწყოს! ქალუკა, არ გახსოვს ის შემოდგომა? ბებერი კაკლის ხე... ახლაც დგას იგი სოფლის ბოლოს. იმ დღესაც აქ მოელოდა ბოცოს ტასო. ის კი არ გამოჩნდა. აბა რა იცოდი ტასო, რომ ბოცო მაშინ ძალათი შეაგდეს მარანში: ქორწილი შენი იქნება და საქორწილო ღვინოც შენ დაწურეო.
ბოცომ მარანში დაალამა. მერე ლასლასით შინ მიაშურა, თავი სტკიოდა, სიცხიან ბოცოს კომბოსტოს ფოთოლში უფუთეს შუბლი, ძმარში უზილეს ტანი. ტვინის ანთება ჩაუქრეს მკურნალებმა, მაგრამ ენა წაერთვა კაცს. ტკივილმა რომ გადაუარა, ტასო მოაგონდა, კაკლის ხისკენ გაიქცა, მარანს ჩაურბინა, მარანზე დიდი კლიტე დახვდა, გაიოცა: ვინ დაკეტა მარნის კარები? მარნის სახურავზე ნუშის გაკვირტული ტოტი იცინოდა. ნუთუ გავიდა შემოდგომა? ზამთარიც გავიდა? გაზაფხულია? რამდენხანს მტკიოდა თავი? — ფიქრობდა ბოცო და მიდიოდა, მიდიოდა და სიმღერა ესმოდა. გოგო-ბიჭებს მკლავი მკლავზე გადაეჭდოთ და ფერხულს ცეკვავდნენ. ბოცომ ფეხს აუჩქარა. ტასოც აქ დაინახა. მიიჭრა მასთან და წრეც აქ გათიშა. გაშალა ხელი და ქალს გადასდო მხარზე. ტასო დაფრთხა, ბოცოს დაუსხლტა და რეხოს ამოეფარა.
„...მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი ბოლოწითელი" — ამბობდა წრის ნახევარი.
„...მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი ბოლოწითელი" — იმეორებდა მეორე ნახევარი.
ფერხული ხურდა. ბოცოს გაეღიმა. კიდევ სცადა წრეში ჩადგომა, მაგრამ ახლა წინ რეხო გადაეღობა. მისი თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ. ბოცოს არ ეპიტნავა მისი ბრაზიანი სახე, უნდოდა მოედო კეფაში, მაგრამ... ტასო ჩააფრინდა რეხოს მკლავს და ხელი ვერ გაამვებინეს. მაშინ ბოცომ უკან გადადგა ნაბიჯი. ის ყველაფერს მიხვდა. ნელ-ნელა მოშორდა ფერხულს და განზე გადგა. მას შემდეგ განზე დარჩა ტასოსაგან. ბოცოს ფერხული არასოდეს უცეკვია. მოშორდა მეზობლებს და შეიყუჟა პალატში. საქმე მიანდვეს, ფოსტა მოჰქონდა სოფელში, მაგრამ ბოცოს დიდ ჭკუას არავინ ეკითხებოდა, არც ტოლად იხდიდა ვინმე. განა ვერ ხვდებოდა ბოცო? მაგრამ მაინც უყვარდა ეს ხალხი. ახლა კი მიდიან მეზობლები და გული ეთუთქება. გაჰყვეს ამათ? იქ, ტასო დარჩა. სად წავა ბოცო? სხვაგან რა დაჰკარგვია? არა, ბოცო ვერ მიატოვებს სოფელს. ტასოს წერილებს ვინღა ამოუტანს ფოსტიდან! დედაბერს ერთი სიხარული აქვს, იმას ვერ დაუკარგავს.
მუნჯი მეზობლებს თვალით გამოეთხოვა, თოფნაკრავივით წამოიჭრა და სირბილით დაადგა ბილიკს სოფლისაკენ.

• • •

— მეძახდი, ტასო! აქ რას აკეთებ, შე ქალო?
ტასო შეკრთა. მოღიავებულ კარებში რეხო იდგა. ქალმა ხელში მოიგდო კაბის კალთა, ფეხზე წამოიჭრა და რეხოსთან მიირბინა.
— შემოგევლე, ერთი შეხედე ამას!
— წაბლია?
— ჰო, ჰო!
— თეფილას ცეცხლი შეუნახავს. ბოშენები წაბლს წვავდნენ წუხელის — ტასომ ბუხრის წინ ჩაიმუხლა, ხელით გაჩხრიკა ნაცარი, გული გადაუშალა.
განახშირებულ ბუხარში მეგეზალი წითლად ალაღლადდა.
— მერე რას უცქერი? გახსენი ლადარი, --- თქვა რეხომ და ბუხრისაკენ წავიდა.
— დავანთოთ?! — ტასოს კუთხეში მიყრილ ფიჩხისაკენ გაექცა ხელი.
— ვერ ხედავ ცეცხლი სულს ლაფავს. — რეხომ ფიჩხი აართვა ტასოს და ბუხარში ჩატენა. — აქეთ გამოდი, ქალუკა, მაგას მე მივხედავ. თავი არაყი წამოვიღე, შეშას კი არა, ქვას შეჭამს, ისეთი მაგარია — რეხომ ფიჩხზე დაამხო ბოთლი.
პალატში არაყის სუნი დატრიალდა. ბუხრის პირიდან ცეცხლმა იფეთქა.
— აჰა, რეხო დაუმატე, — ტასო ოთახში მიმოფანტულ ქაღალდებს დასწვდა და ბუხართან მიარბენინა.
— ნუ გეშინია, აღარ ჩაქრება, გადარჩა სიკვდილს ცეცხლი. ცეცხლს სითბო მოაქვს და უნდა ენთოს, თორემ შესცივათ ადამიანებს. ესეც შენ — რეხომ არყიანი ბოთლი ცეცხლზე ისევ დააპირქვავა.
ბუხრიდან ახულმა წითელმა ალმა ოთახი გაანათა.
— არიქა, აქეთ გამოდი, კაცუნა, ალი არ მოგწვდეს!
— დამაცა, — რეხომ ცოლს ხელი გააშვებინა. დასწვდა ბუხრის კუთხეში მიგდებულ ჯირკს და აბრიალებულ ფიჩხზე დაამხო. კუნძმა ჩატეხა ფიჩხი და ჩაჯდა შუაგულში.
— ქვეც შენ — რეხომ ცეცხლზე არაყი კვლავ მოასხურა.
იისფერი ალი კუნძს ჯერ გვერდიდან აეკრა, მერე გარშემო და ბუხარი მოჰყვა გუგუნს. გუგუნებდა ბუხარი. გუგუნებდა პალატი. ზანზარებდა მიწა, წოდა ყავარი ჭერს ზემოთ და რეხოს დასცხა, დასცხა როგორც წუხელის. ოფლში გაილვარა.
ბუხარმა ცეცხლის წითელი ენა გარეთ ისროლა და რეხოს მარცხენაზე წაეპოტინა.
— გამოდი კაცო, არ წაგეკიდოს, — შეშინდა ტასო.
რეხოს ნაბიჯი არ მოუცვლია. ცეცხლი არ კბენდა, ცეცხლი ლოკავდა კაცის მარჯვენას, ლოკავდა როგორც ძაღლი შინდაბრუნებულ, დიდი ხნის უნახავ პატრონს.

## ძაღლი

— სად მიხვალ, ჰი? წვიმს, სახლუკაში არ შევიდეთ?
— არა, არა, მომყევი ტასო! ერთი ბუხრის სითბო რას ეყოფა სოფელს. წამოდი ქალუკა, სოსიასთანაც დავანთოთ ცეცხლი.
— შემოგევლე, ნავთს გამოვიტან, შემა ნოტიოა და გაგიჭირდება.
— არ მინდა ქალუკა, არა, ოღონდაც ფიჩხი დამიხვავე. ხედავ ტასო? — რეხო შეჩერდა. ქალს გალეულ ბეჭებზე ხელი გადასდო და თეფილას სახლზე საკვამური დაანახვა.
— ხედავ? ვის ეგონება აქატრობა მიტოვებული? საკვამურიდან ამოსული ბოლი სოფლის სიცოცხლის ნიშანია. ღამე კაცი სოფელს შუქით მოავლენს, ჩემს სახლში ანთია ცეცხლი, თეფილასთან ანთია, მომყევი, ტასო — რეხო თავქვე დაეშვა, უცებ შეჩერდა. ძაღლის წკნავ-წკნავმა მოსტაცა ყური, შედგა. სმენა დაძაბა. ტასოს ძნელად ესმოდა შორი ძახილი. ახლა ყური ამასაც არ ღალატობდა, ძაღლი ყეფდა სოფელში. დედაბერი აფორიაქდა. შუბლზე ნაოჭი გაეშალა. კაბის კალთები აიკრიფა და ჩქარი ნაბიჯით ქვემოთ დაეშვა. რეხოს დაეწია.
— არ გესმის, კაცუნა? ჯოლბორდი მოდის, ჯოლბორდი.
— ჩუ. — ჩააჩუმა რეხომ.
— ჯოლბორდია, შე კაცო, ჯოლბორდი!
—ჩუ. —რეხომ ცოლს ხელისგული ააფარა ტუჩზე. ძაღლი სულ ახლოს ყეფდა.
— ჯოლბორდია, ღმერთმანი, ჯოლბორდი, მართალი ხარ, ტასო! — აღმოხდა რეხოს.
ყეფა თანდათან გაძლიერდა და გორაკზე ქაქანით ჯოლბორდი ამოვარდა.
— ჯოლბორდი! — აღმოხდა ტასოს და ძაღლს ხელგაშლილი მიეგება.
რეხო ძუნძულით მიჰყვა ცოლს.
სირბილით გათანგული ძაღლი ტასოს მკერდზე აეზოლა. ძაღლმა თავი პატრონის მკლავებში ჩამალა და წკმუტუნს მოჰყვა.
— ჯოლბორდი, ჩემო ჯოლბორდი — ტასოს თვალებზე ცრემლი აკრიალდა. ხელები აუთრთოლდა.
— მოიცა, ადამიანო, არ წაგაქციოს ამ სამგლემ! — რეხომ ძაღლს ფერდში უთავაზა ქუსლი.
ძაღლი მოშორდა ტასოს და ენაგადმოგდებული ქაქანით დაეძგერა რეხოს.
— სად დაძრწი, შე სამგლევ? — რეხომ ძაღლს ქეჩოში ჩაავლო ხელი და შეანჯღრია.
— ნუ კაცო, ნუ მოახრჩვე ძაღლი! ჯოლბორდი ჯაჭვი სად დააგდე? ტასომ ძაღლს კისერი მოუსინჯა. — დაუკარგავს ნახევარი. ბარემ ესეც მოაშორე, ახლა ვიღას დაეტაკება.
— აქ მოდი, — რეხომ ძაღლის თავი მუხლებში მოიგდო. კისრის ჯაჭვს ცერი გამოჰკრა.
ჯაჭვი ჩხრიალით დაეშვა მიწაზე.
ძაღლმა წამით თავი ანება პატრონს, ოთხფეხზე დადგა. კისერი შეიბერტყა. ძირს დაგდებულ ჯაჭვს უყნოსა, ეს იყო ექვსი წელი რომ სულს უხუთავდა, გუდავდა, გასაქანს არ აძლევდა. მზე არ უნახავს თავისი ეზოს გარეთ ჯოლბორდის; ქვალი რომ იყოს, ჯოლბორდი დაფშვნიდა, დალრღნიდა მას, მაგრამ ამას რას უზამ, როგორ მოერევი...
მეხასამოფარებული ბოცო თვალს არ უჯერებდა; ის კარგად იცნობდა ჯოლბორდის. ეს ხომ ავი და უჯიგრო ძაღლი იყო, გულღვარძლიანი. ძვალის მომტანსაც კი ულრენდა. რა იქნებოდა ამ საზრიან ხალხს ერთი ძაღლიც მოეყვანათ სოფელში? კაცი ვერ ძლებს კაცის გარეშე. ძაღლი რახან ძაღლია, ძაღლურად უნდა დალიოს წუთისოფელი? ამ მარტოობის გამო იყო ჯოლბორდი ავი და კაცმოძულე. ბოცოს ეცოდებოდა ჯოლბორდი. ეფერებოდა ძაღლს, მაგრამ ის მაინც არ იკარებდა მუნჯს.
ახლა ეს ძაღლი არ ჰგავდა ადრინდელ ჯოლბორდს. ფუმფულა ბეწვი ადრე დიდებულ იერს რომ აძლევდა, წვიმას დაელბო. ქეციანი იყო, ტალახში ამოგანგლული.
ჯაჭვი აღარ ახრჩობს; ახლა არაფერს მავნებს — გაიფიქრა ბოცომ. ნელ-ნელა მოშორდა ხეს. ძაღლმა იმ წამსვე იყნოსა მესამე კაცი, თავი ანება პატრონს. დაიღრინა, კბილები აახრჭიალა, მოწყდა ტასოს კალთას და ბოცოსაკენ გაქანდა.
— ბოცო, ბოცო მობლაყუნობს, — იყვირა რეხომ.
— აუ, დაგლეჯს მაგ საცოდავს, — უშველე რეხო! — შეჰკივლა ქალმა.
ბოცო გაშრა. თვალები დაეცეა, დასწვდა კეტს. მუნჯს ჰაერში შეოჩა ძაღლის საცემად ხომართული ჯოხი, ძაღლი დაეძგერა და ბოცოს წიკაპა სწვდა.
დაკარგა ფერი მუნჯმა, წურილი, ჭროლა თვალები გაუფართოვდა. ეგონა მოვიდა აღსასრული, რომელიც ასე ბევრჯერ უხატრია. ძაღლი დაგლეჯს მას ნაკუწნაკუწად. ბოცო ვერ გაუძლებს სიმწრის ჟამს ასეთ ტკივილებს და მოკვდება.
ბოცოს ფართოდ გახელილი თვალები სიცოცხლეს იხვეწებოდნენ...
ძაღლი უეცრად მოშორდა მუნჯს და კუდის ქიცინით პატრონს მიაშურა.
— დაგეჭამა, შე დღეუბედურო? — ტასო ბოცოსთან მიიჭრა.
— ჰაიტ, ჰაიტ, შე ძუნკალო, — რეხომ ძაღლი მოიგერია. — ბოცო, შენც მიგვატოვე? აკი არც მჯეროდა, — რეხომ მუნჯს მხარზე დაჰკრა ხელი.
ბოცოს გაეღიმა, იდაყვით მოიწმინდა ძაღლის ენით გალოკილი ლოყა.
ტასომ ბოცოს ... ... ტანზე — მთელი ხარ? — უთხრა და თვალებში ჩახედა.
ბოცოს ღიმილი შეაშრა ტუჩზე, მიხვდა, რას სთხოვდნენ ქალის მედაური ალისფერი თვალები. თვალები ამბობდნენ: — ბოცოუკა, ხომ არაფერი მომიტანე, ჩემო ბოცოუკა, ფოსტაში არ შეგივლია?
ბოცომ ... გაექცა ... .
— მომიტანე ბოცოუკა. ქვე შენი ჭირიმე, შენი, — ტასო ჯიბეზე მიაფრინდა ბოცოს.
მუნჯმა უალ გაუშვა ხელი ჯიბეს და საქციელწამხდარი აღუღლუღდა:
— ააა..... აააა.
— აცალე, შე ქალო, სულის ამოთქმა, ვერ ხედავ, ზურგი გალუმპული აქვს! ჩვარივით სველია კაცი! ჯერ ჰკითხე, იქნება შია, იქნება სწყურია. ვერ ხედავ, ტანში აციცინებს.
— წამოდი ბოცო. ცეცხლი დავანთოთ შენსა, — რეხო დაიძრა.
მუნჯი მორჩილად გაჰყვა მას, წინ ჯოლბორდიმ გაუსწრო მათ. კარგა მანძილზე ჩამოიტოვეს ქალი.
უხალისოდ მიაბიჯებდა დედაბერი, გული გაუსივდა ამ წუთში. დღე და დღე მეიმდება ეს გული, ბეწვზე ჰკიდია. ნეტა მოწყდეს ერთხელ, თუხდაც ახლა მოწყდეს და მორჩება ყველა სატკივარი.
ბოცომ მოიხედა. შედგა, დაელოდა ბებერს. ტასოც წამოეწია. ბოცო შეეგება და მკლავიდან ხმელი ფიჩხი აართვა. გზა გააგრძელა.
რეხო არ ჩანდა გზაზე. ცაში შავი კვამლი ავარდა. კვამლი თანდათან გაიფანტა, ფერი დაჰკარგა. ტასომ ნაცრისფერი ბოლი თვალით ზეცაში მიაცილა.

## სამშვიდობოზე

ათი წელია სოფიწოში არ ჩასულა თეფილა. ათი წელია არ უნახავს თავისი სოფელი. განა შორს არის გუდაუთიდან? ძალ-ღონე მისცა, ფეხით ივლიდა იქამდე. მაგრამ სადღაა ძველი მუხლი?
ზღვის განაპირას მაღალი თეთრი სახლი დგას. აქ ცხოვრობს თეფილა. აქ ცხოვრობს მთელი მისი სოფელი. სახლიდან ზღვამდე ათი ნაბიჯია და აქ ჩასვლაც უჭირს თეფილას. მიდის ნელა, სვენებ-სვენებით, მერე დაჯდება თბილ კენჭებზე, მუხლებს მოიკეცავს და გაჰყურებს ლურჯ ზღვას. შორს, ძალიან შორს, იქ, სადაც ზღვა ცას უერთდება, თეფილა თავის სოფელს ხედავს. თეფილას მუხლმა უმტყუნა. ვერ მიდის სოფიწოში. სამაგიეროდ შვილები დადიან. მეზობლები მიდი-მოდიან და მოაქვთ ამბავი:
სოფელი ისევ სუნთქავს. აქ ძველებურად ჰყვავის ვაზი, კაკალი ისხამს, დგანან სახლები. ტასო ცოცხალია. თუ ესტუმრები, იცოდე პირში სულს ჩაუდგამ. ძველებურად სავსეა ოჯახი. სტუმარი უხარია. ღორს მოგიხარშავს, ღვინოს დაგალევინებს.
რეხო?
საწყალი რეხო, ტასო ირწმუნებს სიზმარმა მოჰკლაო ბერიკაცი.
ბოცო?
ჰო, ბოცოც ცოცხალია. ყოველცისმარე დარბის სოფელში. უნდა დაასწროს ტასოს. ვიდრე გაიღვიძებდეს, თექვსმეტ კომლს ჩამოუვლის და ანთებს ცეცხლს.
და, როცა გორაკზე შეფენილ რაჭის ერთ პატარა სოფელს ჩაუვლი, ბუხრიდან ბოლქვებად ამოსულ კვამლს დაინახავ, არა გჯერა, სოფიწო დაიმეწყრაო. სოფიწო გეძახის.

# 1700 ცალი ერთ ხეზე

ახალგაზრდა აგრონომი გალის რაიონში თხუთმეტი წლის წინათ ჩამოვიდა. იგი კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში გაგზავნეს სამუშაოდ. გიორგი ჩაჩიბაია მალე გაეცნო იქაურობას: მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის პლანტაციები სამას ჰექტარზე იყო გადაჭიმული; მთელი კოლექტივი მონდომებით შრომობდა მის მოსავლელად.

1949-50 წწ. ძლიერმა ყინვებმა გაანადგურა პლანტაციები.

ბევრი სასოწარკვეთილებას მიეცა.

ამ დაძაბულ მომენტში თავი იჩინა ახალგაზრდა აგრონომის გაუტეხელობამ და ორგანიზატორულმა უნარმა. გიორგი ჩაჩიბაია ერთი მათაგანი იყო, ვინც მტკიცედ მოჰკიდეს ხელი გაპარტახებული პლანტაციების აღდგენას.

და სულ მალე ახალი, უფრო სიცივის გამძლე ჯიშის მანდარინის ხეები ჩაჰყარეს, უკეთესი მიკრორაიონები შეურჩიეს ლიმონისა და ფორთოხლის ნარგავებს.

ახალი პლანტაციების გაშენება მეტად სწრაფი ტემპითა და ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა.

ამჟამად კოხორა ციტრუსების ერთ-ერთ უდიდეს საბჭოთა მეურნეობად გადაიქცა. თოთხმეტი წლის მანძილზე აქ დარგული იქნა დაახლოებით 300 ათასი ძირი მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის ხე.

გიორგი ჩაჩიბაიამ ამას წინათ მაჩვენა ლიმონის რეკორდსმენი ხე, რომელზეც შარშან 1.700 ცალი ნაყოფი მოკრიფეს.

მხოლოდ გამოუცდელ ადამიანს ეჩვენება, რომ ნარგავები თავისთავად იზრდებიან. არა, ხეც ცოცხალია, მასაც აქვს თავისი ენა. მხოლოდ მეციტრუსეებს ესმით ამ „უასაკოთა და უსულთ ენა", მხოლოდ ისინი ეხმაურებიან იმ ნიშნებს, რომლებსაც მცენარე აძლევს ადამიანს.

ჩვენმა გამოცდილმა სპეციალისტებმა კარგად იციან ამ ხეების ზრდის სიჩქარე, იციან მათი მოთხოვნილება საკვებზე, მათი ავადმყოფობა და მკურნალობის მეთოდები. ნაცრისფერი დაედო მცენარეს? — მაშასადამე, საზრდო აკლია. მეციტრუსეს ნიადაგში სწრაფად შეაქვს სასუქები... მაღალზე იზრდება ლიმონი? — საჭიროა ფრთხილად მოაცილოთ ზედმეტი ტოტები, რათა მცენარეს ძალა შევუნარჩუნოთ ნაყოფისათვის...

ჩვენმა მეციტრუსეებმა კარგად იციან ცოცხალი ორგანიზმის მართვა. მცენარეების ზრდისა და მათი მოსავლიანობის ბედი გამოცდილ ადამიანთა საიმედო ხელშია.

საბჭოთა მეურნეობაში არსებობს ერთი რკინისებური კანონი — ყოველგვარი სახის სამუშაოები მაღალხარისხოვნად და აგროტექნიკურ ვადებში შესრულდეს!

...ერთ წარმტაც ბორცვზე ვალია ზუგბაიას საგულდაგულოდ მოვლილი ნაკვეთი გადაჭიმულა. მოწინავე მეციტრუსე კეთილი სალმით გვეგებება. ჩვენ კმაყოფილებით ვათვალიერებთ ნაკვეთს, გულდასმით ვეცნობით ვალიას მუშაობას. მე ვთხოვ მას მოკლედ მოგვითხროს თავის შრომაზე.

— აბა რა გითხრათ? — მორიდებით იჩეჩავს მხრებს იგი, — ეს მცენარეები ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან, ისინი 1950 წელს დავრგეთ. მიუხედავად ამისა, შარშან შემოდგომაზე ძლიერ უხვი მოსავალი მივიღე. ზოგიერთმა ხემ ათას ცალზე მეტი ლიმონი მომცა...

ასეთივე მაღალი მოსავალი მიიღო გიორგი სარუამ.

ამბობენ, ციფრები მოსაწყენიაო, მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდია. გადაავლეთ თვალი კოხორის საბჭოთა მეურნეობის მიღწევების ამსახველ ციფრებს და კმაყოფილების გრძნობით აგევსებათ გული.

საბჭოთა მეურნეობამ შარშან სახელმწიფოს ჩააბარა 21,5 მილიონი ცალი მანდარინი, 3800 ათასი ლიმონი, 5 მილიონზე მეტი ცალი ფორთოხალი.

კოხორის საბჭოთა მეურნეობამ ქვეყანას მისცა იმაზე მეტი ციტრუსები, რამდენსაც საუკეთესო მოსავლის დროს იწევდა რუსეთის მთელი იმპერია.

წინათ თვლიდნენ, რომ ციტრუსების პლანტაციების ნაყოფიერებას თითქოს ერთგვარი მეწლეურობა ახასიათებს, რომ ერთ წელს იგი კარგ მოსავალს იძლევა, მეორე წელი კი შედარებით ნაკლებმოსავლიანია. კოხორელმა მეციტრუსეებმა მთლიანად გააბათილეს ასეთი უსაფუძვლო შეხედულება. მათ შეძლეს ყოველწლიურად გაედიდებინათ პლანტაციების მოსავლიანობა.

1960 წელს საბჭოთა მეურნეობაში 620 ტონა ციტრუსები მოკრიფეს, 1961 წელს — 1.430 ტონა, 1962 წელს კი — 2.021 ტონა. მიმდინარე წელს მეციტრუსეებმა მტკიცედ გადაწყვიტეს, სულ ცოტა 2.300 ტონა ოქროვანი ნაყოფი მისცენ სამშობლოს. შვიდწლედის ბოლოსათვის აქ 3 ათას ტონაზე მეტ ციტრუსოვანთა ნაყოფს მოიწევენ...

გიორგი ჩაჩიბაია ამჟამად საბჭოთა მეურნეობის დირექტორია. მან შეძლო საბჭოთა მეურნეობის მშრომელები შეეკავშირებინა ერთ მტკიცე ოჯახად, რომელიც შრომით სასწაულებს ახდენს.

ივნისის ნათელი დღეები დგას. შრომაში გამობრძმედილი კოხორელი მეციტრუსეები მონდომებული და თავდადებული საქმიანობით საძირკველს უყრიან შვიდწლედის მეხუთე წლის უხვ მოსავალს.

გ. კლევაკინი

## მ ა მ ა ს

მწერ: — თითქოს მოტყდი, თითქოს ბერდები,
თითქოს ქვეყანა უნდა დატოვო...
ო, ბედმა ნუ ქნას... არ მემეტები,
არ მემეტები, მამავ, ბატონო!
მწერ: — თითქოს წლები ზამთარს რეკავენ,
სოფელში როგორ გავძლო მარტომო...
რამ შეგაშფოთა, რა დროს ეგ არის,
რად ფიქრობ ასე, მამავ, ბატონო!
მერე რა, — თმაში თეთრი გადნება,
ასიათასჯერ თუნდაც დათოვოს...
შე კაი კაცო/ ნუ გედარდება,
არ გეკადრება, მამავ, ბატონო!
გახსოვს?.. ბრძოლებში სიკვდილს დასდევდი,
რიხით გივლია ბრძოლის ქარშიაც...
ჰოდა, ჭალარა რაა ასეთი,
როცა ტყვიებთან გითამაშნია.
რაო, — თუ თმებში თოვლი გაცვივა,
ეს თეთრი ფერის არის ალერსი...
შენ კი რად ამბობ: ბერიკაცი ვარ,
რამ ჩაგიყენა შიში თვალებში.
დაუმცხრალი და სული მბორგავი,
ვინ შეარიგა ასეთ სევდასთან.
წალმა ტრიალებს ბედის ბორბალი,
კვლავაც იბრუნებს... ჰაი, დედასა...
თავზე ულრუბლო ზეცა გვახურავს,
და სასიცოცხლოდ გვიწვევს, გვახელებს...
ისეთნაირად გაიზაფხულა,
მამავ ბატონო, ამ მთებს გახედე!
ქუჩებში უკრავს ბუკს და ნაღარას
დღე საზეიმო და აყვავების...
ჰოდა, ჩამოვალ და შენს ჭაღარას,
როგორც სიწმინდეს ვეთაყვანები.
მაშ, ნუღარ იტყვი, თითქოს ბერდები,
ასიათასჯერ თუნდაც დათოვოს...
ო, ღმერთმა ნუ ქნას, არ მემეტები,
არ მემეტები, მამავ, ბატონო!

ნოდარ ნარსია

## მ ა ტ ა რ ე ბ ლ ი დ ა ნ

მთათა შორის, მთათა შორის,
მთათა შორის მცხეთა...
— დაგვაშორეს, დაგვაშორეს —
მოძახილი ხეთა.
ხმები მიაქვს მატარებელს
და სივრცეში ფანტავს.
სადღაც ისევ ატირებენ
სალამურს და ფანდურს.
დაჭრილივით ქარი ბორგავს,
ველზე კვნესით წვება...
და გვიტაცებს სივრცე, როგორც
გაფრენილი წლები.
თვალთა შორის, თვალთა შორის
საოცრდება მცხეთა...
მთები ფერხულს თამაშობენ
და ტაშია ხეთა!

თენგიზ მორჩიაული



## ჯოჯოხეთური



შუბთავა კუფია, ანუ როგორც მას კუნძულ მარტინიკაზე უწოდებენ „გველშუბი", გავრცელებულია სამხრეთ ამერიკაში, მარტინიკის და სანტა-ლუჩიას კუნძულებზე. სიგრძით ორ მეტრამდე აღწევს, სიმსხოთი — კაცის მკლავის ოდენაა.

ეს საშინელი გველი ბინადრობს უმეტესად დაუმუშავებელ ველებზე, ჭაობებში, ტყეებში, დაცურავს წყალში, ხვრელს იკეთებს ხშირად ქალაქების ახლოს, ადის ხეებზე, შედის სახლებში.

დღისით კუფია წევს მშვიდად, გორგალივით დახვეული.

კუფიას ნაკბენი საბედისწეროა ადამიანისათვის. ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე შხამიანი გველი. ნაკბენი ადგილი მალე სივდება, სხეული მთლიანად ლურჯდება, ადამიანს გული ერევა, აწუხებს საშინელი ტკივილები და რამდენიმე საათის ან ერთი დღის შემდეგ კვდება. გადარჩენა თითქმის შეუძლებელია.

შუბთავა კუფია კუნძულ მარტინიკაზე XIX საუკუნის დასაწყისში შეიყვანეს ფრანგმა კოლონიზატორებმა. რა იყო ამის მიზეზი? მარტინიკას პლანტაციებში პატრონები ამუშავებდნენ აფრიკელ მონებს. პლანტაციებში შრომის პირობები აუტანელი იყო და მონები ხშირად გარბოდნენ იქიდან. ისინი გაუვალ ტროპიკულ ჯუნგლებს აფარებდნენ თავს. და აი, კოლონიზატორებს დაებადათ ჯოჯოხეთური იდეა: შემოეყვანათ ამერიკის მატერიკიდან შხამიანი შუბთავა კუფიები, რათა მათ გაენადგურებინათ ტყეებში შეხიზნული მონები. ამრიგად, კოლონიზატორებმა თავიანთი შესაფერი მოკავშირე მოძებნეს. ათასობით ზანგმა ჰპოვა სიკვდილი ამ საშინელი არსებისაგან. მაგრამ უბედურება თვით კოლონიზატორებსაც ეწვია. ეს გველი ტყეებიდან პლანტაციებშიც გავრცელდა და სენივით მოედო მთელ კუნძულს. ახლა მისი მსხვერპლი თეთრკანიანი პლანტატორებიც გახდნენ. რა არ იღონეს, დაწვეს ტყის მთელი მასივები, ზოგმა საკუთარი პლანტაციაც დაწვა, დააწესეს ჯილდო თვითეული მოკლული გველისათვის, შემოიყვანეს მანგუსტები (რომლებიც ინდოეთში შხამიან გველებს ანადგურებენ), მაგრამ მარტინიკას ვერაფერმა ვერ უშველა. მას შემდეგ საუკუნენახევარზე მეტი გავიდა. კუფიებთან ბრძოლა კი არ შენელებულა.

ეს ფაქტი იმის ერთ-ერთი მაგალითია თუ რა მხეცური სახე აქვს კოლონიალიზმს, რომელსაც უბედურების მეტი არაფერი არ მოაქვს დამორჩილებული ხალხებისათვის.

თ. მუსხელიშვილი,
დ. გაბრიჭიძე.


ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შაბათსა და კვირას

ფოტო გ. თიკანაძის, ბ. დადვაძისა და ა. არუთინოვისა.



ქალაქიდან თიბათვის თაკარა სიცხეს გამოერიდა. ზის ახლა კმაყოფილი, მთის გრილი ჰაერით იკვებს სხეულს და აინუნშიაც არ აგდებს რომის გადამრჩენელთა ჩამომავლებს, რომლებიც მოთმინებით ელიან გზის განთავისუფლებას.





საღამოობით კაფეები ხალხით ივსება.



კვირა დღეა, ხალისიანო, ნუ დაღამდები მალე.

წვერის გაპარსვასაც სულ სხვა შნო და ლაზათი ჰქონია, როცა შენს ირგვლივ საამოდ შრიალებენ ხეები.



აღარც შოფრობა უნდა და აღარც ნაყინის გამყიდველად მუშაობა! დღეის შემდეგ მისი სურვილია, რომ ბაჭბაჭა დათუნიების, მელია-კუდიგრძელიებისა და ამ ჭრელზოლებიანი ცხენების ბაღის უფროსი გახდეს.



პირველი შეხვედრა



ეროვნული ბიბლიოთეკა



პეიზაჟი

ფოტო გ. რაზმაძისა

გზაზე

ფოტო ო. თურქიასი და ე. პეხოვისა



# საჭადრაკო მეფის ტახტზე

1960 წელი, ლაიპციგი. XIV საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადა, ანუ როგორც მას სხვანაირად უწოდებდნენ, „ერების ტურნირი" დასასრულს უახლოვდებოდა. შეჯიბრების დამთავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ცნობილი იყო, რომ პირველ ადგილს საბჭოთა მოჭადრაკეები დაიკავებდნენ, მეორეს კი — ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი. ამიტომ სატურნირო დაძაბულობა დაცხრა, გროსმაისტერები მხიარულებას მიეცნენ. თითქმის ყოველდღე იმართებოდა ე. წ. „ელვისებური პარტიები" ამ თამაშის დიდ მოყვარულებს — ტალ[ს], ფიშერსა და პეტროსიანს შორის. მათი არა ერთგზისი შერკინების მიუხედავად, ბოლოს მაინც გამოურკვეველი დარჩა, თუ რომელი გროსმაისტერი იყო „ელვისებურ თამაშში" ყველაზე უფრო ძლიერი.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი საღამო. საჭადრაკო მაგიდას მოუსხდნენ მსოფლიო ჩემპიონი ტალი და ფიშერი, რომელიც მაშინ 17 წლისა იყო. შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. პირობის თანახმად, გამარჯვებულს პეტროსიანი უნდა შეხვედროდა. სანამ მეტოქეები მოუფიქრებლად აკეთებდნენ სვლებს, დამსწრეები მრავალ ენაზე გამოთქვამდნენ შენიშვნებს და აი პეტროსიანმა ისე, რომ ფიშერს არ გაეგონა (ამერიკელმა გროსმაისტერმა იცის რუსული), მისი ერთ-ერთი სვლის შესახებ შენიშვნა ქართულად გამოთქვა. „ეს ვგონებ რუსული არ არის, რა ენაზე ლაპარაკობთ?" —მოგვმართა ესპანეთის მაშინდელმა ჩემპიონმა პერესმა (იგი ახლა კუბაში ცხოვრობს). „რა თქმა უნდა, არა. ჩვენ ქართულად ვლაპარაკობთ, იგი ჩემი მეორე მშობლიური ენაა" — უპასუხა პეტროსიანმა.

მსოფლიოს მომავალმა ჩემპიონმა პეტროსიანმა თავისი პირველი საჭადრაკო ნაბიჯები თბილისის პიონერთა სასახლეში გადადგა. აქ მას მკაცრი მასწავლებელი ჰყავდა — ცნობილი ქართველი ოსტატი არჩილ ებრალიძე. ებრალიძე დიდი ერუდიციის მოჭადრაკე იყო. მან დეტალურად იცოდა ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის ხოსე რაულ კაპაბლანკას პარტიები და ამ გენიალური გროსმაისტერის შემოქმედებასთან თავისი მოწაფეც აზიარა. კაპაბლანკას ნათელმა, მახვილგონივრული იდეებით სავსე პარტიებმა ჭაბუკ ტიგრანზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ თვით პეტროსიანს შეადარებდნენ კაპაბლანკას ულრესად ზუსტი, დახვეწილი თამაშისათვის.

1945 წელმა 16 წლის ჭაბუკს საქართველოს ჩემპიონის წოდება მოუტანა. გავიდა კიდევ რამდენიმე თვე და ჩვენი რესპუბლიკის ახალი ჩემპიონატი გაიმართა. იგი ჩვენს გულშემატკივრებს დღემდე კარგად ახსოვთ. საქართველოს პირველობაზე გამართულ შეჯიბრში ჩვენს უძლიერეს მოჭადრაკეებთან ერთად კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ მილიონობით გულშემატკივართა „სათაყვანებელი კერპი", გამოჩენილი გროსმაისტერი პაულ კერესი, ცნობილი ოსტატები ვლადას მიკენასი და ევგენი ზაგორიანსკი. მართალია, მაშინ საქართველოს ჩემპიონის წოდება პეტროსიანმა თავის მასწავლებელ ებრალიძეს დაუთმო, მაგრამ დაძაბული ბრძოლის შემდეგ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა „თვით" კერესთან. ამასთან, არა მარტო ამ პარტიის სპორტულმა შედეგმა, არამედ შეხვედრის დიდმა სიმწვავემაც მიიქცია კერესის ყურადღება. მან შეაქო თავისი ჭაბუკი მეტოქე და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

ჩვენ ისიც გვახსოვს, რომ ტიგრანის საჭადრაკო გზა მარტო ვარდებით როდი იყო მოფენილი. მაგრამ, ცალკეულ დამარცხებების მიუხედავად, ახალგაზრდა ოსტატი შეუპოვრად მიიწევდა წინ, ბევრს მუშაობდა საკუთარი შეცდომების გამოსასწორებლად. საკუთარი თავისადმი კრიტიკულმა დამოკიდებულებამ, სწავლის წყურვილმა და იშვიათმა ობიექტურობამ პეტროსიანს საშუალება მისცა შედარებით მოკლე ხანში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გროსმაისტერი გამხდარიყო. ამასთან, ყურადღებას იპყრობდა ერთი გარემოება — პეტროსიანი წლების განმავლობაში პარტიებს არ აგებდა. ესეც ანათესავებს მას კაპაბლანკასთან, რომელიც იშვიათი ინტუიციით წინასწარ გრძნობდა გასაჭირის მოახლოებას და ზომებს იღებდა პოზიციის განსამტკიცებლად. დღეს ხომ ასევე სამაგალითოდ ითვლება პეტროსიანის უტყუარი ინტუიცია, რომელიც მას ისეთივე სამსახურს უწევს, როგორც ყოფილ მსოფლიო ჩემპიონ ტალს — შეუდარებელი კომბინაციური ნიჭი.

პეტროსიანი დიდი ხნის განმავლობაში მიილტვოდა ბოტვინიკისაკენ, მაგრამ მის მიზნებს დიდხანს განხორციელება არ ეწერა. ჯერ ბრონშტეინი, შემდეგ სმისლოვი და ტალი შეეცილნენ ბოტვინიკს „საჭადრაკო ტახტს" და არა მარტო შეეცილნენ, არამედ დაამხეს კიდევაც იგი. მხოლოდ ბოტვინიკისებური რკინის ნებისყოფის ადამიანს შეეძლო ორჯერ „მკვდრეთით აღდგენა". ამან, გარკვეული გაგებით, პეტროსიანის ამოცანა გააადვილა, რადგან მისთვის ამაოდ არ ჩაუვლია ბოტვინიკის მრავალრიცხოვანი პარტიების ანალიზს. რაც შეეხება თვით მსოფლიო ჩემპიონთან პირად შეხვედრებს, მათ ტიგრანს ნაკლები სამსახური გაუწიეს თავიანთი მცირერიცხოვნობის გამო (ბოტვინიკსა და პეტროსიანს შორის სხვადასხვა დროს სულ 8 სატურნირო და 2 საწვრთნელი პარტია გაიმართა).

პეტროსიანის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა ისევ თბილისთანაა დაკავშირებული. აქ იგი, 1959 წელს, პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. შეჯიბრება რუსთაველის თეატრში მიმდინარეობდა. სწორედ ამ შენობის პირდაპირ, თბილისის ოფიცერთა სახლის ეზოში გაატარა თავისი ბავშვობის წლები პეტროსიანმა. თბილისის პაექრობაში პეტროსიანმა დამაჯერებლად გაუსწრო ტალს, კორჩნოისა და კერესს. ეს მისი „წინასწარი განაცხადი" იყო მსოფლიო ჩემპიონის წოდებაზე.

მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტ 8 გროსმაისტერის ტურნირი კუნძულ კურასაოზე პეტროსიანმა დაუმარცხებლად ჩაატარა. თვით ფიშერმაც კი, რომელიც აინუნშიც არ აგდებს არც ერთ გროსმაისტერს, აღიარა მისი უპირატესობა; აზრიც გამოთქვა, რომ პეტროსიანი ბოტვინიკსაც დაამარცხებსო. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ აზრს ბევრი წამყვანი სპეციალისტი იზიარებდა. ბოტვინიკის საჭადრაკო პრესტიჟი ხომ მსოფლიოში ყოველთვის ულრესად მაღალი იყო. მიუთითებდნენ, რომ ბოტვინიკმა სძლია „თვით" ტალს, რომლის თამაშის ორიგინალურ მანერასთან შეგუება არ იყო იოლი საქმე. იმასაც იგონებდნენ, რომ ბოტვინიკს დადებითი ანგარიში აქვს წარსულისა თუ თანამედროვეობის ყველა წამყვან მოჭადრაკესთან. სწორედ დელფოს მისნის წინასწარმეტყველებას ჰგავდა გროსმაისტერ ტაიმანოვის აზრი: „მატჩში ბოტვინიკი უფრო უკეთესად ითამაშებს, პეტროსიანი კი უფრო უშეცდომოდო". ზოგი საშიშროებას გამოთქვამდა, რომ ბოტვინიკისა და პეტროსიანის, ამ ორი პოზიციური სტილის მოჭადრაკის პარტიების დიდი უმრავლესობა ყაიმით დამთავრდებოდა. ყაიმების საქმის დიდი სპეციალისტი გროსმაისტერი ფლორი თვლიდა, რომ მატჩში 17 ყაიმი აღინიშნებოდა, ტალი კი მოელოდა დაძაბულ ბრძოლას ყველა 24 პარტიაში.

მაგრამ არც ერთი ეს წინასწარმეტყველება არ გამართლდა. წააწყდა რა პრეტენდენტის პოზიციურად უშეცდომო თამაშს, ბოტვინიკმა გადაწყვიტა ბედი მწვავე კომბინაციურ გართულებებში ეცადა, მაგრამ კარგადაა ცნობილი ისიც, რომ ბოტვინიკს მაინცდამაინც არ ეხერხება ბრძოლის ასეთნაირად წარმართვა. პეტროსიანი ჭეშმარიტად უძლეველი აღმოჩნდა. მაშინ, როდესაც იგი უპირატესობას ვერ აღწევდა დებიუტში, იშვიათ მეთოდურობას ამჟღავნებდა შუა თამაშში და „დანაკლისსაც ინაზღაურებდა". თუ შუა თამაშსაც არ მოქონდა პრეტენდენტისათვის უპირატესობა, მაშინ იგი იმედს ენდშპილზე ამყარებდა, ენდშპილში პეტროსიანი ნამდვილი ვირტუოზია. აქ მას ძალუძს გამოიყენოს ისეთი უპირატესობაც კი, რომელიც „მიკროსკოპით" თუა შესამჩნევი. ყოველივე ამას უნდა დაემატოს პეტროსიანის იშვიათი მორალური სიმტკიცე. ბოტვინიკთან მატჩში იყო მომენტი, როდესაც პრეტენდენტს აშკარად გაუჭირდა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც მსოფლიო ჩემპიონმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და მეტოქეს გულდაგულ ეკვეთა. ამის შედეგი გახლდათ ანგარიშის გათანაბრება (7:7), მაგრამ უკვე შემდეგი პარტიის მოგებით პეტროსიანმა დაამტკიცა თავისი უდავო უპირატესობა. ეს ნათელჰყო შეხვედრის საბოლოო ანგარიშმაც.

მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ჰყავს. როდემდის? სულ ცოტა 1966 წლამდის მაინც, როდესაც მსოფლიო ჩემპიონს ახალი პრეტენდენტი „დაემუქრება". ვნახოთ, რამდენად სერიოზული იქნება ეს მუქარა!

ბ. ბაჟრაკელი

# მსოფლიო ჩემპიონები



ვინ არიან აღბეჭდილნი სურათზე? რა საკითხავია!

ვინ არ იცნობს ტიგრან პეტროსიანს, ახლახან მსოფლიო ჩემპიონის დაფნის გვირგვინით რომ შეიმკო თავი და დაჯერებული ნაბიჯებით ავიდა რჩეულთა შორის რჩეულის ტახტზე!

ვინ არ იცნობს ნონა გაფრინდაშვილს, ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონს ჭადრაკში, მოჭადრაკეთა დედოფალს!

ერთი სიტყვით, ორი მსოფლიო ჩემპიონია სურათზე, მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის ჩვენი ნონა გაფრინდაშვილი და მსოფლიო ჩემპიონი ვაჟთა შორის ჩვენი ტიგრან პეტროსიანი.

— ის მესამე ვინ არის? — იკითხავთ თქვენ.

— ისიც მსოფლიო ჩემპიონია. დიახ, ჩემპიონი ჭადრაკის მოყვარულთა შორის, გულშემატკივართა მსოფლიო ჩემპიონი — ჩვენი ხაჩატურ გრიგორიანი.

ხაჩატური ქიმიკოსია პროფესიით, პენსიონერია ამჟამად, გატაცებით უყვარს ჭადრაკი, განსაკუთრებით მოჭადრაკენი და მოჭადრაკეთა შორის უნიჭიერესნი, თაყვანს სცემს მათ; თუ რომელიმე ავად გახდა, ექიმი მიჰყავს სასწრაფოდ, ფეხსაცმელების საყიდლად ცოლი ფულს რომ გაატანს, გამარჯვებულ მოჭადრაკეს უფეშქაშებს თასს და შინ ფეხსაცმელის მაგივრად ფოტოსურათს მიიტანს, როგორც ნივთმტკიცებას, დასტურად იმისა, რომ ფული უთავბოლოდ არ გაუფლანგავს.

ვინ მიანიჭა ხაჩატურს მსოფლიო ჩემპიონობა?

ეს წოდება მას მიანიჭეს: მ. ბოტვინიკმა, მ. ტალმა, დ. ბრონშტეინმა, ვ. სმისლოვმა, ს. ფლორმა, ტ. პეტროსიანმა და ნონა გაფრინდაშვილმა. ეს წოდება ფიქსირებულია ამ სახელოვანი მოჭადრაკეების ფოტოსურათებზე, რომლებიც მათ გრიგორიანისთვის ავტოგრაფებით მიუძღვნიათ, ან მასთან ერთად გადაუღიათ. გრიგორიანი ამ წოდებას მტკიცედ ინარჩუნებს და რევანში, ჯერჯერობით, მოსალოდნელი არ არის.



# ალიო მირცხულავა

[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

ალიო მირცხულავა

22.5.63.
თბილისი.

გამოჩენილ პოეტს, ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ ფუძემდებელს ალიო მირცხულავას დაბადებიდან სამოცი წელი შეუსრულდა. ჩვენი საზოგადოებრიობა გულწრფელი სიყვარულით აღნიშნავს ამ თარიღს. ჩვენი დიადი ქვეყნის ყოველი კუთხიდან პოეტის სახელზე მრავალი დეპეშა და წერილი მოდის, მკითხველები ქართული სიტყვის შესანიშნავ ოსტატს ხანგრძლივ სიცოცხლესა და დღეგრძელობას უსურვებენ ჩვენი მამაცი და შრომისმოყვარე ხალხის საკეთილდღეოდ. ა. მირცხულავა ყველა ჩვენთაგანისათვის მახლობელია. მისი ლექსები და პოემები, რომლებშიც გადმოცემულია ჩვენი გმირული დღეების მგზნებარე სული, ჩვენი ადამიანების ვაჟკაცური შემართება, მათი შრომითი და საბრძოლო პათოსი, ყველასათვის ნაცნობი, მშობლიური და გასაგებია. მისი „დამკვრელი ბრიგადები“, რომელიც კარგახნის წინათაა დაწერილი, შესანიშნავად ეხმაურება დღევანდელ დღესაც, როდესაც წარმოიშვნენ და ყოველდღიურად მრავლდებიან კომუნისტური შრომის ბრიგადები, ჩვენი სოციალისტური შრომის დამკვრელი რაზმები.

ალიო ანდრიას ძე მირცხულავა დაიბადა 1903 წლის 28 აპრილს (ძველი სტილით), სოფელ ხორგაში, გლეხის ოჯახში. სოფლის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მშობლებმა იგი სწავლის გასაგრძელებლად ფოთში წაიყვანეს.

ა. მირცხულავამ 1921 წელს დაამთავრა ფოთის ქართული გიმნაზია. კომკავშირის რიგებში იგი შევიდა 1920 წელს. ალიო თვრამეტი წლის ჭაბუკი იყო, როცა ხობის რაიონის კომკავშირელებმა აირჩიეს საქართველოს კომკავშირის პირველი ყრილობის დელეგატად. 1923 წელს სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა პოეტი გაემგზავრა მოსკოვში და შევიდა ვ. ბრიუსოვის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში. ამ ინსტიტუტის ლენინგრადში გადატანის შემდეგ ა. მირცხულავამ სწავლა განაგრძო მოსკოვის ჟურნალისტიკის ინსტიტუტში. მოსკოვში ის გაეცნო და დაუახლოვდა გამოჩენილ რუს მწერალს ვ. ბრიუსოვს. იმავე ხანებში ა. მირცხულავა ახლო მეგობრულ ურთიერთობას ამყარებს ვ. მაიაკოვსკისთან და ს. ესენინთან. ამ გამოჩენილ ადამიანებთან გატარებულ დღეებს ჩვენი სახელოვანი პოეტი ახლაც დიდი ღელვითა და სიყვარულით იგონებს. ერთხელ მან, კერძო საუბარში თქვა: მაიაკოვსკის პოეტიკა ჩემი და ჩემი თაობის პოეტებისათვის ქმედითი იარაღი იყო დეკადენტური ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლაში და დიდად დაგვეხმარა იმ ახალი პოეტური სტილის გამომუშავებაში, რომელიც უპასუხებს თანამედროვეობის ამოცანებსო. მართლაც, როცა კითხულობთ ა. მირცხულავას ნაწარმოებებს, თქვენს თვალწინ, როგორც ეკრანზე, გაივლის ჩვენი ქვეყნის ისტორია თავისი მძაფრი პოლიტიკური ცხოვრებით, დიდი აზრებითა და საქმეებით.

ალიო მირცხულავას მთელი მხატვრული შემოქმედება აქარწყლებს ე. წ. დისტანციის ცრუ თეორიას, რომლის მიხედვითაც გამოირიცხება პოეტის უშუალო და ცოცხალი მონაწილეობა ცხოვრებაში. პოეტი თავიდანვე წინააღმდეგი იყო იმ აზრის, თითქოს აწმყო არ არის მწერლობის საგანი. სწორედ ამიტომ იგი განუყრელად, ყველა სასიცოცხლო ნერვით მუდამ სამშობლოსთან, ხალხთან იყო დაკავშირებული — მას არ შეეძლო დაუყოვნებლივ არ გამოხმაურებოდა ყოველ მოვლენას ხალხის ცხოვრებაში. პოეტი მხარდამხარ მისდევდა და ახლაც ჭაბუკური ენერგიით მისდევს ჩვენს მღელვარე დღეებს; როცა პირველი ხუთწლედის დასაწყისში ჩამოყალიბდა პირველი დამკვრელი ბრიგადები, პოეტის სმენამ მაშინვე გაიგონა აგრიგალებული დაზგების ხმაური და მათი რიტმი მუსიკალური სიზუსტით და მომხიბვლელობით გადმოგვცა. გაიხსენეთ თუნდაც ომის წლები: პოეტის ლექსებს — „ორიოლი“, „როსტოვი ჩვენია“, „კიევი“, „სმოლენსკი“ და სხვა, — მკითხველი ეცნობოდა იმავე დღეს როცა გაზეთებში ქვეყნდებოდა საინფორმაციო ბიუროს ცნობები ამ ქალაქების განთავისუფლების შესახებ. და ეს როდი იყო გამონაკლისი: ასე მუშაობდნენ, ასე იბრძოდნენ ჩვენი მოწინავე მწერლები, პოეტები ომის ქარიშხლიან დღეებში, ასევე ორგანულად არიან ისინი შეჭრილნი დღესაც ცხოვრების შუაგულში.

რუსული პოეზიის დეკადის დღეებში ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა რუსი პოეტი ამბობდა: მე მოხიბლული ვარ ალიო მირცხულავას პოეზიის რევოლუციური სულით, მისი პოეზიის მებრძოლი ტემპერამენტითა და შემტევი ძალით. მისი ლექსები და პოემები გულწრფელია, გამოხატულებაა მისი ულრმესი რწმენისა. კითხულობთ ა. მირცხულავას ლექსებსა და პოემებს და გრძნობთ, რომ მისთვის სიცოცხლე და ლექსი ერთი და იგივეა. ა. მირცხულავას პოეზია შრომასა და ბრძოლაში დაიბადა.

რუსი პოეტის ამ სიტყვებმა გამახსენა ა. მირცხულავას ლექსი „ჩანგი და მშვილდი“, რომელიც მან პოეტური სიტყვის გენეზისს მიუძღვნა. ამ ლექსს უხსოვარ დროში გადავყავართ, როცა მტერთან ჭიდილსა თუ ნადირობაში ადამიანმა პირველად შეიგრძნო სიმღერის მადლიანი ძალა, ჩანგის წკრიალს დასაბამი მშვილდის ლარის რწევამ მისცა. ეს შესანიშნავი, ორიგინალურად ჩაფიქრებული ლეგენდა იმის მაუწყებელია, რომ პოეზია მუდამ აქტუალური, მუდამ მებრძოლი უნდა იყოს. ასე უნდა გავიგოთ აქ შვილდისა და ჩანგის ნათესაობა: ჩანგი ადამიანის გულის მესაიდუმლე, მისი ფიქრებისა და გრძნობების გამომხატველი, ამავე დროს, ბასრი იარაღიც არის, მიმართული ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც კი ხალხის ცხოვრებას აფერხებს, მის წინსვლას ხელს უშლის. პოეზიის ეს მებრძოლი ხასიათი ნიშანდობლივია თვით ა. მირცხულავას ლირიკისათვისაც, ასე მაღალ შეფასებას რომ აძლევს ჩვენი საზოგადოებრიობა.

არა ერთხელ თქმულა, რომ მწერალს ყველაზე უფრო მოეთხოვება განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინოს ენის სიწმინდისა და სილამაზის, სიზუსტისა და მრავალფეროვნების დასაცავად. იგი უნდა იყენებდეს ხალხში გავრცელებულ მარჯვე და მოხდენილ გამოთქმებს, ხალხური ენის სიმდიდრეს, იბრძოდეს არქაიზმის, ნაძალადევი სიტყვებისა და გამოთქმების წინააღმდეგ. ყოველი მისი სიტყვა უნდა იყოს ნათელი და ჟღერადი. მწერლის ნაწარმოებით ენას სწავლობენ მილიონობით ადამიანები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა. ეს ფაქტი თავისთავად ლაპარაკობს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლის ენას. ამიტომ ამბობდა მ. გორკი, რომ ყველა ცხოვრებისეული მასალა, კერძოდ კი ენა მოითხოვს დაკვირვებით, დიდი ყურადღებით შესწავლას, იმის აღებას, რაც მასში ნათელი, ზუსტი და ლამაზია და შემდეგ სიყვარულით მის განვითარებასო. გორკი იქვე დასძენს, რომ ლიტერატურული ნაწარმოების ფორმა წარმოუდგენელია, უაზრობაა ენის ნორმების სიზუსტისა და სილამაზის დაცვის გარეშე. მწერალი ხატავს სიტყვებით, და ხატავს როგორც ფერწერის ოსტატი, ცდილობს გამოხატოს ადამიანი განუწყვეტლივ მოძრაობასა და მოქმედებაში, შრომასა და ბრძოლაში, სწორედ ამ მხრივ გამოირჩევა ა. მირცხულავას ესოდენ მელოდიური და მუსიკალური პოეზია. მისი ენა მდიდარი, მსუბუქი და სადაა. „ჩვენი ქვეყნის ქალ-ვაჟების“ და სხვა მრავალი ლექსის მაგალითზე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ რაოდენ მდიდარია და კეთილხმოვანი რითმებით ხასიათდება ა. მირცხულავას მთელი პოეზია. იგი ქართული ლექსის ერთ-ერთი ნოვატორია. მაგალითად, ის პოეტური მეტრი, რომლითაც დაწერილია „დგას ორი ქალაქი“, „ტალა“, „მოგონების მაგიერ“ და სხვა, ძველ ქართულ პოეზიაში არ გვხვდება. მაგრამ ეს სიახლე დაფუძნებულია კლასიკურ ტრადიციაზე. პოეტის შემოქმედება მარტო თემატიკური მრავალფეროვნებით როდი ხასიათდება, არამედ მეტრის მრავალმხრივობითაც გამოირჩევა. მისი ყოველი ლექსი ატყვევებს მკითხველს, უმორჩილებს მას თავის მომხიბვლელ ძალას.

ა. მირცხულავა ქართული საბჭოთა ეპოსის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მიკი „ენგურით“ იწყება ქართული საბჭოთა ეპიკური პოეზია, სადაც მხატვრულად ხორცშესხმულია ის აზრი, რომ ძველთან გაბედულ და შეუპოვარ ჭიდილში იმარჯვებს და მომავლის ნათელ მწვერვალებს იპყრობს ყოველივე ახალი, მოწინავე და პროგრესული. პოემა „რუსთავი“ ეკუთვნის იმ საყურადღებო მხატვრულ ქმნილებათა რიცხვს, რომლებშიც ნაჩვენებია ჩვენი გმირული და ბობოქარი დღეების მონუმენტური სიდიადე და ძალუმად ჩქეფს მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის პათოსით აღსავსე ცხოვრება. დაუვიწყარია მისი „განგაში“, რომელიც ახალი სიტყვა იყო ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში. ა. მირცხულავამ შესანიშნავად თარგმნა და ქართველ მკითხველს მიაწოდა პუშკინის, ნეკრასოვის, ლესია უკრაინკას, მიცკევიჩისა და თანამედროვე გამოჩენილი საბჭოთა პოეტების მთელი რიგი ლექსები. ერთი სიტყვით, ა. მირცხულავას მოღვაწეობა მოიცავს მხატვრული შემოქმედების მრავალ სფეროს.

ასეთია მოკლედ ის გზა, რომელიც პოეტმა განვლო დღემდე.

ვლადიმერ ჯიბუტი



# მოლაპარაკე მანქანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი დღის დაძაბული მუშაობის შემდეგ, თქვენ დაღლილი ბრუნდებით შინ, სადაც გემრიელი სადილი და საინტერესო წიგნი გელოდებათ; მაგრამ წიგნი უცხო ენაზეა დაწერილი, თქვენ კი ეს ენა არ იცით. მაინც გულდამშვიდებული ხართ. წიგნს სდებთ სპეციალურ ავტომატში, ჩართავთ დენს და მოხერხებულად ჯდებით სავარძელში. აპარატი, იმავე წუთებში, იწყებს წიგნის ქართულად თარგმნას და კითხვას, კითხულობს წყნარი, თანაბარი ხმით და თქვენთვის ნათელი ხდება უცხო ავტორის აზრი, ფიქრები, განცდები.

ფანტაზიაა?

არა, ფანტაზია არ არის. უკანასკნელ დროს მსოფლიოს მრავალი მეცნიერი, ინჟინერი და გამომგონებელი დაჟინებით მუშაობს მსგავსი მანქანა-ავტომატების შესაქმნელად, რაც დრო გადის, მით უფრო აუცილებელი ხდებიან ისინი ჩვენს ცხოვრებაში, მით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ სახალხო მეურნეობისა და კულტურის თითქმის ყველა დარგში.

ავიღოთ, მაგალითად, ასეთი რამ: სამრეწველო საწარმოს 50 ათასი მუშის ხელფასი ელექტროგამომთვლელი მანქანით შეიძლება ნაანგარიშევი იქნას რამდენიმე წუთის განმავლობაში, მაგრამ მისი პროგრამის მომზადება სპეციალურ პერფორირებულ ბარათებსა ან მაგნიტურ ლენტებზე რამდენიმე კვირას საჭიროებს. მანქანას რომ „კითხვა" — ასოების და ციფრების ერთმანეთისაგან გარჩევა შეეძლოს, ალბათ ამ საქმესაც თვითონ გააკეთებდა.

ჯერ კიდევ 1928 წელს ავსტრიელმა პროფესორმა ტაუშეკმა პატენტი აიღო მანქანაზე, რომელსაც შეეძლო „კითხვა" და სავაჭრო დოკუმენტების დამუშავება, მაგრამ მანქანა საკმაოდ რთული აღმოჩნდა და ცხოვრებაში ფეხი ვერ მოიკიდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ცოტა ხნის წინათ დაამზადეს ახალი წამკითხველი მოწყობილობა — „თვალები". იგი ერთმანეთისაგან არჩევდა ციფრებს და ისინი პერფორირებულ ბარათებზე გადაჰქონდა. ეს ავტომატიც რთული გამოდგა, თანაც ძალზე ძვირი ჯდებოდა მისი გამოშვება.

და აი, ამას წინათ მსოფლიოში ცნობილი გახდა, რომ პრაღის კავშირგაბმულობის სამეცნიერო ინსტიტუტის ინჟინერმა ვრანიმ შექმნა „მხედველობის" მქონე ახალი მანქანა. იგი ერთმანეთისაგან არჩევს არა მარტო ტიპოგრაფიული წესით დაბეჭდილ ასოებსა და ციფრებს, არამედ, ზოგიერთი პირობების დაცვით, ხელით დაწერილ ასოებსაც. თურმე მანქანამ შესძლო გამომგონებლის 6 წლის ბიჭუნას მიერ დაწერილი ტექსტის წაკითხვა. თუ რაოდენ „განსწავლული" ეს მანქანა, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი 10 ათას მოქმედებაში მხოლოდ ერთ შეცდომას უშვებს. ასეთი სიზუსტე ჯერ არ ჰქონია მსოფლიოში შექმნილ არც ერთ მსგავს მანქანას. ამასთან, არც ერთი მათგანი არ ყოფილა ისეთი მინიატურული, როგორიც ჩეხმა ინჟინერმა მოაწყო. მთელი მანქანა საწერ მაგიდაზე ეტევა, მაშინ როცა სხვა კონსტრუქციის მსგავსი მანქანები ძლივს თავსდებიან უზარმაზარ კარადებში.

წარმოვიდგინოთ „თვალებიანი" ავტომატი ტელეგრაფში. მიიტანენ ქაღალდზე დაბეჭდილ ტექსტს და ავტომატს წინ დაუდებენ. ავტომატი გაარჩევს ერთმანეთისაგან ასოებს. მერე ტელეგრაფის აპარატის სათანადო სათითურებს დააწვება და დეპეშას ადამიანის ჩაურევლად გადასცემს.

მეტად პოპულარულ იდეას წარმოადგენს აგრეთვე ისეთი მანქანის დამზადება, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს წარმოთქმულ სიტყვებს და მემანქანე ქალივით ქაღალდზე დაბეჭდავს. ვთქვათ, ოთახში დინჯად დაიარება მწერალი და ლაპარაკობს. მისი სიტყვები კი სწრაფად იბეჭდება მანქანაზე, ან, ვთქვათ დარბაზში გამოდის ორატორი. მის სიტყვებს სტენოგრაფისტები კი არ იწერენ, არამედ მანქანა. ძალიან ბევრ შემთხვევაში შეიძლება ასეთი მანქანების გამოყენება.

მანქანამ რომ ლაპარაკი მოისმინოს, ერთმანეთისგან განასხვაოს ბგერები და სიტყვები და მერე ეს სიტყვები ქაღალდზე დაბეჭდოს, მას უნდა ჰქონდეს მიკროფონები, საანგარიშო-გამომთვლელი მოწყობილობა, რომელიც ანალიზს გაუკეთებს „მოსმენილს" და, ბოლოს, უნდა შეეძლოს ბრძანებების გადაცემა საბეჭდი მოწყობილობისადმი.

გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ ყველაზე რთული საქმე ბგერების ანალიზია. ერთ და იგივე სიტყვებს უსათუოდ აქვთ რაღაც საერთო, მიუხედავად იმისა, თუ ვინ წარმოთქვამს მათ. განა ამიტომ არ არის, რომ სხვადასხვა ადამიანების მიერ ნათქვამი ერთი და იგივე სიტყვა ყველას ერთნაირად ესმის! დიალექტის, ინტონაციისა და ტონის სიმაღლის ცვლილება არ აუარესებს სიტყვების გარკვეულობას. ამიტომ სიტყვების გაგება უნდა დაეყრდნოს თვით სიტყვების მნიშვნელობას, ისე რომ სხვა თვისებები არ იქნას გათვალისწინებული.

ლონდონის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა დაამზადეს ადამიანის ხმის ბგერითი ტალღების ბეჭდვით ნიშნებად გარდამქმნელი მოწყობილობა. მოწყობილობა შედგება აკუსტიკური ანალიზატორის, „ლინგვისტური" მახსოვრობის, საანგარიშო-გამომთვლელი მოწყობილობისა და ელექტრონული საბეჭდი მანქანისაგან.

აკუსტიკური ანალიზატორი სპეციალური „ფილტვების" დახმარებით იკვლევს ბგერითი ტალღების ხასიათს და ახდენს ბგერების წინასწარ გამორჩევას. შემდეგ საქმეში ერევა „ლინგვისტიკური" მახსოვრობა. ბგერების მიხედვით წარმოიქმნება გარკვეული სიგნალები, რომლებიც ცალკეულ ელექტრომაგნიტებზე მოქმედებენ. ელექტრომაგნიტები ასოებს ბეჭდავენ ქაღალდზე.

მაგრამ ეს მანქანაც არ არის სრულყოფილი. ის ზუსტად ბეჭდავს ერთი და იგივე დიქტორის მიერ წარმოთქმული სიტყვების 70 პროცენტს, ხოლო თუ ილაპარაკებენ სხვა დიქტორები, მაშინ მანქანა სიტყვების მხოლოდ 45 პროცენტს არჩევს.

გამომგონებლები მარტო იმაზე როდი მუშაობენ, რომ მანქანამ „მოისმინოს" სიტყვები, არამედ იმაზეც, რომ მან შესძლოს „ლაპარაკი". მათ შეისწავლეს მეტყველების ფიზიკური ბუნება. შემდეგ ეს პრობლემა მიახლოებით გადაწყვიტა მოწყობილობა „ვოკოდერმა", რომელიც შორეული კავშირის სისტემაში გამოიყენეს.

საქმე იმაშია, რომ თუ ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებულ ორ ქალაქს შორის შესაძლებელია ერთ ხაზზე 12 ერთდროული სატელეფონო ლაპარაკის განხორციელება, მაშინ მათ ნაცვლად ამ ხაზზე შეიძლება უამრავი იმპულსების კომბინაციების გაგზავნაც. ამ გარემოებამ დაბადა ასეთი იდეა: ერთ ქალაქში აბონენტი ჩვეულებრივად ილაპარაკებს ტელეფონში, ეს ლაპარაკი გარდაიქმნება იმპულსების კომბინაციებად, რომლებიც ხაზში გადაეცემა. მეორე ქალაქში იმპულსები ისევ ბგერებად გადაიქცევიან, მხოლოდ ეს სიტყვები წარმოთქმული იქნება მანქანის მიერ და მათ სრულებით არ ექნებათ ნაცნობის ხმა.

მომავალში ჩვენ ალბათ ასეთი შემთხვევის მოწმე გავხდებით.

რეკავს ტელეფონი. ვიღებთ მილს.

— ალლო, გისმენთ.

— გამარჯობა, ოთარ.

— გამარჯობათ. ვინ ბრძანდებით?

— ვერ მიცანი?

— ვერა, ვერ გიცანით.

— გოგი ვარ, ოთარ.

— გოგი? ეს გოგის ხმა არ არის.

— შეიძლება, დღეიდან ხომ კავშირგაბმულობის სისტემა ხელოვნურ სიტყვებზე გადაიყვანეს.

ახლა უკვე გასაგები ხდება თქვენთვის, რომ თქვენი მეგობრის ხმა „ხელოვნური აბონენტის" ხმამ შეცვალა. ეს კი იმის საშუალებას იძლევა, რომ ერთი ხაზით ერთდროულად უამრავმა ადამიანმა ილაპარაკოს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ავტომატური საქალაქთაშორისო კავშირის დროს, როდესაც ერთი ქალაქის აბონენტი თავისივე ტელეფონზე პირდაპირ აკრეფს მეორე ქალაქის აბონენტის ნომერს.

ავტომატ „ვოკოდერის" ერთ-ერთი ვარიანტის განხორციელების დროს მოწყობილობაში მიკროფონი შეცვლილ იქნა საბეჭდი მანქანით. სპეციალურად განსწავლული მემანქანე ქალი აწვებოდა მის სათითურებს, რომლებიც გარკვეულ ფონეტიკურ ნიშნებს შეესაბამებოდა, და მიმღებში ისმოდა ადამიანის ლაპარაკი.

მოლაპარაკე მანქანა, მისი სრულყოფის შემდეგ, ძალიან ბევრ შემთხვევაში გამოიყენება. იგი დაეხმარება თუნდაც ოპერატორებსა და დისპეტჩერებს, რომლებსაც წინ უამრავი სასიგნალო ნათურები აქვთ ჩამწკრივებული და მათდამი თვალყურის დევნება მეტად უძნელდებათ, მითუმეტეს, როცა ნათურები ერთდროულად ინთება. განა ბევრად უკეთესი არ არის, რომ დისპეტჩერმა ან ოპერატორმა ხმამაღლა მოლაპარაკიდან მოისმინოს რომელიმე აგრეგატის მუშაობის რეჟიმი, ავარიის ზუსტი დრო და ადგილი, ვიდრე ყველაფერი ეს ოპტიკური და აკუსტიკური სიგნალებით შეიტყოს?

როცა მოლაპარაკე მანქანები მინიატურული ზომის დამზადდება, ისინი შეიძლება საყოფაცხოვრებო პირობებშიც გამოვიყენოთ. თუნდაც როგორც ზემოთ ვთქვით, წიგნების წასაკითხად. რატომ არ შეიძლება მოლაპარაკე მანქანამ დინჯად წაგვიკითხოთ წიგნის გვერდები? ანდა რომელიმე ცნობათა ბიუროში დარეკოთ, შეეკითხოთ და მოლაპარაკე მანქანამ ადამიანის ხმით გიპასუხოთ?

უკვე არსებობს მანქანები, რომლებიც ერთი ენიდან მეორეზე თარგმნიან. ვთქვათ, ასეთ მანქანას გაუკეთეს „ყურები" და შთაუნერგეს მეტყველების უნარიც; მაშინ მანქანა-რობოტი შეიძლება მიუახლოვდეს კონფერენციაზე მყოფ ორ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე დელეგატს და უთხრას:

— მთარგმნელი რობოტი გახლავართ, ისაუბრეთ, მე გადავთარგმნი.

ან შეიძლება ასე მოხდეს: ტელეფონით დარეკავთ ჩეხოსლოვაკიაში ნაცნობ სპორტსმენთან. თქვენ ქართულად ილაპარაკებთ, ის კი ჩეხურ ენაზე მოისმენს თქვენ სიტყვებს, ისევე როგორც თქვენ მის სიტყვებს — ქართულად. ყოველივე ამას გააკეთებს სპეციალური მანქანა-თარჯიმანი...

მეტად რთული და საინტერესო გზა აქვთ გასავლელი ადამიანის ამ ჯადოქრულ თანაშემწეებს, კიდევ უფრო საინტერესო და სასარგებლო იქნება მათი დამკვიდრება ჩვენს მრავალფეროვან ცხოვრებაში.

ა. კარბელაშვილი



# საინტერესო თემაზე

## ვინ აღმოაჩინა ამერიკა?

ვინ აღმოაჩინა ამერიკა? უფრო სწორედ, რომელი მხრიდან აღმოაჩინეს იგი — აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან?

ჩვენ არც ვაპირებთ იმ ფაქტების ჩამოთვლას, რომლებიც ნათლად მოწმობენ, რომ კოლუმბი არ იყო პირველი ევროპელი მოგზაური, მანამდე უცნობ კონტინენტს რომ ეწვია. ჩვენ მხოლოდ გვინდა გიამბოთ ზოგიერთი ახალი ჰიპოთეზის შესახებ, რომლებიც, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ გულმოდგინე შემოწმებას საჭიროებენ. როგორც ცნობილია, სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი სახელმწიფო — ეკვადორი დიდი მანძილითაა დაშორებული იაპონიიდან. ამ ორ ქვეყანას ერთმანეთისაგან ჰყოფს წყნარი ოკეანე. თანამედროვე საოკეანო მძლავრ ლაინერსაც კი არ ძალუძს ამ მანძილის სწრაფად დაფარვა. შეეძლოთ თუ არა უძველეს დროში, ხუთი ათასი წლის წინათ, ადამიანებს იაპონიიდან ეკვადორამდე ზღვით მიღწევა? საეჭვოა, ალბათ ასე იტყვით თქვენ, მაგრამ ახალი ჰიპოთეზა სულ სხვა მოსაზრებას გვთავაზობს.

ეკვადორის ერთ-ერთ სანაპიროზე არის ქალაქი ვალდივია. გასულ წელს ამ ქალაქის ახლოს არქეოლოგებმა ნიადაგის ადრეულ ფენებში იპოვეს თიხის ჭურჭლის ნაშთები. ეს ჭურჭელი თავისი ფორმითა და დამზადების მეთოდით თითქმის ზუსტად ემთხვევა სულ სხვა ადგილას ნაპოვნ ჭურჭელს. ასეთი ჭურჭელი დიდ ხმარებაში იყო ვალდივიიდან შორი ათასი კილომეტრით დაშორებულ იაპონიის კუნძულებზე (მესამე ათასწლეულში ჩვენს ერამდე).

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ უძველეს დროში ხდებოდა საზღვაო მიგრაციები, რომ ვალდივიაში, როგორც ჩანს, ადამიანები იაპონიიდან მოდიოდნენ. თავიანთი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად მეცნიერები ეყრდნობიან იმ ფაქტებს, რომ წყნარ ოკეანეში არსებობს დინების ორი სისტემა, რომლებიც ძველად შესაძლებელს ხდიდა საზღვაო მოგზაურობას იაპონიიდან ეკვადორამდე.

ძნელად დასაჯერებელია? შეიძლება! მაგრამ უკანასკნელ წლებში ცნობილი გახდა კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: ოკეანის სანაპიროზე, კალიფორნიასა და ბრიტანეთის კოლუმბიას შორის, ამოჩენილ იქნა სხვადასხვა სკულპტურები. ისინი ძლიერ წააგავს იმ ქანდაკებებს, რომლებსაც ჩინეთში ძერწავდნენ 3.500 წლის წინათ.

## კვამლი პლასტმასისაგან

პლასტიკური მასებისაგან მრავალ ლამაზ, მტკიცე და იაფ ნივთს ამზადებენ. ახლახან მიკვლეულ იქნა მათი გამოყენების კიდევ ერთი მეტად უჩვეულო შესაძლებლობა. მხედველობაში გვაქვს პლასტმასის კვამლი. ასეთი კვამლის მიღების ხერხი მეტად მარტივია: პლასტმასას თხევადი სახით უშვებენ გაზის ტურბინაში, სადაც იგი მაღალ ტემპერატურამდე ხურდება. ტურბინა თხევად მასას ატმოსფეროში ფანტავს უწვრილეს ბუშტულებად, რომლებსაც პატარა ნაწილაკები აქვთ. ამ გზით პლასტმასის მცირე მასიდან შეიძლება დიდი რაოდენობის კვამლის მიღება.

ეს კვამლი ბევრ რამეში შეიძლება გამოვიყენოთ. ცნობილია, რომ ზოგიერთი პლასტმასა საუცხოო თბოიზოლატორს წარმოადგენს. გამოითქვა მოსაზრება, რომ პლასტიკური კვამლის საფარებით შეიძლება დავიცვათ ბაღები და ნათესები ყინვისაგან. კვამლის პლასტმასური „ქურქი" არა მარტო საიმედოდ გაათბობს მცენარეს, არამედ მას სამხრეთში მზის მცხუნვარე სხივებისაგანაც დაიცავს.

თუ პლასტმასის კვამლს გავურევთ იმ მომწამვლელ ნივთიერებებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ იხმარება, მაშინ კვამლის საფარი მაღალი მოსავლის მიღების საუკეთესო საშუალებაც გახდება.

„პლასტმასური ღრუბლები" კარგი საშუალება იქნება ხელოვნური წვიმის მისაღებად. იგი დიდ დახმარებას გაგვიწევს აგრეთვე საწარმოთა მიერ გაჭუჭყიანებული ჰაერის გასაწმენდად.

პლასტმასური კვამლი შეიძლება გამოვიყენოთ ნავთისა და ბენზინის დასაცავად აორთქლებისაგან. როგორც ცნობილია, აორთქლების გზით ნავთობპროდუქტების დაკარგვას დიდი დანაკლისი მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის. პლასტმასის კვამლის საფარი მნიშვნელოვნად ამცირებს ამ დანაკარგებს, იგი საიმედოდ იფარავს ამ ძვირფას სითხეებს და ზედმეტ აორთქლებას.

სპეციალისტები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ზოგიერთი პლასტმასების კვამლი შეიძლება კარგი დამცველი გამოდგეს რადიოაქტიური გამოსხივებისაგან. ერთი სიტყვით, კვამლის ნაწილაკების შემადგენლობისა და მოცულობის ქიმიური მეთოდით შეცვლის გზით, შესაძლებელია პლასტმასის კვამლს შევქმნათ მრავალი სასარგებლო თვისება და წარმატებით გამოვიყენოთ სხვადასხვა საჭიროებისათვის.

პლასტმასის კვამლებს მეტად დიდი მომავალი აქვს.

## ცოტა რამ ყველაფერზე

...უკანასკნელი ოთხმოცი წლის მანძილზე კუნძულმა კორსიკამ, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში მდებარეობს, თორმეტი კილომეტრით გადმოინაცვლა აღმოსავლეთისაკენ.

...მსოფლიოში ყველაზე განიერი ქუჩაა ბრაზილიის ახალ დედაქალაქში — ბრაზილიაში, რომლის სიგანე სამას მეტრს აღწევს.

...ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოსაცემად ამზადებენ „სისხლის სამართლის დამნაშავეთა ლექსიკონს". ამ ლექსიკონში შევა ქურდების, ბანდიტებისა და მკვლელების ყველა ლინგვისტური „შედევრი". ლექსიკონის შედგენაზე გულმოდგინედ მუშაობენ ამერიკის ერთ-ერთ ციხეში მოთავსებული დამნაშავენი.

...მსოფლიოში დაახლოებით ოთხმოცი ათასი დასახელების სხვადასხვა პერიოდული გამოცემა იბეჭდება.

...საბჭოთა კავშირში 1918-1961 წლებში გამოიცა 1.669 ათასი სახელწოდების წიგნი და ბროშურა, რომელთა საერთო ტირაჟი ოცდახუთ მილიარდს აღემატება.

...მსოფლიოში ყოველწლიურად სამი მილიონი სტატია და სამოცი მილიონი გვერდი ტექნიკური ლიტერატურა იბეჭდება. მთელი ეს ნაბეჭდი პროდუქცია ასი ათას ტომს შეადგენს, რომელთაგან თვითეული ექვსას გვერდს მოიცავს.

...ჩინეთის დიდი ენციკლოპედია 11.095 ხელნაწერი ტომისაგან შედგება. ამ ფუნდამენტური ენციკლოპედიის შედგენაზე წლების მანძილზე 2 ათასზე მეტი მეცნიერი მუშაობდა.

საინტერესო თემაზე

2

ემომჩხაიანელმა ბაბო ბოსტაშვილმა სამი ვაჟკაცი და ერთი ქალიშვილი გამოზარდა. ომი რომ დაიწყო, დედამ ბიჭები ერთად გააცილა ფრონტზე და ძმებს დედის თვალებში ცრემლი არ შეუმჩნევიათ; ხიფათითა და განსაცდელით სავსე გზაზე მიდიოდნენ და დედას არ უნდოდა ცრემლით ეცილებინა მათთვის — გული არ გაუტეხეთ.

მერე კი, სახლში დაბრუნებული ბაბო ბოსტაშვილი, სანამ კარს შემოაღებდა, ... იწვოდა და ითვლიდა ... ვინებოდა! პირიქით, ყველა დედას ამხნევებდა: სამი ვაჟკაცი სამშობლოს დასაცავად გავისტუმრე, მომხდარი ... ერთი ქალიშვილი დამრჩა. მე გულს არ ვიტეხ, თქვენ რაღა დაგემართათ!

ასე გადიოდა ომის მძიმე დღეები...

• • •

ბიძინა ბოსტაშვილი ოთხასმეთოთხმეტე ქართულ დივიზიაში 1943 წლის ზაფხულში მოვიდა. მაშინ ის უკვე ნაომარი იყო. ვოლგის სანაპიროებთან ბრძოლაში დაჭრილიყო კიდეც და ჰოსპიტალში გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ ფრონტზე წამოსულიყო.

პირველად აჯიმუშკაის კატაკომბებში შევხვდი მას. მაშინ ჩვენი დივიზია ქერჩის ნახევარკუნძულზე იმყოფებოდა.

აჯი-მუშკაის კატაკომბებში დივიზიის საკომანდო პუნქტი იყო მოთავსებული. აქ გავიცანი კაპიტან აკაკი ძიძავას ბატალიონის პირველი ასეულის ოცეულის მეთაური ლეიტენანტი ბიძინა ბოსტაშვილი. შესანიშნავი ბიჭური იყო, მაღი თვალწარბი, კოხტა ულვაშები და მხედრული წელგამართულობა მეტად შვენოდა ამ მამაც მეომარს.

...როცა 1944 წლის 11 აპრილს ჩვენი შენაერთის მეომრები გადაეშვნენ პირისპირ მდგომ გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ იერიშზე, ბოსტაშვილმა თავისი ოცეულით მტრის თითქმის მთელი ასეული გაანადგურა. მანვე, ქერჩის მისადგომებთან, ჰიტლერელებთან გააფთრებულ შეტაკებაში ბრძოლის ველზე შეცვალა დაჭრილი ასეულის მეთაური და თვითონ გაუძღვა იერიშზე გადასულ მეომრებს.

ასეულის მეთაური ბიძინა ბოსტაშვილი განთავისუფლებულ სიმფეროპოლში უფროსი ლეიტენანტის სამხრეებით შევიდა.

• • •

ჩვენი დივიზია რამდენიმე დღით სიმფეროპოლში შეჩერდა. ფრონტის სარდლობის ბრძანება მოითხოვდა — მეომრებს საშუალება მიეცით გასუფთავდნენ, გამოიბანონ, საბრძოლო იარაღი მიხედონ და ცოტაც დაისვენონ. ეს იყო პირველი შესვენება სამთვენახევრის განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ და ბიჭებმაც კარგად გამოიყენეს.

სამი დღის შემდეგ დივიზიიდან ერთი ნაკრები დამკვრელი პოლკი გამოყვეს; ამ პოლკს მონაწილეობა უნდა მიეღო იერიშში, რომლის მიზანი იყო სევასტოპოლის მისადგომებთან მტრის მთავარი სიმაგრის — საპუნ-გორის აღება.

პოლკში შერჩეული მეომრები შევიდნენ. პირველი ბატალიონის მეთაურად დაინიშნა კაპიტანი ძიძავა, მეორისა — კაპიტანი როსტომაშვილი და მესამისა — კაპიტანი ქავაა.

ნაკრები პოლკი სიმფეროპოლიდან ღამით გავიდა სევასტოპოლის მიმართულებით. პოლკის ამოცანას შეადგენდა ჩამდგარიყო 318-ე და მე-2 გვარდიულ დივიზიებს შუა, საპუნ-გორის ძირში დაეკავებინა საიერიშო გამოსავალი ზოლი და პირველი გასულიყო გერმანელთა თავდაცვის სიმაგრეების გარღვევაზე.

საპუნ-გორის თხემებზე ჰიტლერელებს მოწყობილი ჰქონდათ ღრმად ეშელონირებული თავდაცვის მძლავრი სიმაგრეები. სევასტოპოლის კარიბჭის — საპუნ-გორის ყველა მისასვლელი მტერს გამოთოფილი ჰქონდა. ასეთ პირობებში ბრძოლა რომ მოეგოთ, ჩვენს მეომრებს უნდა გამოეჩინათ განსაკუთრებული გამბედაობა, ვაჟკაცობა და მანევრირების დიდი უნარი.

კაპიტან ძიძავას ბატალიონის ქვეგანაყოფები ღამით შეუმჩნევლად განლაგდნენ საპუნ-გორის ძირში და საიმედოდ ჩასაფრდნენ. ბატალიონის მეთაურმა ვახშამზე მიიწვია უფროსი ლეიტენანტი ბოსტაშვილი. ბიძინასთან ერთად [illegible] სუფრას შემოსხდომოდნენ მისი ოცეულის მეთაურებიც და მადიანად შეექცეოდნენ წიწაკით შენელებულ კერძს.

ძიძავამ იქვე მოხერხებულად ჩამოჯდა, ჩექმის ყელიდან თავისი მუდმივი თანამგზავრი — ალუმინის კოვზი ამოიღო, წყალი გადაავლო და ბიძინას ქვაბუნიდან საჭმელი იგემა.

— წიწაკა სადღა იშოვეთ, ასე კარგად რომ შეგიზავებიათ? — ჰკითხა კაპიტანმა.

— ჩემმა დამ გამომიგზავნა სამახსოვროდ, — უპასუხა ოცმეთაურმა გალაქტიონ ვადაჭკორიამ, — თუ გსურთ, შემიძლია გიწილადოთ.



# ქართველი დედა

— არა, გმადლობთ. მირჩევნია თქვენ გესტუმროთ ხოლმე...

— დიდხანს ვიჯდებით აქ, თხუნელებივით, ამხანაგო კაპიტანო! — დაარღვია ერთხანს ჩამოვარდნილი სიჩუმე ბოსტაშვილმა.

— ჯერ ხომ გუშინ მოვედით, შე კაცო, — ღიმილით უთხრა ძიძავამ, — და მებრძოლებს გააცნო პოლკის მეთაურის ბრძანება იმის შესახებ, რომ მათს ბატალიონს დაეკისრა პირველი დარტყმა აგემოს მტერს.

— პირველნი თქვენ წახვალთ იერიშზე, — განაგრძობდა კაპიტანი — რას იტყვი ამხანაგო ბოსტაშვილო?

— ვეცდებით, სირცხვილი არ გაჭამოთ, ამხანაგო კაპიტანო!

— ვეცდებითო, ეგ რა პასუხია! — გაიღიმა ძიძავამ.

— შევასრულებთ საბრძოლო ამოცანას, ამხანაგო კაპიტანო, პირველნი ავიტანთ გამარჯვების დროშას საპუნ-გორაზე! — შესძახა წამოწითლებულმა ასმეთაურმა.

— აი ეგ მომწონს. ვაჟკაცური პასუხია. მე მივდივარ. უცადეთ ბრძანებას.

— ჩვენს გვარში ჯერ უნდილი არავინ გამორეულა. ჩვენ გაბრიელა ბოსტაშვილის შთამომავლები ვართ! — დაადევნა ბოსტაშვილმა სიბნელეში გაუჩინარებულ კაპიტანს.

— ეგ გაბრიელა ბოსტაშვილი ვინ იყო? — ჰკითხა პოლიკარპე ლორჩოშვილმა, — რაღაც გამიგია და არ მახსოვს.

...ღამის სიბნელეში ჩაფლული მეკენზის მთა და საპუნ-გორის არცთუ ისე მაღალი მწვერვალები ზღაპრულ ბუმბერაზებს წააგავდნენ. აქა-იქ კანტიკუნტად გაისმოდა ქვემეხების გასროლის ხმა, ტყვიამფრქვევების მოკლე ჯერი და ავტომატების ტკაცუნი. გერმანელები ხშირ-ხშირად უშვებდნენ საპუნ-გორის თხემებზე მაშხალებს და განუწყვეტლივ ანათებდნენ მიდამოს. მზვერავი თვითმფრინავების მონოტონური გუგუნი აფხიზლებდა ყველას...

ბოსტაშვილმა შეამოწმა ყველა ოცეული, გაესაუბრა მებრძოლებს, გააფრთხილა მკაცრად დაეცვათ შენიღბვის წესი და უკან დაბრუნდა. ოცმეთაურებიც თან მოჰყვნენ.

— მაშ გაინტერესებთ ვინ იყო გაბრიელა ბოსტაშვილი? — მიუბრუნდა ბიძინა ლორჩოშვილს. — პაპისპაპის პაპად მერგებოდა. არ წაგიკითხავს ნიკო ლომოურის „წინაპართა აჩრდილნი"? იმ გაბრიელაზე და ერეკლე მეორეზეა დაწერილი.

— არ მახსოვს, კაცო! გვიამბე, ძილი მაინც აღარ მოგვეკარება...

— ალაზნის ველზე, ჰაჯი ჩალაბის ურდოებთან შეჯახების დროს ერეკლე მეორისთვის ცხენი მოუკლავთ. მეფეს ამ დროს შეუნიშნავს ერთი ქიზიყელი თავადიშვილი, რომელიც იქვე ახლო მიაჭენებდა ცხენს. გადადგომია წინ და შეუძახნია მისთვის:

— თავადო, ცხენი მომიკლეს და შენი უნდა დამითმო.

— მობრძანდით, ბატონო, შემომიჯექით უკან და ორივენი გავიქცეთ.

— ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და ვინც შენ უკან შემოგიჯდეს, ისიცა! — უპასუხა ერეკლემ.

— ბატონო, აი ცხენი!.. შებრძანდი, შენი ჭირიმე და უშველე თავსა, — შემოესმა ერეკლეს მეორე მხრიდან.

მეფე საჩქაროდ შეახტა ამ ცხენს და მერე მიუბრუნდა მის პატრონს:

— აბა, ჩქარა შემომიჯექ შენც უკან... ჩქარა შემომიჯექ, თორემ მოგკლავენ...

— თუნდაც მომკლან, არა უშავს-რა, შენი ჭირიმე!.. ჩემისთანებს ქართველი დედა წელიწადში ათასსა შობს... თქვენ გადირჩინეთ თავი, ბატონო... ერეკლე ბატონიშვილს ძნელადღა გაზრდის ქართველის ძუძუ.

— ის მაინც მითხარი, ვინა ხარ? სადაური ხარ?.

—ზემომაჩხაანელი გლეხი, გაბრიელა ბოსტაშვილი გახლავარ, შენი ჭირიმე!

— აი კაციც ეგ ყოფილა და ქუდიც მაგას ხურებია! — ამოილაპარაკა გალაქტიონ ვადაჭკორიამ.

ბიძინა კი განაგრძობდა:

—...ამ შემთხვევის მეორე თუ მესამე დღეს ვახშმობისას ბოსტაანთ გაბრიელას სახლს ზემო მაჩხაანში ვიღაც ცხენოსანი მიადგა და მის მოხუც მამას ჰკითხა: გაბრიელა ბოსტაშვილი აქა ცხოვრობსო?

— დიახ, შენი ჭირიმე, აქა ცხოვრობს. ის გაბრიელა ჩემი ბიჭია, — უპასუხა თურმე მოხუცმა.

— მაშ ამაღამ შენი სტუმარი უნდა ვიყვე, — უთხრა მხედარმა და ცხენიდან გადმოხტა, მერე დაუმატა: — ერთი ეს მითხარი, ბერიკაცო, შენი ბიჭი გაბრიელა ამჟამად სად არის?

— ახლა, ამ წამში სად არის ჩემი ბიჭი, სწორე მოგახსენო, არ ვიცი, — უპასუხა მოხუცმა, — ამ ორი დღის წინათ კი სალაშქროდ გაჰყვა ჩვენს ჯარს. მაგრამ ამბობენ, ჩვენი მეფე დამარცხდა და მტრებმა დიდძალი ქართველობა ამოხოცესო... ამბობენ... კიდე ვინ იცის, რაებს არ ამბობენ!!!

— მაინც რას ამბობენ?

—ამბობენ, ვითომ ბატონი ერეკლე...

— რაო? მოჰკლესო?..

— აი იმას ამბობენ, რაც ახლა შენა თქვი, მაგრამ ტყუილია. მიჰქარავენ.

— სწორედ, სწორედ ტყუილი უთქვამთ... მეფე ერეკლე დღეს ბინდისას ბაკურციხეში ბრძანდებოდა.

ბერიკაცი სიხარულისაგან სწორედ გადარეულს დამსგავსებია; რაღა ბევრი გავაგრძელოთ, შუაღამისას სახლში შეიარაღებული გაბრიელიც მოსულა, გადაუკოცნია მშობლები და სტუმრისაკენ რომ გაუხედავს, ერთ ადგილზე გაშეშებულა, მას მაშინვე უცვნია იგი და წამოუძახნია:

— შენი ჭირიმე, დედავ, ამას ვისა ვხედავ? ეს რა ამბავია ჩვენ საწყალ სახლში!

სტუმარს გულში ჩაუკრავს ახალგაზრდა ბოსტაშვილი და მამაშვილური გრძნობით უთქვამს:

—მადლობა უფალს! შენ რომ იქ, ბრძოლის ველზე მოიკალით, სამარეშიაც ვეღარ მოისვენებდა ჩემი სინდისი!

— ბიჭო, შე შეჩვენებულო, მითხარი, ვინა ბრძანდება ეს კაცი? — უკითხავს აღელვებულ მამას შვილისათვის.

— ბატონი ერეკლეა, მამავ, ნეფე ერეკლე!..

— როგორ თუ ერეკლე? — შეუყვირია მოხუცს და თითქმის უგრძნობლად დაშვებულა სათაყვანო მეფის წინაშე.

მეორე დღეს კი, სისხამ დილაადრიან, სიღნაღიდან ხუთასი შეიარაღებული ცხენოსანი გასულა. მათ წინ მიუძღოდა მეფე ერეკლე, რომელსაც გვერდში ედგა ცხენზედ ვაჟკაცურად გამოჭიმული გაბრიელ ბოსტაშვილი...

იმ დღესვე მიხდომიან ქართველები კახეთში მოთარეშე ურდოებს, შეუმუსრავთ სამი ათასამდე მოძალადე, ხოლო მათ ბელადს ჰაჯი ჩალაბს გაქცევით ძლივს გაუღწევია თავი.

— აი, იმ გაბრიელა ბოსტაშვილის შთამომავალი ვარ, — დაასრულა ბიძინამ და წამოდგა. ყველანი სანგრებისაკენ გაემართნენ...

* * *

დადგა იერიშის დღეც.

1944 წლის 7 მაისს დილით. საარტილერიო მომზადების შემდეგ, ქართველების ნაკრები პოლკი პოდპოლკოვნიკ ქანთარიას მეთაურობით გადავიდა შეტევაზე. მას მხარს უჭერდნენ გორგიშვილისა და მანაგაძის პოლკები.

კაპიტან ძიძავას ბატალიონის მებრძოლები ძახილით: წინ, სევასტოპოლისაკენ! — ჩაუხტნენ ფაშისტებს ტრანშეებსა და ბლინდაჟებში და გაუმართეს ხელჩართული ბრძოლა. ჰიტლერელებთან ამ სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში გასაოცარ ვაჟკაცობას იჩენდნენ უფროსი ლეიტენანტის ბიძინა ბოსტაშვილის ასეულის მებრძოლები და მეთაურები.

დღე მიიწურა, მაგრამ ბრძოლას დასასრული არ უჩანდა. შებინდებისას ბოსტაშვილის მეომრებმა მტერს მეორე ტრანშეაც წაართვეს და მიიღეს ბრძანება მტკიცედ გამაგრებულიყვნენ, რადგან პოლკის დანარჩენი ქვეგანაყოფებისაგან საგრძნობლად იყვნენ დაცილებულნი.

ამასობაში თერმოსებით ცხელი საჭმელი მოიტანეს. დაღლილობა ყველას დაავიწყდა.

დანაყრების შემდეგ, ოცეულის მეთაურები — გალაქტიონ ვადაჭკორია, პოლიკარპე ლორჩოშვილი და ზემდეგი გივი შავნგირაძე თავისთან მიიხმო ბოსტაშვილმა. მან ვითარება აუხსნა თავის მებრძოლ თანამემწეებს. სანგარში მყოფი მებრძოლებიც ისმენდნენ ასეულის მეთაურის დინჯ, აუღელვებლად ნათქვამ სიტყვებს:

— ჩვენ ბრძოლა მოგვიხდება მტრის ჭარბი ძალების — თითქმის მთელი ბატალიონის წინააღმდეგ, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს. თვითეულ ჩვენგანზე ათი ფაშისტიც რომ მოვიდეს, მაინც უნდა ვძლიოთ მტერს, ასეთია სამშობლოს ბრძანება! ახლა მთელი ჩვენი ქვეყანა, ჩვენ შემოგვყურებს, ჩვენზე ფიქრობენ საქართველოშიც, მოსკოვშიც, კრემლშიც. ნანგრევებად ქცეული სევასტოპოლი კი გვიხმობს, განთავისუფლებას გვთხოვს... რას იტყვით ძმებო, შევძლებთ თუ არა ვასახელოთ ჩვენი სამშობლო!

გალაქტიონ ვადაჭკორია პირველი წამოდგა, მიუახლოვდა ასმეთაურს, მტკიცედ შეხედა თვალებში, გადაეხვია, მაგრად ჩაჰკოცნა და უხმოდ დაბრუნდა თავის ადგილზე.

თითქოს ნიშანი ყოფილიყოს ეს, შემდეგ ყველა მეთაურმა, სერჟანტმა და მებრძოლმა, სათითაოდ ჩამოუარა ბიძინა ბოსტაშვილს და შეჰფიცა მამაც მეთაურს: სიცოცხლეს არ დავიშურებთ მტერზე გამარჯვებისათვის, გაგვიძეხი, მზად ვართო!

* * *

მეორე დღეს გარიჟრაჟისას გალაქტიონ ვადაჭკორიას და პოლიკარპე ლორჩოშვილის ოცეულებმა ფრთხილად გადალახეს დანაღმული ველი და მტრის მიერ დაგებული მავთულხლართების ზოლი. ათთხუთმეტ მეტრზე რომ მიუახლოვდნენ ჰიტლერელთა ტრანშეას, ელვისებური ნახტომით გადაეშვნენ მასში და ფაშისტებს ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს. ტრანშეას გარნიზონი განადგურებულ იქნა. მხოლოდ ორიოდე ჰიტლერელმა უშველა თავს გაქცევით.

მტრის თავდაცვის სიმაგრეთა უკანასკნელი რკალი-ლა იყო გასარღვევი. მთელს ფრონტზე დაიწყო ძლევამოსილი იერიში.

ამ იერიშის წარმატებისა და სევასტოპოლის განთავისუფლების გზაზე გერმანელთა თავდაცვის უკანასკნელი რკალის გარღვევის ბედი ახლა ბოსტაშვილის ასეულის მეომრებს უნდა გადაეწყვიტათ. ისინი წინ იყვნენ გაჭრილნი, მათგან 150-200 მეტრზე იდგა მტრის ზარბაზნები, რომლებიც ღია პოზიციებიდან უშენდნენ ცეცხლს ჩვენს შემტევ ქვეგანაყოფებს.

ბოსტაშვილმა სწრაფად აუღო ალღო შექმნილ ვითარებას. სცადა ტელეფონით დაკავშირებოდა პოლკის მეთაურს. არაფერი გამოვიდა. ხაზი დაზიანებული აღმოჩნდა. დრო კი არ ითმენდა. შერჩეულ იქნა გულადთა ჯგუფი. მას დაევალა ფარულად შეჭრილიყო მოწინააღმდეგის ბატარეის განლაგებაში და მოესპო მისი გარნიზონი.

ქართველმა მეომრებმა ისარგებლეს ფერდობებით და თხემების უსწორმასწორობით, ზურგში მოექცნენ ღია პოზიციაზე მდგომ გერმანელთა ბატარიის გარნიზონს და ელვისებური დარტყმით გაანადგურეს მთლიანად.

ჩვენს ქვეგანაყოფებს გზა გაეხსნათ შეჩერებული იერიშის გაგრძელებისათვის. ბოსტაშვილის ასეულმა წინ წაიწია, მიაბრუნა გერმანელთა ქვემეხები და მათვე დაუშინა ცეცხლი. გერმანელ ფაშისტთა თავდაცვის უკანასკნელი ზღუდეღა დარჩა ასაღები. ეს იყო მე-10 საბჭოთა მეურნეობის მიდამოებში. აქ გაიმართა გადამწყვეტი სისხლისმღვრელი ბრძოლები.

იერიშის დროს ბოსტაშვილის ასეული შეიჭრა გერმანელთა თავდაცვის სიღრმეში. ფაშისტებმა მოინდომეს ასეულის გარშემორტყმა და მოსპობა. გააფთრებულ ბრძოლაში ბოსტაშვილმა ვერ შენიშნა, თუ როგორ დასცილდა თავის ოცეულებს. მას მხარდამხარ მიჰყვებოდა მხოლოდ რვა მეომარი, რომლებიც ხელჩართული ბრძოლებით მიიწევდნენ წინ.

— დაგვნებდით! — გაისმა ჰიტლერელის ჩახლეჩილი ხმა.

ბიძინამ გადახედა თავის რვა მებრძოლ მეგობარს და მტკიცედ უთხრა:

— ვინ ვგონივართ მაგ მაჯლაჯუნას? გამარჯვებამდე ორიოდე ნაბიჯიღა გვაკლია. მხოლოდ წინ, არც ერთი ნაბიჯი უკან! ხედავთ, ცხრანი ვართ... შევფიცოთ ერთმანეთს, რომ მტერს ზურგს არ ვუჩვენებთ და ბრძოლას მივიყვანთ გამარჯვებამდე!..

— წადი წინ და მოგყვებით! — შესძახა გალაქტიონ ვადაჭკორიამ და გვერდიდან გამომძვრალ ჰიტლერელებს დააყარა ავტომატის ცეცხლი. გალაქტიონი მტრის ტყვიით მოცელილი დაეშვა ბიძინას გვერდით. გამწარებულმა ბოსტაშვილმა ავტომატის ჯერით დაჰკრა ექვსი ფაშისტი, ტყვიებიც გამოელია. მაშინ იძრო პისტოლეტი. პოლიკარპე ლორჩოშვილმა გერმანელებისაკენ ზედიზედ სტყორცნა სამი გრანატი. ჰიტლერელები მაინც მოძვრებოდნენ, უფროს ლეიტენანტს უახლოვდებოდნენ. ბიძინამ პისტოლეტით კიდევ სამი ფაშისტი დასცა მიწაზე. ზემდეგი შვანგირაძე ვეფხვის ნახტომით გაჩნდა ბოსტაშვილის გვერდით და მისკენ გამოჭრილ ფაშისტებს ხელის გრანატები დააყარა. ჰიტლერელები ყიჟინითა და ველური ქრიამულით მოიწევდნენ მამაცთა მცირე, სისხლისაგან დაცლილი ჯგუფისაკენ.

—არც ერთი ნაბიჯი უკან, მხოლოდ წინ, სევასტოპოლისაკენ! — გაისმა ბოსტაშვილის უკანასკნელი შეძახილი. მტრის ავტომატის ჯერით განგმირული დაეცა იგი თავისი საყვარელი ზემდეგის გივი შვანგირაძის გვერდით...

ამ უთანასწორო ბრძოლაში გმირის სიკვდილით დაეცა ცხრავე ქართველი მეომარი: უფროსი ლეიტენანტები ბ. ბოსტაშვილი და გ. ვადაჭკორია, ლეიტენანტი პ. ლორჩოშვილი, ზემდეგი გ. შვანგირაძე, სნაიპერი მ. ნანიტაშვილი, მეტყვიამფრქვევე გ. შენგელია, მსროლელები პ. აკობია, მ. თათარიშვილი და ა. სიჭინავა.

მალე ბატალიონის სხვა ასეულებმა ფლანგებიდან დაარტყეს ჩვენს სიღრმეში შემოჭრილ ფაშისტებს; ბრძოლა რომ მიწელდა და ცეცხლის ხაზმა წინ წაიწია, ცხრა ქართველი გმირის ირგვლივ ჩვენმა მებრძოლებმა მტრის ჯარისკაცისა და ოფიცრის ორმოცდაათზე მეტი გვამი დაითვალეს.

ცხრა ქართველი გმირი, სხვებთან ერთად, სამხედრო პატივისცემით იქნა დაკრძალული ძმათა სასაფლაოზე კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ ცენტრალურ მოედანზე. დაკრძალვის დროს გამოაქვეყნეს ბიძინა ბოსტაშვილის სახელზე წინა დღეს სახლიდან მოსული მისი რძლის შემდეგი წერილი:

„ბიჭო, ბიძინა, რა დაგემართა, რატომ წერილს არ იწერები? ხომ იცი დედის გული? დედაშენი მთელი დღე გზაზე დგას და შენს წერილს ელოდება. ელიზბარისაგანაც არაფერი ისმის. საწყალი დედაკაცი, როგორც გზაზე ავლილ რომელიმე ფრონტელს მოჰკრავს თვალს, დაედევნება ხოლმე და თქვენს ამბავს ეკითხება. მოიწერე წერილები ხშირად, გაახარე დედაშენის მწუხარებით სავსე გული...“

წერილის ამ სიტყვებმა ბოსტაშვილის მებრძოლ მეგობრებს მტრისადმი უსაზღვრო შურისგებით აღუვსო გულები. 9 მაისს საბჭოთა მეომრებმა მედგარი დარტყმებით მილეწ-მოლეწეს მტრის ყველა სიმაგრე. შემუსრეს მისი ტექნიკა და ცოცხალი ძალა, ბრძოლით შეიჭრნენ ნანგრევებად ქცეულ სევასტოპოლში და ქალაქზე ნაშუაღამევს ააფრიალეს გამარჯვების დროშა... უფროსი ლეიტენანტი ბიძინა ბოსტაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულ იქნა სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით.

ფრონტიდან არ დაბრუნებულა ბიძინას ძმა ელიზბარიც. ისიც გმირის სიკვდილით დაეცა სამშობლოსათვის ბრძოლაში.

მადლიერმა სევასტოპოლელებმა თავიანთი ქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაცემულ ანაპის 414-ე წითელდროშოვანი დივიზიის მეომრებს აუგეს ძეგლი, რომლის საზეიმო გახსნა მოხდა დიდი სამამულო ომის დაწყების 20 წლისთავზე — 1961 წლის 22 ივნისს, სევასტოპოლის ჭიშკართან — საპუნ-გორაზე. სხვებთან ერთად, იქვე, ძმათა ახალ სასაფლაოზე, გადაასვენეს ბიძინა ბოსტაშვილი და მისი მებრძოლი მეგობრები.

არჩილ კოკილაშვილი



# „ბაასი“ და ახალი ამოცანები

მიმდინარე წლის რვა თებერვალს, დილაადრიან, ერაყის ძველი დედაქალაქის — ბაღდადის მოსახლეობა ბომბების ძლიერმა აფეთქებამ გაალვიძა. პრემიერ-მინისტრ ყასემის რეზიდენციას, ერაყისავე სამხედრო თვითმფრინავები ბომბავდნენ.

ასე დაიწყო სამხედრო გადატრიალება ერაყში.

ზუსტად ერთი თვის შემდეგ, რვა მარტს, დილით, სამხედრო ამბოხება დაიწყო სირიაშიც.

ერაყსა და სირიაში მომხდარი სამხედრო გადატრიალებათა ხასიათის და მიზნების გარკვევისას ყურადღებას იქცევს შემდეგი ფაქტები:

ორივე ქვეყანაში ამბოხებას ხელმძღვანელობდნენ ეგვიპტის პრეზიდენტის ნასერის მომხრე ოფიცრები. მაგალითად, ერაყის არმიაში პოლკოვნიკი არეფი ცნობილი იყო, როგორც პრონასერული მოღვაწე. 1958 წლის 14 ივლისის რევოლუციის შემდეგ იგი დააპატიმრეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. მაგრამ მაშინ არეფი გენერალმა ყასემმა იხსნა—გაანთავისუფლა და ბაღდადში ცხოვრების უფლება მისცა. სწორედ ეს პოლკოვნიკი ასრულებდა ახლა წამყვან როლს ყასემის მთავრობის დამხობაში. მანვე დაიკავა რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტიც; ხოლო სირიაში მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ოპერაციებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი ზიად ჰარირი, რომელიც მანამდე ცნობილი იყო, როგორც სირიაში არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგე და ეგვიპტესთან მჭიდრო თანამშრომლობის მომხრე.

გადატრიალების შემდეგ სირიასა და ერაყში შექმნილ მთავრობებში წამყვანი პოსტები პარტია „ბაასის“ წევრებმა დაიკავეს.

პარტია „ბაასი“ ანუ „არაბული აღორძინების სოციალისტური პარტია“ 1953 წელს შეიქმნა სირიაში ორი უკიდურესი რეაქციული ნაციონალისტური პარტიის — „არაბული აღორძინებისა“ და „სოციალისტური პარტიის“ გაერთიანებით. მისი წევრები ძირითადად წვრილი ბურჟუაზიის და ინტელიგენციის წარმომადგენლები არიან. მისი იდეური კონცეფციის ძირითადი მომენტები ასეთია: სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები არაბები ერთ ერს ეკუთვნიან, ამიტომ მათი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული საწყისები განუყოფელია. აქედან გამომდინარე, ბაასისტები მიზნად ისახავენ არაბული ქვეყნების გაერთიანებას „სპარსეთის ყურიდან ატლანტის ოკეანემდე“. ამიტომ ბაასისტებმა თავისი ადგილობრივი ორგანიზაციები სირიის გარდა შექმნეს ერაყში, იორდანიასა და ლიბანში.

„ბაასის“ ერთ-ერთი მთავარი მიზანია კომუნიზმის იდეების წინააღმდეგ ბრძოლა.

გადატრიალების შემდეგ ერაყსა და სირიაში შექმნილი მთავრობების ერთ-ერთი პირველი საგარეო პოლიტიკური ნაბიჯი იყო დელეგაციების გაგზავნა კაიროში, სამთა კავშირის, ფედერაციის შექმნის შესახებ მოლაპარაკების საწარმოებლად.

სამი ქვეყნის ავტორიტეტული დელეგაციების მოლაპარაკება კაიროში მარტის შუა რიცხვებში დაიწყო. ეგვიპტურ პრესას მოლაპარაკება იოლად მიაჩნდა და განსახილველი ყველა საკითხის შესახებ სწრაფ შეთანხმებას წინასწარმეტყველებდა. მაგრამ მალე მოლაპარაკება შეწყდა. ერაყისა და სირიის დელეგაციები ბაღდადსა და დამასკოს გაფრინდნენ თავიანთ მთავრობებთან საკონსულტაციოდ. აშკარა გახდა, სამთა მოლაპარაკება წინააღმდეგობებს წააწყდა და საერთო პოზიცია ვერ გამოიმუშავეს. როგორც ჩანს, დავა ძირითადად ორი საკითხის ირგვლივ წარმოებდა; პირველი იყო საკითხი ერაყის, სირიის და ეგვიპტის ფედერაციის სახელმწიფო ორგანოების შესახებ. ნასერი, გასაგები მიზეზების გამო, მოითხოვდა, რომ ფედერაციას ერთი პრეზიდენტი და ერთიანი საკანონმდებლო ორგანო ჰქონოდა. მას დაუპირისპირდა სირიის დელეგაციის წინადადება, რომელიც მომავალ ფედერაციაში ხელისუფლების გადამეტებული ცენტრალიზაციის წინააღმდეგ გამოვიდა და მოითხოვდა, რომ ფედერაციაში შემავალ ქვეყნებს შეენარჩუნებინათ საკუთარი სახელმწიფო სისტემა და ჰყოლოდათ საკუთარი პრეზიდენტები.

წინააღმდეგობამ იჩინა თავი მომავალ ფედერაციაში პოლიტიკური პარტიების არსებობის საკითხშიც. არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში აკრძალულია ყველა პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობა და მთავრობა ეყრდნობა მის მიერვე დაარსებულ „არაბული სოციალიზმის კავშირს“. გასაგებია, რომ ეგვიპტის მმართველი წრეები შეეცდებიან ანალოგიური ვითარება შექმნან ფედერაციის დანარჩენ ქვეყნებშიც. ბაასისტ ლიდერებს სრულიად არ მოსწონთ ასეთი პერსპექტივა და საკუთარი პოზიციების განმტკიცებაზე ფიქრობენ.

კაიროს, ბაღდადისა და დამასკოს შორის მაღალი თანამდებობების პირთა მიმოსვლამ ერთ თვეზე მეტს გასტანა. ბოლოს, 17 აპრილის გვიან ღამეს კაიროში პრეზიდენტმა ნასერმა, ერაყის პრემიერ-მინისტრმა ჰასან ელ-ბაკრმა და სირიის რევოლუციური სარდლობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ გენერალმა ათასიმ ხელი მოაწერეს ერთობის მანიფესტს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მხარეები შეთანხმდნენ ფედერაციის შექმნის ყველა საკითხში. ფედერაციაში შევლენ ეგვიპტე, ერაყი და სირია. ფედერაციის სახელწოდება იქნება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, დედაქალაქი კი კაირო. ხელისუფლების ორგანოების თაობაზე, როგორც ჩანს, კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღეს: ფედერაციას ექნება ორპალატიანი პარლამენტი, რომელიც აირჩევს ფედერაციის პრეზიდენტს ოთხი წლის ვადით. ეს უკანასკნელი დანიშნავს ფედერალური მთავრობის წევრებს და იქნება სამივე ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. გარდა ამისა ფედერაციაში შემავალი ქვეყნები აირჩევენ საკუთარ ორგანოებს, ეყოლებათ პრეზიდენტები და მთავრობები.

ახალი არაბული ფედერაციის შექმნის პროექტის შესახებ ორიოდე თვის შემდეგ სამივე ქვეყანაში რეფერენდუმი ჩატარდება. მოწონების შემთხვევაში ოფიციალურად დაიწყებს არსებობას ახალი ფედერალური სახელმწიფო, რაც, ეჭვს გარეშეა, საგულისხმო ეტაპი იქნება მთელი არაბი ხალხის ცხოვრებაში.

ა. ავალიანი

# ერთის სანაცვლოდ

თავისუფლებისათვის მებრძოლ ერაყელ ძმებს.

**კოჯე მელუშვილი**

ძვირი ღირს,
ძმებო,
თავისუფლება:
სისხლი და ცრემლი
აურაცხელი.
ტკივილი თქვენი,
ყველა, უკლებლად
ჩვენც გავიარეთ,
მაგრამ გავძელით.

კახეთის ველთა ყაყაჩოები,
სისხლია ჩვენი,
უხვად დაღვრილი.
ქართლის ბაღების ხეთა რტოები,
ძვლებია ჩვენი
ზვინად დაყრილი;

ყანების ნამი,
ბალახის ნამი,
ცრემლია ჩვენი
ღელედ ნადენი.
წყალი რიონის,
იორის, ხრამის,
ოფლია ჩვენი,
ოი, რამდენი!

რწმენით გავძელით!..
ერთის სანაცვლოდ
ფეხზე ათასი დგებოდა შვილი.
მტარვალებს ჩვენთვის
თოკი არ ეყოთ,
ტყვია არ ეყოთ,
თოფი არ ეყოთ...
თუმც მაშინ გვყოფდა დიდი
მანძილი,
ხომ გაიგონეთ ოქტომბრის ექო?!
ხომ გაიგონეთ თებერვლის ექო?!

ძვირი ღირს,
ძმებო,
თავისუფლება:
სისხლი და ცრემლი
აურაცხელი.
ტკივილი თქვენი,
ყველა, უკლებლად
ჩვენც გავიარეთ,
მაგრამ გავძელით.

# მატჩი მოიგეს ჩაისჭურიანებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა





მაგიდას უზის სამი კაცი. სამივე ჯიუტად ამტკიცებს, რომ იგი იან კოვალსკია. რა თქმა უნდა, კოვალსკი ერთი მათგანია. მაგრამ რომელი? ოთხნი ცდილობენ ამის გამოცნობას და მაგიდასთან მსხდომთ მეტად მაცდუნებელ შეკითხვებს აძლევენ. მათ იმედი აქვთ, რომ უსათუოდ გამოამჟღავნებენ თვითმარქვიებს, მაგრამ ცრუპენტელები მშვენივრად არიან მომზადებულნი, და ტელემაყურებლებიც (ყველაფერი ეს ხდება პატარა ეკრანზე) სულითა და გულით მხიარულობენ. ასეთი იყო ტელეტურნირი, რომელსაც „ცრუპენტელებისა და მატყუარების ალლუმი" ეწოდებოდა.

უკვე ოთხი წელია, რაც პოლონეთში ასეთი ტელეტურნირები და სატელევიზიო კონკურსები იმართება. კონკურსები ორნაირია: ციკლური და ცალფა. მეტად პოპულარულია პერიოდული კონკურსი „ჯვრები და ნულები". მასში მონაწილეებს აძლევენ შეკითხვებს ცოდნის 27 სფეროდან, როგორიცაა, მაგალითად, პოლონეთის ისტორია, მსოფლიო ისტორია, ტექნიკა, თეატრი, ფიზიკა და ა. შ. კონკურსში გამარჯვებულს ტელევიზორით აჯილდოებენ. არა ნაკლებ პოპულარულია სატელევიზიო კონკურსი „ცოდნის ხე", რომელიც ეძღვნება მხოლოდ მსოფლიოს მიმდინარე ამბებს.

მათემატიკური გასართობების მოყვარულთათვის ტელევიზია თვეში ერთხელ აწყობს კონკურსს „პითაგორის კვალდაკვალ". კონკურსში მონაწილეებს აძლევენ მარტივ ამოცანებს, რომელთა ამოსახსნელად დანიშნული დრო ერთნახევარ წუთს არ აღემატება. თავისთავად ცხადია, რომ ტურნირი პროფესიონალ მათემატიკოსს მიჰყავს...

კონკურსი „20 შეკითხვა" კი წარმოადგენს ისეთ თამაშს, როცა მონაწილენი ცდილობენ მისახვედრი შეკითხვებით გამოიცნონ ჩაფიქრებული საგანი, ან რაიმე განყენებული ცნება. პოლონეთში „20 შეკითხვის ლიგაც" კია შექმნილი. ხუთი პოლონური ქალაქის — ვარშავის, კრაკოვის, კოტოვიცის, ლოძისა და პოზნანის წარმომადგენლები უკვე ორი წელია ზედიზედ აწყობენ მატჩებს, რომლებსაც დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს ტელემაყურებლები. ბოლო ხანებამდე გათამაშებათა ცხრილში პირველი ადგილი ვარშავას ეჭირა, მაგრამ ამას წინათ დაძაბული ბრძოლის შემდეგ წააგო კრაკოვთან ანგარიშით 5:6.

მუდმივ კონკურსებთან ერთად ეწყობა ერთი რომელიმე თემისადმი მიძღვნილი კონკურსებიც. მაგალითად, „ჰ. სენკევიჩის შემოქმედება", „პოლონეთის ისტორია", „თეატრი", „პრუსტის რომანი „თოჯინა", „მიცკევიჩის პოემა „პან თადეუში". ამ უკანასკნელში გამარჯვებული გამოვიდა ვარშავის სასაკლაოს ინსპექტორი, რომელსაც მთელი პოემა ზეპირად სცოდნოდა.

რაც შეეხება ტელეკონკურსების მონაწილეთა შერჩევას, ეს უკვე დამოუკიდებელი სამუშაოა. კონკურსის შესახებ რედაქცია ჩვეულებისამებრ აცხადებს გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის მეოხებით. განაცხადთა რიცხვი სხვადასხვა კონკურსში სხვადასხვანაირია — სენკევიჩის „ტრილოგიებისადმი" მიძღვნილ კონკურსში მონაწილეობის 300 მსურველიდან ჯოზეფ კონრად-კოჟენევსკის შემოქმედებისადმი მიძღვნილ კონკურსში მონაწილეობის ერთადერთ მსურველამდე.

განსაკუთრებით დიდი ვნებათა ღელვა ჩაღდება ვარშავის ორი უმაღლესი სასწავლებლის — პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის გუნდებს შორის გამართული მატჩების ირგვლივ. ტელევიზორების ეკრანებზე გამოჩნდებიან ხოლმე ამ მატჩების მონაწილენი: ცილინდრიანი „პოლიტექნიკოსები" და ჩალისქუდიანი „უნივერსიტეტელები".

მაგრამ მატჩის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე, რომელიც ჩვეულებისამებრ ვარშავის უნივერსიტეტის დიდ აუდიტორიაში იმართება, ტელეტურნირების რედაქციაში მოდის ორი მეტად დარბაისელი კაცი (ორივეს ასაკი ერთად 40 წელს არ აღემატება). ერთი მათგანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელია, მეორე — უნივერსიტეტის. ორივეს გზავნის პოლონელი სტუდენტების კავშირი ამ დიდი, ყოველწლიური მატჩის მოწყობისათვის. ხუმრობა როდია: გამარჯვებულებს გადაეცემათ პოლონელი სტუდენტების კავშირის გარდამავალი თასი. ორივე წარმომადგენელი მკაცრად იცავს მოლაპარაკების შინაარსის საიდუმლოებას.

პირველი ეტაპი — წინასწარი შეკითხვების მომზადება — შედარებით მშვიდად მიმდინარეობს. ამოცანა იმაშია, რომ გამომუშავდეს შეკითხვების ისეთი კომბინაცია, რომელიც მატჩში მონაწილეობისათვის საუკეთესო მოთამაშეთა შერჩევის საშუალებას მოგვცემს. ორივე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის განკუთვნილი ელემენტარული შეკითხვები ცოდნის საკმაოდ ფართო სფეროს მოიცავს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი იღებს შეკითხვების დამატებით „ულუფას", რომელიც ეხება საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში მოცემულ ტექნიკის პრობლემებს, პოლიტექნიკური ინსტიტუტი კი — შეკითხვებს ე. წ. ჰუმანიტარულ დისციპლინებიდან, აგრეთვე საშუალო სკოლის ფარგლებში.

ყველა შეკითხვის შედგენას ხელმძღვანელობს რედაქტორი იულიუშ ოვიძკი, რომელმაც თითქმის ყველაფერი იცის ამ ქვეყანაზე. ოთხი წელია, რაც იგი ამ დარგში მუშაობს და წელიწადში მხოლოდ ერთხელ თუ შეცდება, ე. ი. ბევრად უფრო ნაკლებად, ვიდრე მრავალი ენციკლოპედია.

აი შეკითხვების ნიმუშები. რომანი „პეტრე პირველი" დაწერა: ა) ლევ ტოლსტოიმ, ბ) ალექსეი ტოლსტოიმ, გ) მიხეილ შოლოხოვმა, დ) არ დაწერა არც ერთმა დასახელებულმა ავტორმა; მარია ლეშჩინსკაია იყო ცოლი: ა) ლუდოვიკო XIII-სი; ბ) ლუდოვიკო XIV-სი; გ) ლუდოვიკო XV-სი; დ) ლუდოვიკო XVI-სი (პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის).

ბოქსიტი არის: ა) რკინის მადანი, ბ) ალიუმინის მადანი, გ) ცემენტის სახესხვაობა, დ) მინერალი; რეპორტაჟების ციკლი „გრიგალი საჰარაში" დაწერა: ა) ერნესტ ჰემინგუეიმ, ბ) ჟან-პოლ სარტრმა, გ) ალბერ კამიუმ, დ) თადეუშ ბრეზამ (უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის).

როგორც ხედავთ პასუხი შეკითხვაშივეა მოცემული. საჭიროა მხოლოდ მისი ამორჩევა და წინ ჯვარის დასმა. ამ მეთოდით კომისია რამდენიმე წუთში ახერხებს კონკურსში მონაწილეობის მრავალრიცხოვან მსურველთაგან უძლიერესების შერჩევას.

მსურველი კი ნამდვილად ბევრია. შესარჩევ გამოცდებში თვითეული უმაღლესი სასწავლებლიდან მონაწილეობა მიიღო 200 კანდიდატმა. შეკითხვების პირველი სერიის შემდეგ დარჩა 60 კანდიდატი. შემდეგ — 25. ბოლოს, ქულების დათვლის შემდეგ, მსაჯთა კოლეგიამ გამოაცხადა შედეგი: თვითეულ გუნდში ჩაირიცხება 6 სტუდენტი პლუს — 2 სათადარიგო.

ამის შემდეგ გუნდები იკრიბებიან სავარჯიშოდ და ტაქტიკის გამოსამუშავებლად. მოილაპარაკებენ, ვინ გამოვა პირველ სამეულში (პირველი თავდამსხმელები), ვინ — მეორეში, ყოველივე ეს დიდი საიდუმლოებითაა დაცული.

იწყება შეკითხვების მეორე სერიის შედგენა, რომელიც პირველზე ბევრად რთული და ძნელია. ორივე წარმომადგენელი (ორივეს ასაკი ერთად 40 წელს არ აღემატება) ამზადებს მასალებს; უნივერსიტეტის წარმომადგენელი ადგენს შეკითხვებს ჰუმანიტარული დისციპლინებიდან, პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელი—ტექნიკასა და ფიზიკიდან. ბოლოს ერთობლივ სესიაზე ეწყობა ამ შეკითხვების დახურული კითხვა. როცა შეკითხვებს „ტექნიკის" წარმომადგენელი კითხულობს, უნივერსიტეტის დელეგატი თავში იცემს ხელს: „ასეთ შეკითხვას ვერავინ ვერ გასცემს პასუხს! ეს უსინდისობაა! უნდა ამოიშალოს", „პოლიტექნიკოსიც" ყოველ ძნელ „ჰუმანიტარულ" შეკითხვაზე ერთი ამბით აცხადებს პროტესტს.

ტელევიზიის წარმომადგენლები თავის მხრივ გამოთქვამენ მთელ რიგ პრინციპულ და ფორმალური ხასიათის შენიშვნებს, მაგალითად, შეკითხვაზე: დაასახელეთ ამჟამად ცოცხალი ყველაზე დიდი ამერიკელი მწერალი, რედაქტორი შენიშნავს, რომ ასეთი ამერიკელი მწერალი არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, ტელეტურნირებზე, რადგან მე შემიძლია ყველაზე დიდ მწერლად სტეინბეკს ვთვლიდე, ჩემი დეიდა კი — ტენესი უილიამსო. ანდა: დაასახელეთ პოლონელი გეტმანი, რომელიც ამასთან კომპოზიტორიც იყოო (იგულისხმება ოგინსკი); სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ ოგინსკი გეტმანი კი არა, ხაზინადარი ყოფილა. საჭიროა ყველაფრის ზედმიწევნით შემოწმება. ჩვენზე ხომ მოპყრობილია რამდენიმე მილიონი ტელემაყურებლის მზერა!





საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს შეკითხვები შეთანხმებულია. იწყება „ბილეთების“ შედგენა.

და აი, დგება დიადი დღე. უნივერსიტეტის დიდ აუდიტორიაში აუწერელი გამოცოცხლებაა. გუნდებისა და ჟიურის გარდა (რომელშიც შედის თითო-თითო პროფესორი უნივერსიტეტიდან და პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან), აქ არის სტუდენტური კაბარეს „ჰიბრიდების“ ანსამბლიც, რომელიც მატჩის პირველსა და მეორე ნაწილს შორის შესვენების დროს დამსწრეებს უჩვენებს ნაწყვეტებს თავისი პროგრამიდან.

აუდიტორია ივსება მაყურებლებით, და მერე რა მაყურებლებით! ვეებერთელა დარბაზი უმალ იყოფა ორ მტრულ ბანაკად, რომლებიც უფრო გამაყრუებლად ხმაურობენ, ვიდრე გულშემატკივრები მოკრივეთა საერთაშორისო შეხვედრების დროს.

მატჩი გათამაშდება შემდეგნაირად: წამყვანი კითხულობს შეკითხვას. ამ შეკითხვაზე პასუხს გასცემს ის, ვინც პირველი დააჭერს თითს ელექტროღილაკს (ერთ ღილაკზე თითის დაჭერა ავტომატურად თიშავს დანარჩენ ხუთს). თუ პასუხი სწორია, გუნდს ემატება ერთი ქულა და ეძლევა კიდევ ერთი შეკითხვა მთელი გუნდისათვის. ამ შეკითხვის სწორი პასუხიც ერთი ქულით ფასდება. თუ პასუხი სწორი არ არის, გუნდი ქულას კარგავს.

დარბაზში უჩვეულო დაძაბულობაა. მიმდინარეობს ცოდნისა და ნებისყოფის გამოცდა. წელს უპირატესობა თავიდანვე უნივერსიტეტის მხარეზეა. შესვენების შემდეგ „ჰუმანისტებს“ ანგარიში 10 ქულის განსხვავებით მიყავთ. წამყვანის მიერ მიცემულ ყოველ „ტექნიკურ“ შეკითხვაზე დარბაზში მყოფი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ხმამაღლა სიცილს იწყებენ, რადგან შეკითხვა მეტად ადვილია... მათთვის. მაგრამ სიცილი მალე წყდება. აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებმა იციან რა არის კლინკერი, რით აზურებენ ბრძმედს, ამასთან ერკვევიან დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებთან დაკავშირებულ საკითხებშიც. წამყვანი იხურავს წინ წასული უნივერსიტეტის გუნდის ჩალის ქუდს. მაგრამ რა არის ეს? პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი წარმოუდგენლად უპასუხებს ყველა შეკითხვას. მომავალი ინჟინრები იცნობენ ემელიან პუგაჩოვსაც და ნაპოლეონის ომებისდროინდელი ინგლისის ყველა პრემიერ-მინისტრსაც, იციან იმპრესიონიზმი მუსიკაში და ნანტის ედიქტი. ახლოვდება გადაცემის დასასრული და წამყვანი ჩალის ქუდს შავი ცილინდრით ცვლის.

კიდევ რამდენიმე შეკითხვა. თითქმის უკანასკნელ წუთებში „ჰუმანისტები“ შეტევაზე გადადიან და კვლავ წინ იჭრებიან. სულ უკანასკნელი შეკითხვა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებს კიდევ აქვთ დამარცხებისაგან თავის დაღწევის შანსი. მაგრამ ამაოდ. მართალია, ინსტიტუტის წარმომადგენელმა პირველმა დააჭირა ღილაკს თითი, რათა ეპასუხა, თუ რომელი ტბაა ევროპაში სამი სახელმწიფოს საერთო ტერიტორია, მაგრამ დაასახელა ჟენევის ტბა, მაშინ როცა იგულისხმებოდა ბოდენის ტბა.

მაშ ასე, ორი ქულის განსხვავებით გაიმარჯვა უნივერსიტეტმა. წელს ეს მისი მეორე გამარჯვებაა. მაყურებელთა ენთუზიაზმი უმაღლეს წერტილს აღწევს. სტუდენტთა კავშირის თავმჯდომარე, რომელმაც თასი უნდა გადასცეს გამარჯვებულებს, ვერა და ვერ ახერხებს სიტყვის აღებას. არ შეუძლია სიტყვის წარმოთქმა ჟიურისაც, რომელსაც სურს გადასცეს უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორის პრემია, ხოლო პოლიტექნიკური ინსტიტუტის საუკეთესო სტუდენტს — უნივერსიტეტის რექტორის პრემია.

ბოლოს გამარჯვებული გუნდი ჩალის ქუდების ქნევით იღებს ჯილდოს — გარდამავალ თასს და ექვს ტურისტულ საგზურს უცხო ქვეყნებში სამოგზაუროდ.

მატჩი დამთავრდა. ორივე გუნდი მიემართება ტრადიციულ ბალზე. გამარჯვებულნი — დიდი აღფრთოვანებით, დამარცხებულნი კი — მომავალ წელს თასის დაპყრობისა და უჭკნობი დიდების მოპოვების იმედით აღვსილნი.

**რიშარდ სერაფინოვიჩი**
„პოლშა“.





ე. ამამუკელი, მ. მესხი და კ. მახარაძე

ბევრნაირი ცრურწმენა არსებობს ქვეყნად: შავი კატის გადარბენა ცუდი ამბის მომასწავებელია, მარცხენა თვალი რომ უთამაშებს ადამიანს, სიხარულს უნდა ელოდეს, მარჯვენა ხელისგული თუ გექავება, ფული მიდის, მარცხენასი კი — ფულის მოსვლას ნიშნავს. რიცხვი ცამეტი — უსიამოვნებისა და უბედურების მომასწავებლად არის მიჩნეული.

ამერიკულ კალენდარში სულაც ვერ ნახავთ ცამეტ რიცხვს. შეერთებულ შტატებში ქუჩას არ გააჩნია ცამეტი ნომერი სახლი, არ არსებობს ცამეტსართულიანი შენობა, სათვალავის დროსაც კი თორმეტიდან პირდაპირ თოთხმეტზე გადადიან. რაღა შორს წავიდეთ, ჩვენშიაც ხომ მეცამეტე გოჭი მეტიჩარა და აბეზარი ადამიანის სინონიმია.

თუკი რიცხვი ცამეტი უსიამოვნებისა და უბედურების ნიშანია, ბუნებრივია, რომელიმე რიცხვი პირიქით, ბედნიერებას უნდა მოასწავებდეს.

იგი დაიბადა 1937 წლის თერთმეტ იანვარს, დღის თერთმეტ საათზე. თერთმეტი კლასის დამთავრების შემდეგ თერთმეტ ნომრად ჩარიცხეს თბილისის „დინამოში“. თერთმეტში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე და თერთმეტში იქორწინა. გუნდში სიმაღლის მიხედვით მეთერთმეტეა, მისი თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა არასოდეს არ აცდენია მიზანს და, ბოლოს და ბოლოს, მისი სახელი და გვარიც ხომ თერთმეტი ასოსაგან შედგება: მიხეილ მესხი.

საოცარი დამთხვევაა.

თბილისის „დინამოს“ მარცხენა გარემარბი მიხეილ მესხი, ყოველთვის, ეზოს ნაკრებიდან მოყოლებული, ვიდრე მსოფლიოს ნაკრების კანდიდატობამდე, მუდამ თერთმეტი ნომერი გახლდათ.

* * *

ნატვრა აუხდათ თამარ ბაქრაძესა და შალვა მესხს: — ვაჟიშვილი შეეძინათ. ბიჭს მიხეილი დაარქვეს.

შალვა მესხი, ერთ დროს არა მარტო ფეხბურთის გულშემატკივარი იყო, თვითონაც თამაშობდა ბურთს და არცთუ ისე ცუდად. ამიტომ პირველ საჩუქრად მამამ მიშიკოს პატარა წითელი რეზინის ბურთი მოუტანა.

ბიჭმა სულიერივით შეიყვარა ეს ბურთი და აიდგა თუ არა ფეხი, ბაჯბაჯით აედევნა მას.

— როდესაც ტირილს დაიწყებდა, არაფრით არ შეიძლებოდა მისი გულის მონადირება, არც ტკბილეულით, არც ბრჭყვიალა სათამაშოებით, მაგრამ, მივცემდით თუ არა ბურთს, იმწამსვე ჩერდებოდაო, — იგონებს მიხეილის დედა თამარი.

შვიდი წლის მიშა თბილისის მეთხუთმეტე სკოლაში შეიყვანეს სასწავლებლად. სწორედ აქედან იწყება მისი „ნამდვილი ფეხბურთი“.

აქ უკვე პატარა მიხეილი ცდილობს ყველაფერში მიბაძოს ტყავის ბურთის იმდროინდელ დიდოსტატებს: ბორის პაიჭაძეს — მოწინააღმდეგის გვერდის ავლაში, დრიბლინგსა და ბურთის დამცველის ფეხებს შორის გაძვრენაში. იგი, როგორც გაიოზ ჯეჯელავა, ერთდროულად რამდენიმე დამცველს ატყუებს და ბურთს კარისაკენ პირუკულმა გზავნის.

მიშა სკოლის გუნდის სული და გული იყო. მის მარცხენას მუდამ გამარჯვება მოჰქონდა. რა თქმა უნდა, გუნდი სტაბილური არ იყო, და მოთამაშეები იცვლებოდნენ, მაგრამ მიხეილ მესხი და მისი უახლოესი მეგობარი და მეზობელი ავთანდილ ხელაძე გუნდის უცვლელ წევრებად რჩებოდნენ.

ხდებოდა ასეც: „არჩევანი მე, არადანი შენ“, გუნდის ჩამოყალიბების ერთ-ერთი სახე იყო, და, თუკი ვინმეს „არჩევანი“ ერგებოდა, პირველად მიშას აირჩევდა ხოლმე.

ბურთი იმდენად უყვარდათ პატარებს, რომ არავითარ სიძნელესა და დაბრკოლებას არ ერიდებოდნენ, შეჯიბრება მიმდინარეობდა რეზინის ბურთით. ძელების მაგივრობას ქვები და სასკოლო ჩანთები სწევდნენ. ბადეზე ოცნებაც ზედმეტი იყო. თამაშობდნენ შიშველი ფეხებით — გეტრებისა და ბუცების გარეშე, მსაჯები თვითონ გახლდნენ მოთამაშეები და თავიანთი კანონებიც ჰქონდათ: სამი კორნერი ერთ პენალტს უდრიდა, არავითარი თამაშგარე მდგომარეობა, ერთი და იგივე მოთამაშე ხან მეკარედ იდგა, ხან კიდევ ცენტრთავდამსხმელად, მხოლოდ მიშას ეჭირა მარცხენა გარემარბის ადგილი გამუდმებით. მატჩის დაწყებასა და დამთავრებას სასტვენი ვერ გაცნობებდათ. უამისოდაც იოლად გადიოდნენ.

იყო თამაში ათი ბურთის გატანამდე, დაღლამდე, დაღამებამდე, დედისაგან ყურის აწევამდე.

პატარა მიხეილი სპორტის თითქმის ყველა სახეს მისდევდა. სირბილში ბადალი არა ჰყავდა, ხტებოდა სიმაღლეზე და კარგ შედეგებს უჩვენებდა, ხოლო კლასიკური სტილის ჭიდაობაში ისეთი ნიჭი გამოიჩინა, რომ სულ მალე მესამე თანრიგი მოიპოვა (ამიტომაა ასე ძნელი მიხეილის წაქცევა მწვანე ხალიჩაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარი მეგრეელი

—ამ დარბაზში ორი სპორტსმენი იზრდება, რომლებსაც მალე მთელი მსოფლიო გაიცნობს, — ამბობდა სიამაყით ვარძელაშვილი და იმ დროისათვის ჯერ კიდევ უცნობ, ხოლო შემდგომში ჩვენთვის სასიქადულო გივი კარტოზიასა და მიხეილ მესხზე მიუთითებდა.

გამართლდა ვარძელაშვილის წინათგრძნობა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გივი კარტოზიამ საჭიდაო ხალიჩაზე დააჩოქა მსოფლიოს სახელგანთქმული ფალავნები, მიხეილ მესხმა კი მწვანე მინდორზე შიშის ზარი დასცა მსოფლიოს უძლიერეს დამცველებს.

ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მიხეილ მესხის სპორტული კარიერა, რომ მოულოდნელ შემთხვევას არ შეეშალა (თუ შეეწყო) ხელი. ერთ-ერთი ვარჯიშის დროს მიშამ მკლავი იღრძო და მას შემდეგ ხელი ჩაიქნია ჭიდაობაზე.

მეთხუთმეტე სკოლიდან მიხეილ მესხი სასწავლებლად მეჩვიდმეტე სკოლაში გადავიდა. სწორედ იმ დროს კლასებს შორის იმართებოდა შეჯიბრება ფეხბურთში და მიხეილს თანაკლასელებმა მეკარეობა შესთავაზეს. მიშამ უარი თქვა. ბოლოს, როგორც იქნა, მოხვდა გუნდში მარცხენა გარემარბად, მხოლოდ ისიც სათადარიგოდ. მალე დადგა დრო და მიშაც ძირითად შემადგენლობაში გამოვიდა. აქ კი აჩვენა ხალხს მიხეილმა თავისი „მარიფათი“. იმ დღეს მიხეილ მესხი სკოლის პირველ ნაკრებში ჩარიცხეს.

მიშას მისვლა დაეტყო გუნდს, გამარჯვებას გამარჯვება მოსდევდა და მიშიკო ცეროდენა ფეხბურთელებმა გუნდის თავად აირჩიეს:

ნამდვილი ფეხბურთელი უნდა გავხდე — ჩაიდო გულში მიხეილმა და ეს სურვილი მოსვენებას არ აძლევდა.

მიხეილი რა ხანია ისწრაფვოდა ოცდამეთხუთმეტე სკოლაში გადასულიყო, მაგრამ, რატომღაც ერიდებოდა გაემხილა მშობლებისათვის, გარდა ამისა, შიშობდა კიდეც — ვაითუ, ჩემგან ფეხბურთელი არ დადგესო.

ბოლოს, როდესაც რწმენა განუმტკიცდა და დაიჯერა საკუთარი ძლიერება, მშობლებს კატეგორიული ტონით განუცხადა თავისი წადილი. სახლში იცოდნენ, რომ მიშას გადაწყვეტილების შეცვლა არც ისე იოლია და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს.

1951 წლიდან მიხეილ მესხი ოცდამეთხუთმეტე სკოლაში გადავიდა. ჩაიცვა ფეხბურთელის მაისურა, ბუცები, გეტრები და, როგორც გაოფიცრებული იუნკერი, მალულად ათვალიერებდა ფორმას.

პირველად მისთვის განსაკუთრებული ყურადღება არავის მიუქცევია და მესამე გუნდში ჩარიცხეს. არდადეგების პერიოდში ოცდამეთხუთმეტე სკოლის აღსაზრდელები ბაკურიანში განაგრძობდნენ ვარჯიშს. აქ მწვრთნელმა ჯონდო შავდიამ „თვალი დაადგა“ მიხეილს და მაშინვე გადაიყვანა პირველ გუნდში.

ხშირად ნახავდით ვარჯიშის შემდეგ ჯონდოსა და მიხეილს. გულისხმიერი მწვრთნელი თავისუფალ საათებშიც კი დიდ დროს უთმობდა თავის აღსაზრდელს და მიხეილიც მოთმინებითა და მონდომებით ხვეწდა თავის ოსტატობას.

ოცდამეთხუთმეტე სკოლის პირველ გუნდში მიხეილ მესხი ყველაზე უმცროსი იყო. მაგრამ მისი ტექნიკური არსენალი და მონაცემები აშკარად შეეფარდებოდა პირველი გუნდის ძალას. ამავე წელს მიხეილმა მიიღო მესამე თანრიგი ფეხბურთში, ეს კი მისთვის ძალზე დიდი წარმატება იყო. აქ მიხეილ მესხს თავისი ადგილი არ შეუცვლია და მარცხენა გარემარბად თამაშობდა.

ფეხბურთსაც გააჩნია თავისი ანბანი, რომელსაც ადამიანი მისდა უნებურად ეუფლება. ეს ანბანი მიხეილ მესხმა ჯერ კიდევ ფეხბურთელთა სკოლაში შესვლამდე ისწავლა.

მიხეილი ოცდამეთხუთმეტე სკოლაში „ხელცარიელი“ არ მისულა, მივიდა ფინტებით დატვირთული, მივიდა თამაშის დიდი სურვილით, აურაცხელი ენერგიითა და ტემპერამენტით.

„ავჭალურმა“ მიხეილ მესხს ასწავლა ბურთთან კონტაქტის დამყარება, ბურთის წონასწორობის შენარჩუნება და სწორი მიმართულების მიცემა, ჭიდაობამ შესძინა გამძლეობა და ძალა. თვითონ მიხეილი ამბობს, რომ პეპლების დევნამ ზიგზაგებით სირბილს მიაჩვია, ხოლო გაქცეული ქათმის დაჭერამ განუვითარა ცრუმოძრაობა, რომელიც ასე საჭიროა თანამედროვე ფეხბურთში. ახლაც, თავისუფალ დროს, მამლის დაჭერა მიხეილის საყვარელი გართობა და წვრთნის საუკეთესო საშუალებაა. მართლაც, რამდენ რთულ მოძრაობას აკეთებს გაქცეული მამალი, რამდენჯერ იცვლის მოულოდნელად მიმართულებას, რამდენჯერ ჩერდება უცებ. ალბათ, ბუნებამ ეს ინსტიქტი ქორისაგან დასაცავად შესძინა ქათამს, მაგრამ ისეთ არწივს, როგორიც მიხეილ მესხია, მამალი შორს ვერ გაურბის.

მიხეილ მესხის სპორტული გზა თანდათან სულ უფრო რთული და საინტერესო ხდებოდა.

უკვე 1952 წელს იგი მონაწილეობს ქალაქ თბილისის პირველობაზე ფეხბურთში მესამე კატეგორიის სიძლიერის გუნდებს შორის.

გაკაჟებული ორგანიზმისა და ტექნიკის წყალობით, თხუთმეტი წლის მიხეილი ადვილად ართმევს თავს მარცხენა გარემარბის მოვალეობას. ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ უგემიათ სიმწარე გაცილებით უფროსი ასაკის დამცველებს მისგან. ამავე წელს მიხეილმა პირველი თანრიგი დაიმსახურა. კიდევ უფრო საინტერესო იყო 1953 წელი. მაშინ მიხეილი პირველად წავიდა მოსკოვში საასპარეზოდ, იგი შეიყვანეს საქართველოს ახალგაზრდათა ნაკრებში.

მართალია, იმ წელიწადს ამხანაგურ შეჯიბრებაში მხოლოდ ლენინგრადის, მოსკოვისა და საქართველოს გუნდები იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ ფეხბურთის სპეციალისტებმა უკვე მიაქციეს ყურადღება თბილისელთა მარცხენა გარემარბს, რომლის ნიჭიც მწვანე მინდორზე ყაყაჩოსავით ღუოდა.

საკავშირო შეჯიბრების ასპარეზზე მიხეილი პირველად 1954 წელს გამოვიდა. ასპარეზობა, რომელიც ახალგაზრდა ფეხბურთელთა შორის მიმდინარეობდა, ჩატარდა ორ ეტაპად: პირველად ალმა-ატაში, შემდეგ — მოსკოვში. ერთი დამცველი დაუხმარებლად, აშკარად ვეღარ აუდიოდა მესხს. ამ შეჯიბრებაზე თბილისის ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მეორე ადგილი დაიკავეს. ამავე წელს მოეწყო კიდევ უფრო დიდი მასშტაბის შეჯიბრება. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა სკოლები. თამაშები იმდენად საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობდა, რომ მოსკოვის „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნაზე ტევა არ იყო.

მიხეილს, როგორც პირველ, ისე ამ შეჯიბრებაში, მარცხენა გარემარბის მოვალეობა ეკისრებოდა. აქ მან უკვე აჩვენა მომწიფებული და ჩამოყალიბებული თამაში. მესხის დაჭერა პრობლემად გადაიქცა. ასპარეზობაში ქართველ ახალგაზრდა ფეხბურთელთა გუნდმა პირველი ადგილი აიღო და თასი მოიპოვა. მიხეილ მესხთან ერთად ამ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდნენ შემდგომში უკვე ცნობილი ფეხბურთელები: მეკარეები ა. კოტრიკაძე, ვ. ივანოვი, ა. კვაჭაძე; დამცველები რ. ჭანჭალეიშვილი, მ. სევასტიანოვი, ბ. სიჭინავა; თავდამსხმელები თ. მელაშვილი, ზ. მაჭარაშვილი და სხვანი. გუნდს წვრთნიდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კიკნაძე.

საინტერესოა ერთი ფაქტი: ამ მატჩებს მოსკოვში ესწრებოდა ფეხბურთის გულშემატკივარი, მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი, რომელიც აღტაცებული იყო მიხეილ მესხის თამაშით. მოქანდაკემ გუმანით იგრძნო მიხეილის დიდი მომავალი და ერთგვარად იწინასწარმეტყველა კიდეც. ეს წინასწარმეტყველება ელგუჯამ ქაღალდზე გადაიტანა და ხელი მოაწერა. „დოკუმენტის“ შედგენას კიროვის ბაღში დაესწრნენ და ფაქსიმილეთი დაადასტურეს სხვა მხატვრებმაც. გიდგენთ დოკუმენტს (სტილი დაცულია):

„ამჟამად მიხეილ მესხი თექვსმეტი წლისაა. ის არნახული ტალანტია. ერთ წელიწადში მესხი მოხვდება „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში.

1958 წელს შევა საბჭოთა კავშირის ნაკრებში და აალაპარაკებს ფართო საზოგადოებას. 1960 წლამდე ის მიიღებს მსოფლიო აღიარებას, როგორც საუკეთესო გარემარბი. ის იქნება ქართული ფეხბურთის ვარსკვლავი და ვინ იცის მსოფლიო № 1 გარემარბი. ამის საწინდარია მისი არაჩვეულებრივი თავისებურება, თამაშის სტილი და სპორტული მონაცემები. 1954 წელი. ქ. თბილისი. კიროვის ბაღი. 20/VII. ე. ამაშუკელი. განიხილეს ეს წერილი და ესწრებოდნენ მურმან სუპატაშვილი, მიტო ხახუტაშვილი, ელგუჯა ბერძენიშვილი, კოკი მახარაძე, სერგო ჩახოიანცი“.

როგორც ხედავთ, მიხეილ მესხმა გაამართლა მოქანდაკის წინასწარმეტყველება. მიხეილ მესხისათვის შემდგომი წინსვლის გარეშე არც ერთ წელს არ ჩაუვლია. 1955 წელს მიშას ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეტაპი. იგი ჩარიცხეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში — თბილისის „დინამოში“.

მიხეილი გუნდში მივიდა, როგორც მხედარი, რომელიც თავისი რაზმის ბედსა და უბედობას ინაწილებს საკუთარი ცხოვრებით. დადგა თერთმეტ ჯარისკაცს შორის, დადგა და თბილისის „დინამომ“ იგრძნო მეტი ძალა, მეტი რწმენა.

დიდი, ძალიან დიდი ბრძოლები ელოდა მიხეილს წინ...

ალბათ, ბევრს ახსოვს ის დრო, როდესაც პატარა ფეხბურთელები მაისურაზე ცხრა ნომერს იწერდნენ. ისინი ყველანი ცდილობდნენ რაიმე ნიშნით მიმსგავსებოდნენ ფეხბურთის მოყვარულთა ფავორიტს ბორის პაიჭაძეს. ახლა კი საქართველოს რომელ კუთხეშიც არ უნდა წავიდეს კაცი, მაშინვე თვალში ეცემა პატარა ფეხბურთელები, რომლებსაც ცარცით ან მელნით ზურგზე აწერიათ ნომერი თერთმეტი, სულ ერთია არის ის თავდამსხმელი, დამცველი თუ მეკარე. ამჯერად ფავორიტი მიხეილ მესხია.

* * *

ფეხბურთი ხელოვნებაა და შემოქმედებას საჭიროებს. რამდენი პლასტიკა და დინამიურობაა თამაშში და რა ესთეტიკურ სიამოვნებას ღებულობს მაყურებელი ლამაზი და კარგი მატჩის ცქერის დროს.

რა თქმა უნდა, არსებობს განსხვავებაც — მხატვარს ან პოეტს საშუალება აქვს თავისი ნაწარმოები მრავალჯერ გადაასწოროს, სხვადასხვა კორექტივი გაუკეთოს და შემდეგ გამოიტანოს ხალხის სამსჯავროზე. ფეხბურთელს კი ჩვენ ვხედავთ უშუალოდ შემოქმედებითს პროცესში, თავისი შეცდომებითა და სისწორით, თვითეულ ფეხბურთელს აქვს თავისი სტილი და მანერა ისე, როგორც პოეტსა და მხატვარს. თვითეული ფეხბურთელის თამაშში ვლინდება თვით ფეხბურთელის ხასიათი ისევე, როგორც პოეტისა და მხატვრის ხასიათი მათ ნაწარმოებებში.

მიხეილ მესხის თამაში — პოეზიაა, ღრმა შინაარსითა და ამაღლებული ფორმით, მისი ფინტი — ლექსია, ხოლო მისი თამაში — ერთი დიდი, ლამაზი ტილო. თვით მიხეილ მესხი ფეხბურთის ნამდვილი ხელოვანია.

...ჰოდა, ახლა ჩვენც მივყვეთ მის ხელოვნებას, რომელიც წლების მანძილზე მიხეილ მესხმა მწვანე მინდორზე მოხატა.

(გაგრძელება იქნება)

## გზა უსტვენს

საგზაო ავარიების თავიდან აცილების მიზნით საფრანგეთში დაამზადეს განსაკუთრებული ნივთიერება, რომლითაც გზების სახიფათო მონაკვეთებს ფარავენ.

როგორც კი მანქანის საბურავები ამ ნივთიერებით დაფარულ გზას შეეხება, მაშინვე გაისმის მძლავრი სტვენის ხმა, რომელიც შოფერს გაფრთხილებას აძლევს, რომ იწყება მოსახვევი, დაქანება ან გზაჯვარედინი.

## ავტომატი დედოგილი

ჩეხოსლოვაკიაში შექმნეს ორიგინალური მოწყობილობა, რომელიც ბავშვის ტირილის დროს ავტომატურად იწყებს საწოლის რწევას.

ეს მოწყობილობა თავსდება პატარა ჩემოდანში, რომელიც თავისუფლად შეიძლება ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადავიტანოთ.

## მშრალი ხორცი

ვარშავის ხორცის მრეწველობის ინსტიტუტში შეიმუშავეს ხორცის გამოშრობის მეთოდი. ამ მეთოდის მეოხებით ხორცი თითქმის მთლიანად ინარჩუნებს თავის გემოს, სისველესა და ვიტამინებს.

გამომშრალი ხორცი კარგად ინახება ორი წლის განმავლობაში.

## გული... შეცვალა მოტორმა

ტოკიოს უნივერსიტეტის ქირურგებმა ამას წინათ სენსაციური ექსპერიმენტი ჩაატარეს: გულამოკვეთილ ძაღლს ჩაუდგეს სპეციალური მოწყობილობის აპარატი, რომელმაც ცხოველს შვიდი საათით შეუნარჩუნა სიცოცხლე.

ეს ექსპერიმენტი ახალ იმედებს აძლევს მედიცინის მუშაკებს.

## თოვლის ქარხანა

ჟენევის მახლობლად შენდება საოცარი ქარხანა, რომელიც გამოუშვებს... თოვლს. ხელოვნური თოვლის მისაღებად გამოყენებული იქნება წყალი და შეკუმშული ჰაერი.

როგორც დაკვირვებამ ნათელყო, ქარხნული წესით მიღებული თოვლი უფრო მყარია და გვიან იწყებს დნობას.

ხელოვნურ თოვლს მეთხილამურეთა სხვადასხვა საპასუხისმგებლო შეჯიბრებების დროს გამოიყენებენ.

## „ელექტრონული ცხვირი"

მეცნიერები გულმოდგინედ მუშაობენ ე. წ. „ელექტრონული ცხვირის" დასამზადებლად. ამ მოწყობილობას უნარი ექნება დროულად აღმოაჩინოს კერძის უმნიშვნელო დაწვა და გამაფრთხილებელი ნიშანი მისცეს დიასახლისს.

„ელექტრონული ცხვირი" კარგად იგებს ჰაერში უმნიშვნელო რაოდენობის გაზის შერევას და მაშინვე განგაშს სტეხს.

ნახატი-ხუმრობა

ა. ერაძისა



# ულტრამოკლე მოთხრობები

## გამოცდა

გამოცდის წინ პროფესორმა ღიმილით უთხრა სტუდენტს:

— გამოცდა თეატრს ჰგავს: მე მაყურებელი ვარ, თქვენ კი აქტიორი.

— მართალია, — დაეთანხმა სტუდენტი, — ახლავე დავუძახებ სუფლიორს.

## ცეკვა

— მომეცით სახელმძღვანელო „ტვისტის" შესასწავლად! — მოუთმენლად გაიძახოდა ცეკვის მოყვარული ქალიშვილი და გამყიდველს თითით უჩვენებდა წიგნზე, რომელზეც ოქროსფერი ასოებით ეწერა „ოლივერ ტვისტი".

## დეფექტივი

ჯაშუშმა შუშის თვალი ამოიღო და თითით მოჩხრიკა ფოსო.

ფოსოში შიფრი არ აღმოჩნდა.

ჯაშუშმა გაიღიმა. იგი მიხვდა, რომ შეცდომით მეორე თვალი ამოიღო.

# იუმორი

## ყველაზე საუკეთესო დრო

მასწავლებელი მოუთხრობდა მოსწავლეებს წელიწადის დროთა შესახებ. მან იკითხა: ვის შეუძლია მითხრას, რომელია ყველაზე კარგი დრო ვაშლების მოსაკრეფად? პატარა კლაუსმა უპასუხა:

— როცა ძაღლი დაბმულია.

## საინტერესო პერსპექტივა

ორი ბავშვი, რომლებიც შვიდი წლისანი იყვნენ, კინოთეატრის წინ აფიშას ათვალიერებდნენ. განცხადება იუწყებოდა, რომ „კინოთეატრის დარბაზში დაიშვებიან მხოლოდ თვრამეტ წელს გადაცილებული მოქალაქენი". ერთმა ბავშვმა უთხრა მეორეს: — მაშასადამე, ამ საინტერესო ფილმს ჩვენ ვნახავთ მხოლოდ 1973 წელს.

* * *

— ამ საქაღალდეში ძალიან ბევრი სუსტი ლექსია თავმოყრილი, საჭიროა მათი გადამალვა საიმედო ადგილას.

— ვის უმალავ, კაცო?

— კომპოზიტორებს.

## ფეხბურთელთა შორის

— სადაა შენი მეგობარი გოგონა, დღეს არ მოვა?

— არა, გუშინ ცოტა ვაწყენინე და ორ შეხვედრაზე დისკვალიფიკაცია მომცა...

## რთული სიტუაცია

— ძვირფასო, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ, თუ უარს მეტყვი, თავს მოვიკლავ, თუ „ჰოს" მეტყვი, გული გამისკდება სიხარულისაგან.

## ჟურნალ „დროშის" № 5-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხი

ჰორიზონტალურად: 4. „გორდა"; 8. ქაშაყი; 9. ვერხვი; 11. შხარა; 13. ჯაფარიძე; 14. ნაშარაზი; 16. ვალუა; 17. ტირანია; 18. მარაო; 21. ბილიკი; 23. მუმლი; 25. სტიქია; 28. აფრა; 29. დიაცი; 30. მასრა; 31. რური; 33. აზარტი; 36. ირანი; 37. დარაბა; 40. ნავსი; 41. მიკოტი; 44. იფანი; 47. უბადრუკი; 48. იპოდრომი; 49. ლობიო; 51. ონკანი; 52. ლაფეტი; 53. ადილე.

ვერტიკალურად: 1. არია; 2. სატაცური; 3. ვარია; 4. გოშერი; 5. ავანსი; 6. ხრეში; 7. კვარტალი; 10. მაყალი; 12. აბზაცი; 15. სარმა; 19. სიცილია; 20. ესტრადა; 21. ბაფთა; 22. ლუარა; 23. მოცვი; 24. იმამი; 26. ქარვა; 27. ატრია; 32. ნალია; 34. ზღარბი; 35. რუსუდანი; 38. რეფერატი; 39. ბინომი; 42. იდილია; 43. ტრიოლე; 45. მუყაო; 46. ტორფი; 50. ბაია.

გარეკანის პირველ გვერდზე: ბავშვები ზღვაზე. ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა.

მეოთხე გვერდზე: საქ. სსრ სახალხო არტისტი ნ. რამიშვილი. ფოტო თ. არჩვაძისა.

ჩანართის პირველ გვერდზე: ნატურმორტი. ფოტო გ. თიკანაძისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. 
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ხ. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/VI-63 წ. გამომც. № 42, ქაღ. ზომა 70X108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 1109, უე 06419

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. №14.



— სალამო მშვიდობისა, მეგობრებო! — ყოველ სალამოს გაისმის ცისფერი ეკრანიდან დიქტორის ნაცნობი ხმა. ეს ხმა ათასობით ტელემაყურებელს აუწყებს, რომ თბილისის ტელესტუდიამ მორიგი გადაცემა დაიწყო.

აბა ვინ მოთვლის, რამდენი დრო, ფიქრი და ენერგია დასჭირდა ამ გადაცემის მომზადებას. ვინ მოთვლის, რამდენი შრომა და ძიებაა საჭირო, რომ ყოველი დღის პროგრამა ცოცხალი და საინტერესო გამოვიდეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეპორტაჟი კაფე „მეტროდან"



ფოტო
ო. თურქიასი
და
ბ. დადვაძისა





თბილისის ტელესტუდიის მთელი შემოქმედებითი კოლექტივი მუდამ ცდილობს მჭიდრო კონტაქტი დაამყაროს მაყურებელთან, უფრო შთამბეჭდავი და მრავალფეროვანი გახადოს თავისი გადაცემები.

ტელეგადაცემათა ახალი, მეტად ორიგინალური ფორმა იყო სტუდიის მიერ აქას წინათ მოწყობილი გადაცემა — „რეპორტაჟი კაფედან".

თბილისის კაფე „მეტროში" ტელესტუდიის ინიციატივით შეიკრიბნენ გამოჩენილი კინომსახიობები, მოვიდნენ წარმოების მოწინავე ადამიანები, ცულლია და ხალისით სავსე ახალგაზრდები, მოვიდნენ და სულ სხვა შნო და ელფერი დასდეს იქაურობას.

გაკაშკაშებულ კაფეში ხალისიან სიმღერას ფინჯან ყავასთან გულითადი საუბარი ცვლიდა, ცეკვას კი ისევ მუსიკა და მხიარული საუბარი მოსდევდა.

კაფეში შეკრებილ ახალგაზრდებთან ერთად, ათასობით ტელემაყურებელი ინტერესით ადევნებდა თვალს თბილისის მოდების სახლის მანეკენებს, რომლებმაც ახალი, საგაზაფხულო სეზონის ნიმუშები წარმოადგინეს კაფეში.

ჩვენი რესპუბლიკის ტელემაყურებლები კმაყოფილნი დარჩნენ ამ ცოცხალი გადაცემით. „კარგი ინიციატივაა", — ამბობენ ისინი და ახალ წარმატებებს უსურვებენ თბილისის ტელესტუდიის ახალგაზრდა კოლექტივს.







ეროვნული
ბიბლიოთეკა